საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაია მესხი

სოლოლაკის სივრცით – მოცულობითი სტრუქტურის არქიტექტურულ – მხატვრული ანალიზი, პრობლემები და პარადიგმები

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა - არქიტექტურათმცოდნეობა

შიფრი 1007

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო.

ივლისი, 2019 წ.

საავტორო უფლება © 2019 - წელი. მაია მესხი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მაია მესხის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: **„სოლოლაკის სივრცით – მოცულობითი სტრუქტურის არქიტექტურულ–მხატვრული ანალიზი, პრობლემები და პარადიგმები“** და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიაზე მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

16 ივლისი, 2019 წელი.

ხელმძღვანელი: პროფესორი მაია ძიძიგური,
არქიტექტურის დოქტორი.

რეცენზენტი: ——— ქეთევან ბერეკაშვილი,
ასოც. პროფესორი

რეცენზენტი: ———  ირინე წულაძე,
არქიტექტურის დოქტორი
(საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2019 წ.

ავტორი: მაია მესხი

დასახელება: “ **სოლოლაკის სივრცით – მოცულობითი სტრუქტურის არქიტექტურულ – მხატვრული ანალიზი, პრობლემები და პარადიგმები**”

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი.

სადოქტორო პროგრამა: არქიტექტურათმცოდნეობა

ხარისხი: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

სხდომა ჩატარდა: 16 ივლისი, 2019 წ.

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

მადლიერება

მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელის, არქიტექტურის დოქტორის, პროფესორის ქალბატონ მაია ძიძიგურის მიმართ.

ასევე მადლობას ვუხდი ბატონ მერაბ ბოლქვაძეს საქალაქთმშენებლო კვლევის მეთოდოლოგიაში დახმარებისთვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ - მასწავლებლებს, რომელთაგანაც მუდმივ მხარდაჭერას, კეთილგანწყობას და ნდობას ვგრძნობდი დოქტორანტურაში სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სოლოლაკის სივრცით – მოცულობითი სტრუქტურის არქიტექტურულ–მხატვრული ანალიზი, პრობლემები და პარადიგმები

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ის პრობლემატური თემა, რომელიც დღეს მწვავედ დგას თბილისის ისტორიული უბნების წინაშე - მათი ავთენტურობის შენარჩუნება და ამავე დროს ჩართვა თანამედროვე ქალაქში.

კვლევის ობიექტია თბილისის ისტორიული უბანი სოლოლაკი, რომელიც ფეოდალურ ხანაში სამეფო ბაღების ტერიტორიას წარმოადგენდა, XIX საუკუნიდან კი, მსხვილი ბურჟუაზიის საცხოვრებელ უბნად ჩამოყალიბდა. იმ პერიოდიდან დღევანდლამდე უბნის ჩამოყალიბებასა და განაშენიანებაზე მრავალმა ისტორიულმა ფაქტორმა იქონია გავლენა. ისინი უბნის არქიტექტურულ–მხატვრულ მხარეზე თავის კვალს ტოვებდნენ დადებითი თუ უარყოფითი თვალსაზრისით. მოწვეულ თუ ადგილობრივ ხუროთმოძღვართა მაღალმა ოსტატობის დონემ, მრავალფეროვანი ევროპული არქიტექტურული ფსევდოსტილების დამკვიდრებამ და შერწყმამ ადგილობრივ ტრადიციებთან, შექმნა თვითმყოფადი არქიტექტურულ-სივრცული გარემო, თბილისისთვის დამახასიათებელი იერსახე, რაც დღემდე შენარჩუნებულია და ამ უბნის ხიბლს განაპირობებს. ისტორიულ რუკებზე, საარქივო მასალებზე და თბილისის მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით ნაშრომში თანმიმდევრობითაა განხილული სოლოლაკის ურბანული ჩამოყალიბების და განაშენიანების ეტაპები, წარმოდგენილია ქუჩათა პარამეტრები, გაკეთებულია ქუჩათა კლასიფიცირება, გაანალიზებულია ქუჩათა კლასიფიცირების სტილისტური და გეგმარებითი თავისებურებანი.

სოლოლაკში ბოლო წლების განმავლობაში მომრავლებული ახალმშენებლობისა თუ მოსახლეობის თვითნებური ჩარევების ფონზე განხორციელებული სხვადასხვა მასშტაბის ინტერვენციის გამო,

აქტუალური გახდა ძველი უბნების თვითმყოფადობის, ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების დაცვის საკითხი. ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე იერსახის შენობების და მონუმენტურ ნაგებობათა კომპლექსების „ფსევდოისტორიული“ სტილების პოსტმოდერნისტული განაშენიანების შესაბამისობა გარემოსთან, მათი დადებითი და უარყოფითი გავლენა ისტორიული უბნის სივრცით–მოცულობით და არქიტექტურულ–მხატვრულ ღირებულებებზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული პროპორციული ანალიზი გათვლილია იმ შედეგის გამოსავლენად, რამდენად შეცვალა თანამედროვე შენობებმა ამ უბანში არსებულ ქუჩებზე განწყობა. სოლოლაკის ტერიტორიაზე განსაკუთრებით უხეში დარღვევები თანამედროვე შენობათა მოცულობის მხრივ არ არის, არქიტექტურულ–მხატვრული თვალსაზრისით კი ცვლილებები შესამჩნევია.

განხილულია პარადიგმები როგორც თბილისში, სოლოლაკის თანადროული ისტორიული განაშენიანების, ასევე საზღვარგარეთის მაგალითებზე.

უბანში მწვავედ დგას მცირე სარეკრეაციო სივრცეების, ადამიანთა ურთიერთობისთვის საჭირო ადგილების და მრავალფუნქციური დატვირთვის მქონე გამწვანებული სკვერების არსებობის საკითხიც. ლანდშაფტის არქიტექტურა უბნის ესთეტიკის, მისი ჰუმანიზაციის, არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. ნაშრომში ეს პრობლემა გაანალიზებულია ურბანული კვლევის მეთოდოლოგიის გარკვეული დოზით გამოყენებით. ჩატარებულია მოსახლეობის გამოკითხვა არსებული პრობლემების რანგირებისთვის.

საბოლოო დასკვნები ეყრდნობა უბანში დღესდღეობით არსებული მდგომარეობის და ჩვენს მიერ ნაწარმოები კვლევის შედეგების გაანალიზებას.

Architectural-feature analysis, problems and paradigms of Sololaki area's spatial -volumetric structure.

Introduction

In the following dissertation working the problematic issue is considered, which exists nowadays acutely in the historical areas of Tbilisi to keep its authenticity and also to engage with the modern city.

Researching object is the historical district of Sololaki, which represented the territory of the royal gardens in the feudal age, but since the 19th century it has been established as a living area of a large bourgeois. Since that time till today, many historical factors have influenced to the destrict's development and environmental planting. They used to leave their footprints on the district's architectural and feature sides with the positive or negative terms. Highly mastery level of the invited or even local architects, various European architectural pseudo- styles' establishment and its mixing to the local traditions, created an architectural and spatial environment, a characteristic feature of Tbilisi, which is still being kept and it represents this area's attractive charm.

According to the historical maps, archival materials and workings of Tbilisi researchers, the study of Sololaki urban development and environmental planting items are discussed successively, also street options are represented , streets classifications, stylistic and classification planning specifications are analyzed.

During these recent years in Sololaki,cause of the multiplication of the new constructions and self-identification of the populations, various scope of interventions have been carried out. So the issue of the area's historically established development has become actual according to the self- identification of the old precincts. Postmodern development of the " Pseudohistorical"style is also being analyzed,which designs monumental complex structures connected with the environment , their positive and negative influences on the spatial and architectural-feature values of the historical area.

We have conducted proportial analyze to educe the result, to clear up, how the modern buildings in this district have changed the mood roundabout. Special rough gross violations of the modern buildings in the district of Sololaki are not noticeable, but in the architectural and feature fields, these changes are rather noticeable.

The paradigms are discussed as well as in Tbilisi, in Sololaki's historical development,also according to the examples of abroad.

There is also acutely issue of the small recreational spaces in the district, of the necessary places for human communications and a large number of multifunctional green-lined squares. Landscape architecture is one of the main factors for the district esthetics , for its humanization, for architectural and feature value. In this working, this problem is analyzed by using a certain dose of urban researching methodology. The survey of the inhabitants was conducted to rank the existing problems.

Nowadays final conclusions are related to the current situation in the district and analyze the results of our researching works.

სარჩევი

რეზიუმე - - -

№2 სქემა -ურბანული ქუჩების დიზაინის ცნობარი - - - - - - - - - გვ. 149

ექსპლიკაციის ნუსხა

ექსპლიკაცია №1 გეგმებზე ქუჩის ხაზის ნომერი - - - - - - - - - - - - - გვ. 150
ექსპლიკაცია №2 -ცხრილი №1- ში მონიშნული ტერიტორიები - - - გვ. 154

ცხრილების ნუსხა

1. ცხრილი №1 გამწვანების მაჩვენებელი სოლოლაკში - - - - - - - - - - - გვ. 153

გეგმების ნუსხა

1. 1735წ. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი გეგმა - - - - - - - გვ. 150
2. 1828წ. გეგმა - - - - - - - - - - - - -

15. სურათი №15 ამაღლების ქ. № 12, აივნიანი ნაწილი - - - - - - - - გვ. 162
16. სურათი №16 გ.ლორთქიფანიძის ქ. №4 - - - - - - - - - - - - - - - - გვ. 162
17. სურათი № 17 პ . იაშვილის ქ.№14-16ა - - - - - - - - - - - - - - - -

შესავალი

თბილისში ბოლო წლებში განხორციელებული სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა თუ მომრავლებული ახალმშენებლობების ფონზე, აქტუალური გახდა ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების დაცვისა და ქალაქში ინტეგრაციის საკითხი. ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მივიჩნიეთ თბილისის ისტორიული უბნის, სოლოლაკის ანალიზი.

ნაშრომში განვიხილეთ საკვლევი ტერიტორიის ჩამოყალიბების ისტორია, ევროპული და ქართული არქიტექტურის ტრადიციების შერწყმის პროცესი, რომლის შედეგადაც ქართველ დიდებულთა ბაღების ტერიტორია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გადაიქცა შემლებული ფენისთვის თბილისის ერთ–ერთ პრესტიჟულ უბნად. გამოვკვეთეთ ამ უბნის დღევანდელი პრობლემატიკა, რაც უკავშირდება თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციების შემოჭრის და გაბატონების პერსპექტივას, განვიხილეთ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური პარადიგმები და ამ უბანში არსებული გამწვანების პრობლემები.

ჩვენი ყურადღება სოლოლაკზე შევაჩერეთ რიგ მიზეზთა გამო:

1) სოლოლაკი პირველი უბანია თბილისში, რომელიც განხორციელდა წინასწარ გააზრებული გეგმის საფუძველზე და სადაც ურბანული ქსელი რეგულარულ ხასიათს ატარებს.

2) სოლოლაკი სათავეს იღებს თბილისის ცენტრალური მოედნიდან, (თავისუფლების მოედანი) და ამასთნავე, ესაზღვრება შუასაუკუნეობრივი ბირთვის ნაწილს ქვემო კალას, სადაც ქუჩების ირეგულარული ქსელია შენარჩუნებული.

3) მიმდინარე საუკუნეში თბილისის ისტორიულ უბნებში მრავალი მცირე თუ მსხვილი მასშტაბის ინტერვენცია განხორციელდა, რაც ხშირ შემთხვევაში არღვევს უბნების ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს თუ სივრცით-მოცულობით სტრუქტურას. ამ თვალსაზრისით, საინტერესოდ მივიჩნიეთ სოლოლაკის

ანალიზი (ვიზუალური დათვალიერებით ჩარევები სხვადსხვა დოზით შეგვხვდა, რომელიც ანალიზს მოითხოვს).

4) დღესდრეობით მწვავეა ზოგადად ქალაქის უბნების სარეკრეაციო ზონების და გამწვანების საკითხი, რაც უბნის ესთეტიკასთან, გაჯანსაღებასთან და ჰუმანიზაციასთან უშუალო კავშირშია. ამ თვალსაზრისით მით უფრო საინტერესოა, სამეფო ბაღებით დაფარულ ტერიტორიაზე აღმოცენებული საცხოვრებელი უბნის ამჟამინდელი მდგომარეობა, პრობლემების გადაწყვეტის გზების გამოვლენა.

თემის აქტუალობა - ზოგადად, ისტორიული უბნების ესთეტიკის შენარჩუნების, იმავდროულად უბნის ჯენტრიფიკაციის, თანამედროვე ქალაქის „ცოცხალ ორგანიზმში“ მათი ინტეგრაციის პრობლემატური საკითხების გადაწყვეტის გზების ძიება არ კარგავს სიმწვავეს. სწორედ ეს განაპირობებს თემის აქტუალობას. თუკი ინვესტიცია გამოყენებული იქნება ამ უბნების გასაჯანსაღებლად, ის შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში ქალაქის და ინვესტორისთვის ბევრად უფრო მომგებიანი აღმოჩნდეს. ამისთვის აუცილებელია უბნის განაშენიანების კომპლექსური კვლევა და ანალიზი.

კვლევის მიზანია მოხდეს სოლოლაკის უბნის დღეს არსებული პრობლემების გამოვლენა არქიტექტურულ-მხატვრული და სოციოლოგიური (კვლევის ამოცანის ფარგლებში) ანალიზის საფუძველზე, დაისახოს პრობლემების გადაჭრის პერსპექტივები, განისაზღვროს პრიორიტეტები, რაც აისახება ნაშრომის დასკვნებში და რეკომენდაციებში. ამისთვის აუცილებელია შენობათა აღწერა-ანალიზი, საარქივო მასალების მოძიება და შედარება არსებულ შენობებთან, გამოვლინდეს ინტერვენციის მაგალითები და მოხდეს მათი კლასიფიცირება ჩარევის ხარისხის მიხედვით. გარდა ამისა გამოვლინდეს პრობლემები, რომლებიც არქიტექტურული ჩარევით გადაჭრას მოითხოვს.

მეცნიერული კვლევის ამოცანები

1. სოლოლაკის უბნის ცალკეული ქუჩების მოცულობითი სტრუქტურის არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზი.
2. დადგინდეს: ა) ქუჩების გაბარიტების შესაბამისობა როგორც ისტორიულ შენობებთან, ასევე თანამედროვე ნაგებობებთან მიმართებაში; ბ) ქუჩების კლასიფიკაცია დატვირთვის მიხედვით (შიდა კომუნიკაციის და სხვა უბნებთან დამაკავშირებელი ქუჩები); გ) ფუნქციის დომინირების მიხედვით (ქუჩაზე არსებული შენობათა ტიპებით განპირობებული უპირატესი ფუნქცია); დ) უბნის განაშენიანებისა და გამწვანების შესაბამისობა ახალმშენებლობის დაგეგმვის შემთხვევაში ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით.
3. ჩატარდეს უკვე განხორციელებული ინტერვენციის არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზი, დადებითი თუ უარყოფითი შედეგების გამოვლენა და დასკვნების ჩამოყალიბება სოლოლაკში ჩარევის დაშვების ხარისხის დასადგენად.
4. მოსახლეობის გამოკითხვა.

კვლევის თეორიულ– მეთოდოლოგიური საფუძვლები

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს ლიტერატურული და საარქივო წყაროების (შენობა–ნაგებობების პირვანდელი სახის დადგენის მიზნით) მოძიებას, შესწავლას, მათ შედარებით ანალიზს შესაბამის ადგილას დღეს არსებულ შენობა-ნაგებობებთან. ისტორიულ რუკებზე ობიექტების ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებას, არსებულ შენობათა ფოტოფიქსაციას, რეტროსპექტულ კვლევას, სოლოლაკის ქუჩების გაბარიტების დადგენას ინტერაქტიური რუკის მიხედვით, ინტერვენციის შემთხვევაში შენობათა ისტორიულ გარემოსთან შესაბამისობის ანალიზს მასშტაბის, სტილისტიკის, პროპორციების, ფერის და ფუნქციური შესაბამისობის თვალსაზრისით, კონსულტაციებს არქიტექტორებთან, რომელთა პროფესიული მოღვაწეობა ამ უბნის თანამედროვე იერსახის

ცვლილებასთან არის დაკავშირებული, ინტერვიუებს პროფესიონალებთან და სოლოლაკის უბნის მაცხოვრებლებთან, უბანში მიმდინარე და დაგეგმილი რეკონსტრუქციის კონცეფციის ანალიზს, უცხოური პარადიგმების მოძიებას და იქ ისტორიულ უბნებში არსებული პრობლემების გადაწყვეტის მეთოდოლოგიის შესწავლას და შედარებას სოლოლაკის მაგალითთან. ნაშრომში გარკვეული დოზით გამოყენებული იქნება ურბანული კვლევის მეთოდოლოგია, რაც დაკავშირებულია სოლოლაკის ესთეტიკასთან, უბნის გაჯანსაღების და საზოგადოებრივი სივრცეების ზრდის პერსპექტივასთან.

მხოლოდ ამ სამუშაოების ჩატარების შემდეგ გახდება შესაძლებელი გამოიკვეთოს სოლოლაკში არსებული პრობლემები და დაისახოს მათი გადაჭრის გზები, დაიდოს კონცეფცია სოლოლაკის ისტორიული განაშენიანების შენარჩუნების, ადაპტაციის, თუ თანამედროვე ქალაქში უფრო ეფექტურად ინტეგრაციის პერსპექტივებზე.

კვლევის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ საკვლევ უბანს – სოლოლაკს, საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს, რომლის დეტალურად ათვისება ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდოლოგიით ძალზე დიდ დროს (ან მკვლევართა ჯგუფის ჩართულობას) მოითხოვს, რაც დოქტორანტს შეზღუდული აქვს. ამდენად, ჩვენ თანმიმდევრულად განვახორციელებთ ქუჩების კლასიფიცირებას დატვირთვის, ფუნქციის, გაბარიტების, განხორციელებული ინტერვენციის მასშტაბის მიხედვით და პირველ რიგში ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე გავაანალიზებთ იმ ქუჩებს, სადაც ინტერვენციის მასშტაბი თვალშისაცემია.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ჩვენი კვლევის საგანი, თბილისის ისტორიული უბანი სოლოლაკი, დღემდე მეცნიერულად სათანადოდ არ არის შესწავლილი. როგორც ცნობილია, სოლოლაკის მიმდებარე შუასაუკუნეობრივი ბირთვი ქვემო კალა, ICOMOS-ის (The International Council on Monuments and Sites -

ძეგლთა და ღირსშესანიშნავი ადგილების დაცვის საერთაშორისო საბჭო) მიერ შემუშავებული პროექტის ფარგლებში იქნა გამოკვლეული და დაიდო დოკუმენტური მასალა ამ უბნის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. ჩვენი აზრით, თბილისის ყველა ისტორიული უბანი საჭიროებს ამგვარ ფუნდამენტურ კვლევას, მათ შორის სოლოლაკი.

თანამედროვე პერიოდში არ შესრულებულა სოლოლაკის უბნის განაშენიანების არქიტექტურულ-მხატვრული თავისებურებების (ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებების), აქ არსებული პრობლემების (არქიტექტურასთან მიმართებაში), თანამედროვე ქალაქის ცხოვრებაში ინტეგრაციის პერსპექტივების ერთიანი ანალიზი. სწორედ კვლევის ამგვარი კომპლექსური ხასიათი განსაზღვრავს ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს.

ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას განსაზღვრავს კვლევის მიზანი. შესაბამისად, ანალიზის შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები და რეკომენდაციები შესაძლებელია საბაზისო გახდეს სოლოლაკში მომავალში განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, ახალი მშენებლობის თუ მისი ადაპტაციისთვის. ეს გარკვეულწილად წაადგება იმგვარი ჩარევისაგან თავის დაცვას, რაც მივიღეთ თბილისის ზოგიერთ ისტორიულ უბანში.

კვლევის შედეგების აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომია „**სოლოლაკის სივრცით– მოცულობითი სტრუქტურის არქიტექტურულ–მხატვრული ანალიზი, პრობლემები, პარადიგმები“. სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების სია:**

1) **ძიძიგური მ., მესხი მ.** ; “სოლოლაკის ინტერვენციის საკითხისთვის (საცხოვრებელი სახლები ამაღლებისა და კოჯრის ქუჩების შეყრის ადგილას)“. სტუ. შრომები 2017 წ. № 2 (504) გვ. 140–149.
2) **ძიძიგური მ. , მესხი მ. ;** „ა. პუშკინის ქუჩის რეაბილიტაციის შედეგების ანალიზი“. სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტი. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“. 2017 წ. № 7, გვ. 236–244.

3) **მესხი მ.; „** თბილისის ერთი საქალაქთმშენებლო პრობლემის შესახებ (სოლოლაკის მაგალითზე)“; სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“. 2018 წ. № 8; 9, გვ. 153-163.

სამეცნიერო კონფერენციის მასალები:

1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სტუდენტთა 85–ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის, I პრემიის ლაურიატი თემა: „სხვადასხვა სახის ინტერვენცია თბილისის ისტორიულ უბნებში და პარადიგმები“. 04. 2017 წ.
2) სამეცნიერო კონფერენცია „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“. საკონფერენციო თემა: „თბილისის ერთი საქალაქთმშენებლო პრობლემის შესახებ (სოლოლაკის მაგალითზე)“. 05. 2017 წ. ეროვნული ბიბლიოთეკა.

კოლოქვიუმები და სემინარები:

კოლოქვიუმი 1

„სოლოლაკში ინტერვენციის საკითხისთვის (საცხოვრებელი სახლები ამაღლებისა და კოჯრის ქუჩების შეყრის ადგილას და გ. ლორთქიფანიძის ქ. №4)“.

კოლოქვიუმი 2

„სოლოლაკის ცალკული ქუჩების მოცულობითი სტრუქტურის არქიტექტურული ანალიზი“.

კოლოქვიუმი 3

„სოლოლაკში მცირე სარეკრეაციო სივრცეების პრობლემის შესახებ“.

სემინარი 1

„ა. პუშკინის ქუჩის რეაბილიტაციის შედეგების ანალიზი“.

სემინარი 2

„XIX – XX საუკუნეების ევროპული არქიტექტურის გავლენა ქართულ არქიტექტურაზე“.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა:

სადისერტაციო ნაშრომი არის 170 გვერდიანი, მასში არის 45 ფოტო, 2 სქემა, დანართი 1 და დანართში დართული 1 ცხრილი. ნაშრომი სტრუქტურულად შედგება რეზიუმეს, შესავლის, სამი თავის, დასკვნების, გამოყენებული ლიტერატურის, ილუსტრაციებიას, ცხრილების და სქემების ჩამონათვალისგან.

შესავალში განვიხილეთ საკვლევი თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი, მეცნიერული კვლევის ამოცანები, კვლევის თეორიულ – მეთოდოლოგიური საფუძვლები, კვლევის ობიექტის ძირითადი სირთულე, ნაშრომის მეცნიერული სიახლე, ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობაა, კვლევის შედეგების აპრობაცია.

დისერტაციის პირველ თავში განხილულია: სოლოლაკის განაშენიანების რეტროსპექტრული დახასიათება, თბილისის არქიტექტურული თავისებურებები სოლოლაკის განაშენიანების პერიოდისთვის; სოლოლაკის ჩამოყალიბების ეტაპები; სოლოლაკის ქუჩათა კლასიფიკაცია და განაშენიანების სტილისტური დახასიათება; ქუჩების განაშენიანების მასშტაბის ანალიზი.

განვახორციელეთ რეტროსპექტრული კვლევა. გავაანალიზეთ თბილისის ისტორიაში ახალი ეტაპის დაწყების წინაპირობები; ქალაქის ხუროთმოძღვრული სახის, ურბანული და სტილისტური ცვლილებების თავისებურებანი; მშენებლობაში ევროპული ფსევდოსტილების შემოდინების და დამკვიდრების პროცესი; სოლოლაკის უბნის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი ჩამოყალიბების ისტორია; მოვახდინეთ საარქივო მასალებში მოძიებული გეგმების შედარება დღევანდელ

მდგომარეობასთან; თითოეული ქუჩის კლასიფიკაცია და განაშენიანების სტილისტური ხასიათი.

დისერტაციის მეორე თავში განხილულია: თანამედროვე ცვლილებები ისტორიულ განაშენიანებაში; ინტერვენცია სოლოლაკში; ადგილობრივი ანალოგები; სხვა პარადიგმები (ინტერვენცია საზღვარგარეთ).

გავაანალიზეთ XXI საუკუნეში არსებული ინტერვენციის პრობლემა, სოლოლაკის ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებულ ჰუმანურ გარემოში არსებული განსხვავებული ხარისხის ინტერვენციის მაგალითები და ამ თანამედროვე იერსახის შენობების შესაბამისობა არსებულ გარემოსთან. გამოვკვეთეთ ინტერვენციის შემთხვევები იგივე პერიოდში ჩამოყალიბებულ, სოლოლაკის მიმდებარედ არსებულ და სხვა ისტორიულ ტერიტორიაზე. ასევე, მსგავსი ლანდშაფტის და ისტორიული განაშენიანების მქონე გარემოში არსებული ძველი და ახალი არქიტექტურის სინთეზის ამსახველი პარადიგმები. მათემატიკური გაანგარიშებით გავაანალიზეთ ქუჩების განაშენიანების მასშტაბი.

დისერტაციის მესამე თავში განხილულია: სოლოლაკში არქიტექტურიული ლანშაფტის მნიშვნელობა; სოლოლაკში მცირე სარეკრეაციო სივრცეების და გამწვანების პრობლემის ანალიზი; საზღვარგარეთის გამოცდილება, პრობლემების გადაწყვეტის გზები საზღვარგარეთ და შედარება თბილისთან; სოლოლაკის პრობლემების რანგირება მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე.

გავაანალიზეთ სოლოლაკში ლანშაფტის არქიტექტურის მნიშვნელობა, მცირე სარეკრეაციო სივრცეების და გამწვანების საკითხთან დაკავშირებული პრობლემები; საზღვარგარეთ არსებული მდგომარეობა, პრობლემების გადაწყვეტის გზები, მათი შედარება თბილისთან.

აღვწერეთ სოლოლაკის ტერიტორიაზე დღეს არსებული მდგომარეობის ის სიმწვავე, რომელსაც განაპირობებს გამწვანებული სივრცეების და ადგილობრივი მოსახლეობისთვის განსაზღვრული საკომუნიკაციო

ადგილების ნაკლებობა. რიცხობრივად გამოვთვალეთ ამ ტერიტორიაზე არსებული გამწვანების მაჩვენებელი.

მოვახდინეთ სოლოლაკის პრობლემების რანგირება მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე.

წყაროების მიმოხილვა:

დისერტაციაში გამოყენებულია სადისერტაციო თემის გარშემო არსებული და გამოქვეყნებული შემდეგი სამეცნიერო ნაშრომები:

ბერიძე ვ. „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801–1917“; წიგნში განხილულია XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის პირველ ათეულ წლებამდე თბილისის, როგორც ფეოდალური ქალაქის ზრდა–განვითარების ტენდენციები, მისი ევოლუციის პროცესი, ევროპიდან რუსეთის გზით შემოსული არქიტექტორების მიერ იმ ახალი თემატიკის შემოტანის და დამკვიდრების პროცესები, რამაც ეროვნული არქიტექტურის ევროპულ ფსევდოსტილებთან შერწყმას შეუწყო ხელი.

ძიძიგური მ. „თბილისისა და ლისაბონის ორი ისტორიული უბნის შედარებითი ანალიზი და პრობლემატიკა“; ნაშრომში განხილულია სოლოლაკის უბნის ჩამოყალიბების პროცესი, ამ ტერიტორიაზე ეროვნული სახასიათო არქიტექტურის შენარჩუნებისა და თანამედროვე ქალაქში ინტეგრაციის საკითხი. ორი ქალაქის - თბილისის და პორტუგალიის დედაქალაქის- ლისაბონის, მსგავსი ტენდენციების მქონე ისტორიული უბნების შედარება რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე; ურბანული და არქიტექტურულ–მხატვრული ხასიათის გამოვლენა მათი იდენტურობის გათვალისწინებით. აღნიშნულია ტიპოლოგიურად ერთგვარი და სტილისტიკით განსხვავებული შენობები. ავტორის მიერ გამოკვეთილია არსებული პრობლემატიკა და გაცემულია რეკომენდაციები

კონკრეტული შენობისთვის წარმოებული ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის საფუძველზე.

მანია მ. „Architeqtural Walks of old Tbilisi"; Fund for the preservation of Cultural Heritage of Georgia. წიგნი განკუთვნილია ძირითადად უცხოელი ტურისტებისთვის, მასში მოკლედ მიმოხილულია ისტორიული უბნების, მათ შორის სოლოლაკის ტერიტორიაზე არსებული გამორჩეული არქირექტურულ–მხატვრული ღირებულების მქონე შენობები, მათთვის დამახასიათებელი სტილისტური მიმართულებები, ზოგიერთი შენობის საინტერესო ისტორია და მათი ცნობილი მფლობელები.

Квирквелия Т. „Тбилиси в составе Российской империи"–წიგნში განხილულია თბილისის ქალაქთმშენებლობის და არქიტექტურის მიმართულებით განვითარების პერიოდი მისი დაარსებიდან XX საუკუნის ბოლო წლებამდე. წარმოდგენილია მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული, თეორიული საპროექტო მასალები, თბილისის ბაღ-პარკების საინტერესო გრაფიკული და ფოტო ილუსტრაციები, ჩამოყალიბებულია მათი ანალიზი.

ჯანბერიძე ნ. -"ქართული საბჭოთა არქიტექტურა". წიგნში განხილულია საბჭოთა პერიოდის საქართველოს და კერძოდ თბილისის არქიტექტურული სახის განვითარების ეტაპები, ამ პერიოდში აგებულ, ღირებულ შენობათა აღწერა გრაფიკული და ფოტომასალის გამოყენებით.

Kenneth Frampton Modem Architecture, Critical History, fourth edition, Thames and Hudson, 2014; კრიტიკოსი განიხილავს კრიტიკული რეგიონალიზმის დამახასიათებელ თავისებურებებს. კრიტიკული რეგიონალიზმი არ ხასიათდება ინტერნაციონალიზმით და არქიტექტურის საშუალებით რეგიონის ისტორიის გამოხატვით. ის კონკრეტული შენობის სპეციფიკურ ელემენტებს წარმოგვიდგენს არა აშკარად, არამედ რეფლექტურად ასახვის გზით. კრიტიკული რეგიონალიზმი არსობრივად

ერთგვარი მედიატორია მსოფლიო ცივილიზაციის და ადგილის ინდივიდუალობის ურთიერთგავლენისა.

წულაძე ი. „თბილისის სოლოლაკის უბნის გაჯანსაღების პრინციპების განსაზღვრა ქალაქთმშენებლობითი და კლიმატოლოგიური კვლევის საფუძველზე“, 2007. კვლევაში წარმოდგენილია სოლოლაკის რეკონსტრუქცია-გაჯანსაღებისთვის საჭირო რეკომენდაციები, საუბარია ურბანული განვითარების და ლანდშაფტის თავისებურებებზე, შენობათა მხატვრულ მხარეზე, ინსოლაციაზე, ავარიული და უკანონო ნაგებობებისაგან გამონთავისუფლებულ ტერიტორიაზე გამწვანების მოწყობის საჭიროებაზე.

1 თავი

სოლოლაკის განაშენიანების რეტროსპექტრული დახასიათება. ქუჩების განაშენიანების მასშტაბის ანალიზი

1.1. თბილისის არქიტექტურული თავისებურებები სოლოლაკის გაშენების პერიოდისთვის.

თბილისის მიდამოებში მოსახლეობის გაჩენა სავარაუდოდ ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის დასაწყისს მიეკუთვნება. არქეოლოგიური მონაპოვარი აქ არსებული მოსახლეობის რომთან და აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობასაც ამტკიცებს. თბილისის მოხერხებულმა მდებარეობამ მისი ციხე–ქალაქად გადაქცევა და მსოფლიო ასპარეზზე დაწინაურება გამოიწვია.

თბილისის აღმოცენების ადგილად მიჩნეული აბანოთუბნის ტერიტორიის თანდათან ჩამოყალიბებასა და გაფართოებასთან ერთად, ვითარდებოდა ქალაქის მოცულობითი და გეგმარებითი სტრუქტურის საფუძვლები. ქალაქმა დასაბამიდან მის მთავარ მაგისტრალზე, მდინარე მტკვრის ჯერ მარჯვენა, შემდეგ მარცხენა სანაპიროზე დაიწყო გაშლა. მტკვრის ურთიერთსაპირისპირო მხარეებზე აღმართული ციტადელები კი, საუკუნეების მანძილზე დომინანტებად რჩებოდნენ ფეოდალური თბილისის განაშენიანებაში.

მტრისგან მიყენებული დაცემის თუ შემდგომი აღზევებიდან გამომდინარე, საუკუნეების მანძილზე ქალაქი არქიტექტურული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა.

თავისი არსებობის მანძილზე უცხოელ დამპყრობთა შემოსევებით მრავალ ჭირგამოვლილი თბილისის ისტორიის ბედისწერა სხვა მიმართულებით წარიმართა. განადგურებულ თბილისში მნიშვნელოვანი შენობებიდან მიწის ზედაპირზე საკვლევად თითქმის აღარაფერი შემორჩა. შესაბამისად, მეფეთა და ფეოდალთა საცხოვრისის შესახებ ჩვენამდე მცირე ინფორმაციამ მოაღწია. ძირითადად კი, მეცხრამეტე საუკუნემდე

თბილისის არქიტექტურის შესახებ არსებული ინფორმაცია გადმოცემებს თუ მოგზაურთა და ისტორიკოსთა მიერ აღწერილ მონაცემებს ეფუძნება. ამ ინფორმაციის თანახმად დიდგვაროვანთა სასახლეების უმეტესობა აღმოსავლური სტილის ყოფილა. ზოგი მკვლევარის აზრით, შემორჩენილი სასახლეების ნაკლებობა შესაძლოა იმითაც აიხსნას, რომ საქართველოში საერო არქიტექტურაზე მეტად საკულტო ნაგებობებს ექცეოდა ყურადღება.

ძველი ფეოდალური თბილისის დასახასიათებლად აღსანიშნავია წერილობითი ცნობები, შარდენის (1671 წ.) და ტურნეფორის (1701 წ.) მიერ შედგენილი, შემორჩენილი გრაფიკული მასალა და რაც მთავარია, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი 1735 წ. გეგმა, რომელშიც ასახულია იმდროინდელი თბილისის ტერიტორია და აღნიშნულია ის სამეფო ბაღები, სადაც დღეს სოლოლაკის უბანია.

XVIII საუკუნის ბოლოდან თბილისის მნიშვნელოვნად შეფერხებულმა განვითარებამ დროთა განმავლობაში გამოცოცხლება დაიწყო. ხელახლა შენდებოდა თბილისისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა დანიშნულების შენობები, რომელთაგან ბევრი ძველ ტრადიციებს აგრძელებდა.

XIX–საუკუნის მიჯნაზე ჯერ კიდევ ფეოდალური ქალაქი, გალავანშემორტყმული თბილისი, გარე სამყაროს გალავანში მოწყობილი კარიბჭეებით უკავშირდებოდა. ნარიყალასა და მეტეხის პლატოს შორის მტკვრის სანაპიროზე გაშენებულმა თბილისმა, რომელსაც შემორჩენილი ჰქონდა შუა საუკუნეების დამახასიათებელი ვიწრო ქუჩათა ქსელი, განვითარება თანდათან სხვა მიმართულებით დაიწყო. არსებული სასახლეები, ქარვასლები, კათედრალი, მთავარი მოედნები და სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტები ძველ ცენტრში რჩება. თბილისი ტერიტორიის გაშლას ძველი გალავნის გარეთ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რუსეთის გზის გასწვრივ ჩრდილოეთ ტერიტორიებზე იწყებს (შუასაუკუნეების ქალაქის მიმდებარედ) და ფეოდალური ციხე–ქალაქიდან ახალი ტიპის, თემატიკის და ახალი ფორმების ქალაქად ყალიბდება.

ისახება მომავალი მოედნის კონტურები, იკვეთება კოჯრის და დიღმის გზები. ქალაქის ადმინისტრაციულ, ფინანსურ და კულტურულ ცენტრად ამჟამინდელი თავისუფლების მოედანი (იმ დროისთვის ერევანსკის მოედანი) და დღევანდელი თბილისის მთავარი არტერია – რუსთაველის გამზირი (ყოფილი გოლოვინის გამზირი) ყალიბდება. გარდა ადმინისტრაციული შენობებისა, ამ ტერიტორიაზე იგება ახალი ტიპის დაწესებულებები, სასწავლებლები, სპეცდანიშნულების შენობები. აიგო ქარვასლა, რომელშიც ასევე თბილისის პირველი საოპერო თეატრი განთავსდა (1847 წლის ხანძრის შემდეგ მხოლოდ ქარვასლა დარჩა, სოციალისტური რეკონსტრუქციის დროს შენობა მთლიანად იქნა აღებული). ჯერ კიდევ მაშინ შეიქმნა სოლოლაკის დაგეგმარების პროექტი, რომელიც საფუძვლად დაედო უბნის ქუჩათა ქსელის ჩამოყალიბებას.

ახალი ეტაპის დაწყებით ქალაქის არქიტექტურის შინაარსობრივმა ცვლამ ახალი ცხოვრების სტილისთვის სხვა მოთხოვნები გახადა პრიორიტეტული. წარმოიშვა ახალი ფორმების შემუშავების აუცილებლობა. მკვიდრდებოდა კაპიტალისტური სისტემისთვის დამახასიათებელი ნიშნები, იცვლებოდა ქალაქის დაგეგმარება, ახალი უბნების მშენებლობები გარშემო არსებული მთების ფერდობებისკენ მიიწევდა.

ახალი ოფიციალური მშენებლობის სფეროდან თანდათან განიდევნა ქართული ეროვნული არქიტექტურის ტრადიციები. საცხოვრებელი სახლის არქიტექტურამ კი შეინარჩუნა ძველი ტრადიციები და ახალ ფორმებთან შერწყმული ინდივიდუალური ხასიათი შეიძინა.

1801 წლიდან საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლას თბილისის ურბანული თუ სტილისტური ცვლილება მოჰყვა. ახალი მმართველები თბილისის ახალ უბნებში ევროპული სტილის დამკვიდრებას ცდილობდნენ და მშენებლობაშიც თავიანთ შეხედულებებს აკანონებდნენ. მაგალითად: 1805 წლიდან მშენებლობისთვის საჭირო ხდება შესაბამისი ნებართვები, 1810 წლიდან მთავარმმართებელ ტორმასოვის განკარგულებით ყურადღება ეთმობა ფასადების დამუშავების საკითხებს,

1815 წლიდან მთავარმმართებელ რტიშჩევის გადაწყვეტილებით საბოლოოდ ჩამოყალიბდა სახლის მშენებლობისთვის საჭირო პროცედურების ნუსხა. მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოების დასახელება და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შემდგომ წლებშიც იცვლებოდა.

50–60-იანი წლებიდან იცვლება გეგმარება და უკვე საგრძნობი განხვავებაა თბილისის ძველ და ახალ უბნებს შორის. ახალი უბნების (მათ შორის სოლოლაკის) დაგეგმარების რეგულარული ხასიათი და ურთიერთპარალელურ თუ პერპენდიკულარულ ქუჩათა შორის არსებული, მწვანე ნარგავებიანი მოზრდილი კვარტლები განსხვავებულია შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი, დახლართული და ქაოსური ქუჩების ქსელით ფორმირებული (მაგ. კალა), ძველი უბნების სიმწვანეს მოკლებული კვარტლებიდან. თბილისის მშენებლობაში პირველად ჩნდება გეგმიანი საწყისი, სავალდებულო წესები და ნორმები. ამიტომ, ქალაქის შემდგომი განვითარება გარკვეული კალაპოტის ფარგლებში ექცევა.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების შემდგომ, თბილისი საბოლოოდ კარგავს ფეოდალური ქალაქის სახეს და თანდათან ტიპიურ კაპიტალისტურ ქალაქს ემსგავსება. თბილისელთა ყოფა–ცხოვრებაში ყალიბდება ევროპული ჩვევები. ცვლილებებს განიცდის ქალაქის ხუროთმოძღვრების სახე, ნელდება ადგილობრივი ტრადიციის ძალა. მშენებლობის ხასიათი, თემატიკა, არქიტექტურა, თბილისშიც უკვე რუსეთის იმპერიაში არსებული სტანდარტების მსგავსია.

თბილისში მოდური ხდება ევროპიდან რუსეთის გზით შემოსული სხვადასხვა არქიტექტურული სტილი. ევროპასა და რუსეთში გაბატონებულ, გვიანდელ კლასიციზმის სტილში შენდება ცენტრალურ უბანში თავმოყრილი სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო უწყებათა დაწესებულებები (სურ.2). ბევრი მათგანი როგორც სანიმუშო პროექტების, ასევე რუსეთში შექმნილი პროექტების მიხედვითაც იქმნებოდა.

თბილისურმა არქიტექტურამ თანდათან შეითვისა ევროპული სტილების მოტივები.

ამ პერიოდში კლასიცისტური მოტივების გამოყენებით აგებული ღირებული შენობებია: ამიერკავკასიის სამხედრო შტაბი, 1824 წ.; 1830–1840 წლებში აგებული იაკობ ზუბალაშვილის სახლი (შემდეგ სასულიერო სემინარია), არქიტექტორი ჯუზეპე ბერნარდაცი; მთავარმართებლის სახლის პირვანდელი ფასადი (ამჟამად მოსწავლე–ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე), 1865–68 წწ. არქიტექტორი ი. სემიონოვი, ეს შენობა შემდგომ არქიტექტორ ოტო სიმენსონის პროექტით რამდენჯერმე გადაკეთდა და არსებული ფასადები რენესანსულით შეიცვალა; კეთილშობილთა სასწავლებელი 1837–1840 წწ. (გიმნაზია, ახლანდელი 1 საჯარო სკოლა); არსენალის შენობა (მთავრობის სახლის ზემო კორპუსის ადგილას); ნავთლუღის ჰოსპიტალის ზამთრის კორპუსი 1821წ.; 20–იან წლებში აგებული ყაზარმები ავლაბარში; საინჟინრო უწყების სახლი 1827წ. ჯორჯიაშვილის ქუჩაზე; ჰაუპტვახტი–კინო რუსთაველის ადგილას და ა.შ.

ფსევდო რენესანსულ–ბაროკული სტილის შენობებიდან აღსანიშნავია: სასამართლოს შენობა, 1894 წ., არქიტექტორი პ. შიმკევიჩი; რუსთაველის თეატრი, რომელშიც ასევე როკოკოს მოტივებიცაა (ყოფილი საარტისტო საზოგადოება), არქ. კ. ტატიშჩევი, პ. შიმკევიჩი,1887 წელი; უნივერსიტეტის I კორპუსი, XX ს. დასაწყისი (ყოფილი ქართული გიმნაზია), არქიტექტორი ს. კლდიაშვილი; სასტუმრო „მაჟესტიკი“ (შემდეგ სასტუმრო თბილისი), XIX საუკუნის 10–იანი წლები, არქიტექტორი ტერ–მელიქოვი.

ფსევდო გოთიკურ სტილს ყველაზე მკაფიოდ წარმოადგენს კარ–სარკმელთა ალათების ისრული ფორმა, ფრამუგა ორ–ორი სამკბილა თაღით, მათ თავზე სამ ან ოთხყურა მედალიონით (სურ. 5 ა, ბ), წყვილი თაღოვანი სარკმელი გამაერთიანებელი თაღით და სხვა მსგავსი დეტალები. მაგალითები მოიპოვება სახვადასხვა ქუჩებზე. მათ შორის ლ. ასათიანის ქ. №28, კოჯრის ქ. №2 და ა.შ.

მოდერნის (არტ–ნუვო) მოტივებით აღსანიშნავია შენობები: მარჯანიშვილის თეატრი. არქ. ს. კრიჩინსკი, 1907 წ.; ეროვნული ბიბლიოთეკის მე–3 კორპუსი (ყოფილი სახელმწიფო ბანკის კანტორა ლ. გუდიაშვილის ქუჩაზე), 1910 წ. არქიტექტორები: მ. ოჰაჯანოვი და რ. გოლენიშჩევი; ბანკი გ. ლეონიძის ქუჩაზე, 1914 წ. არქ. მ. ოჰაჯანოვი; კინოთეატრი "აპოლო", 1909 წ.

გვხვდება შენობები, რომელთაც მხოლოდ ნაწილობრივ ახასიათებთ მოდერნის სტილის ელემენტები: გრიბოედოვის თეატრი, ფოსტა–ტელეგრაფის შენობა და სხვა.

მოდერნის (არტ–ნუვოს) ხასიათის შემოსავლიანი სახლების ბევრი საინტერესო ნიმუშია თბილისში და მათ შორის სოლალაკის უბნის ტერიტორიაზე. მაგ. მწერალთა სახლი ივანე მაჩაბლის ქ. № 13 (სურ. 7), გ. ტაბიძის ქ. № 3/5 (სურ. 11 ბ), დ. ჭონქაძის ქ. №12 (სურ. 32) და ა. შ.

თბილისის ოფიციალურ მშენებლობაში გვიანი რუსული კლასიციზმის სტილი თუ „მზამზარეულად" გადმოინერგა, საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში სიახლის შეთვისება თანდათანობით და ორგანულად ხდებოდა [1].

საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში სტილთა სინთეზის შედეგად, იმპერიაში დამკვიდრებულ არქიტექტურას დაემატა თბილისისთვის დამახასიათებელი ელემენტები: ხის აივნები, ფერადმინიანი შუშაბანდები, დახვეული კიბეები და ჩამოყალიბდა იმ პერიოდის საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა, 2–3 სართულიანი ეზოიანი თბილისური სახლის სახე. ესაა თავისებური ტიპი, სადაც ევროპული ელემენტები ორგანულად ერწყმის თბილისისთვის დამახასიათებელ ფორმებს.

საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში მნიშვნელოვანია ე.წ. შემოსავლიანი სახლის ტიპი, რამდენიმე სართულიანი სახლი, რომელიც მრავალ გასაქირავებელ ბინას შეიცავს.

მიჯრით მოწყობილი შემოსავლიანი სახლები ავსებს ქალაქის საცხოვრებელ უბანს და არსებით გავლენას ახდენს ქალაქის საერთო სახის შექმნაზე.

XIX საუკუნიდან მშენებლობა ძირითადად ე. წ. „სანიმუშო პროექტებით“ წარმოებდა. ამდენად, ამ პერიოდის საცხოვრებელ სახლებს შორის გამოიყოფა:

ა) საკუთარ საცხოვრებლად აშენებული სახლები;

ბ) გასაქირავებელი, ე.ი. შემოსავლიანი სახლი.

ორივე ჯგუფში თვალსაჩინოა სოციალური დაყოფა.

დაგეგმარების მიხედვით ასევე სახლების ორი ჯგუფია: ა) შენობები, რომლებიც ტრადიციულ, თბილისურ გეგმას ემხრობა და ანვითარებს (ოთახების ანფილადური წყობა); ბ) შენობები, რომელთა გეგმა სცილდება თბილისურ ტრადიციებს [1].

1.2. სოლოლაკის ჩამოყალიბების ეტაპები

სოლოლაკის (ანუ სალალაკის) ტერიტორიის აღწერა და მისი დასახელების წარმოშობა ოფიციალური წყაროებიდან არაბების ბატონობის ხანას უკავშირდება. ციხის ბაღის მოსარწყავად აღდგენილი სარწყავი არხის სახელი (არაბულად „სულუ ლაჰ“, თურქულად –წყალი), მოგვიანებით ეწოდა მის მკვებავ ნაკადულს და იმ მთის კალთას, რომელზედაც ეს უბანია შეფენილი. XIX საუკუნიდან იგივე სახელი დაერქვა თვითონ უბანს. ამგვარად, ადრინდელი ავანაანთხევის ნაცვლად, ტერიტორიაზე სადაც ქართველ დიდგვაროვანთა ბაღები იყო, გაჩნდა ტოპონიმი სოლოლაკი.

დღევანდელი სოლოლაკის უბნის ტერიტორია ისტორიულად სოლოლაკის ქედის ჩრდილოეთ ფერდობის ნაწილია და მას მეორე მხრიდან მთაწმინდის ქედის სამხრეთი კალთები საზღვრავს.

ბატონიშვილ ვახუშტის მიერ ინსტრუმენტების გარეშე 1735 წელს შედგენილი გეგმის მიხედვით, აქ ადრე არსებული სამეფო ბაღები კალას

ტერიტორიას და დღევანდელი თავისუფლების მოედანს ესაზღვრებოდა. აღნიშნულ ტერიტორიაზე დატანილია „ამარათი“ - სავარაუდოდ მეფის ერთ-ერთი რეზინდეცია. გეგმაზე ასევე მინიშნებულია გზა, რომელიც ახლანდელ ლ. ასათიანის ქუჩას თანხვდება. ბაღების გასწვრივ, დღევანდელი ამაღლების ქუჩის ხაზზე ჩამოედინებოდა სოლოლაკის წყალი, რომელიც კვეთდა დღევანდელი თავისუფლების მოედანს, შემდეგ კი, ა. პუშკინის და ნ. ბარათაშვილის ქუჩების გავლით მტკვარში ჩაედინებოდა. ეს გახლდათ ე.წ. ავანაანთხევი, რომელსაც მე-19 ს-ის პირველი ნახევრიდან სოლოლაკის ხევის სახელი შეერქვა.

მე-19 საუკუნის გარეთუბანში ქართველ დიდებულთა ბაღების ადგილას, ადმინისტრაციული ცენტრის მიმდებარედ და შუასაუკუნეობრივი ქალაქის მოსაზღვრედ, ყალიბდება იმ დროის თბილისის პრესტიჟული საცხოვრებელი უბანი სოლოლაკი, რომლის განაშენიანებასაც შეუბრალებლად ეწირებოდა აქ არსებული ბაღები. მათ ვახუშტი ბაგრატიონი მოიხსენებს როგორც „წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლის ხილითა და ყვავილთა სავსე“, „გარემო ქალაქისა“.

ერთ-ერთი პირველი გეგმა, რომელშიც გრაფიკულად აისახა სოლოლაკის ტერიტორია, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილი გეგმაა (გეგმა 1), სადაც სოლოლაკის ტერიტორია სამეფო ბაღებს უჭირავს. მიმდებარე ტერიტორიაზე აქ მინიშნებულია ბეჟანას ქარვასლა, კოჯრის კარი და დიდებულთა ბაღები.

ამ გეგმაზე შესაძლებელია ახლანდელი თავისუფლების მოედნის სავარაუდო ტერიტორიის და ზოგიერთი ქუჩის ხაზების ამოცნობა. ესენია, შალვა დადიანის ქუჩის ხაზი სოლოლაკის ქედამდე, ლ. ასათიანის და გ. ლეონიძის ქუჩების მიმართულებები.

* ნაშრომში წარმოდგენილ გეგმებზე არსებული ქუჩების ხაზები აღინიშნება ექსპლიკაცია 1 (გვ. 152) წარმოდგენილი ნუმერაციით.

უბნის განვითარება XIX საუკუნის I ნახევარში დაიწყო. მთებმა და რელიეფმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს განაშენიანების კონტურის ჩამოყალიბებაში. სოლოლაკის ურბანული დაგეგმარების პირველი გეგმა 1828 წელს შედგა (გეგმა №2). მნიშვნელოვანია, რომ ეს იყო მხოლოდ პროექტი, თბილისის ისტორიაში პირველი (ლოკალური ხასიათის) წინასწარ გააზრებული გეგმა რეგულარული ხასიათის ქუჩათა ქსელით, სადაც განსაზღვრულია ქუჩათა საპროექტო ხაზები და მათი მიმართულებები.

1844 წლის საყრდენი გეგმა უფრო სრულყოფილი და რეალობის ამსახველია (გეგმა №3). მასზე სრულად ჩანს ამჟამინდელი გ. ტაბიძის და შ. დადიანის ქუჩების ხაზები. მ. ლერმონტოვის, გ. ლეონიძის, ლ. ასათიანის ქუჩების ხაზები კი თითქმის ბოლომდეა ნაჩვენები. დანარჩენი ქუჩების მხოლოდ საწყისი მიმართულებებია აღნიშნული. ამჟამინდელი ლ. ასათიანის, (ყოფილი ენგელსის) ქუჩა სოლოლაკის ქედის ფერდობს, კლდისუბანს გამოჰყოფს შედარებით დაბლობ, განაშენიანებისთვის ხელსაყრელ რელიეფისგან. ასევე, ამ გეგმაზე ნაწილობრივ შეიმჩნევა დანარჩენი ქუჩების მიმართულებები. აღნიშნულ ქუჩებზე რამდენიმე მცირე ნაგებობაც ჩნდება.

1847-1857 წლებში აგურის კამარით გადაიხურა სოლოლაკის ხევი. (მიმდინარე საუკუნეში, მიწისქვეშა გადასასვლელის მშენებლობისას მისი ნაწილი გამოჩნდა ე.წ. კოლმეურნეობის მოედნის, ამჟამად ორბელიანის მოედანის მიდამოებში და გამოყენებულია გადასასვლელის არქიტექტურულ გაფორმებაში). სოლოლაკის ხევში გაკეთდა ჯებირი და ღვარსადენი, დაარსდა ახალი ქუჩები და ბაღების ტერიტორია ბურჟუაზიული საცხოვრებელი სახლებით ივსებოდა.

სოლოლაკის განაშენიანების ხასიათი ძირითადად უკვე განსაზღვრული იყო მე-19 საუკუნის შუა წლებიდან, მისი ტერიტორიის ინტენსიური ათვისება მთელი XIX საუკუნის მანძილზე და მე-20 ს-ის დასაწყისშიც გრძელდებოდა. ორმოცდაათიანი წლებიდან ახალი უბნის ცხოვრებასა და

კერძოდ არქიტექტურაში ნელდება ადგილობრივი ტრადიციის ძალა. საცხოვრებელი სახლის გარეგნობაც იმდროინდელ დასავლეთ ევროპასა და რუსეთში გავრცელებულ სახეს იღებს. სოლოლაკის განაშენიანება (ისევე როგორც თბილისური სახლები), კერძოდ საცხოვრებელი სახლები, თავისი მასშტაბით რუსეთის იმპერიის მთავარი ქალაქების შენობებს ჩამორჩება, მაგრამ მშენებლობის ხასიათი, თემატიკა და არქიტექტურა იმდროინდელ დასავლეთ ევროპისა და რუსეთის იმპერიაში არსებულის მსგავსია. ამ პერიოდიდან შესამჩნევია კონტრასტი ქალაქის ბურჟუაზიულ უბანს – სოლოლაკსა და გარეუბნების განაშენიანებას შორის.

მეტი ცვლილებაა თვალშისაცემი 60–იანი წლებიდან, სადაც სოლოლაკის ქუჩები რეგულარული ხასიათით შესამჩნევად განსხვავდება ძველი უბნებისგან [1]. ამ პერიოდში აგებული სახლებისთვის ფასადთა დამუშავების კლასიკური დეტალების ცვლილებასთან ერთად, მთავარმართებლის (ვორონცოვის) მითითებით გათვალისწინებული იყო ფასადთა შელესვა-შეღებვა. ზოგიერთი ასეთი სახლი დღემდე შემონახულია სოლოლაკში, მაგ. ი. მაჩაბლის ქ. №3; კოჯრის ქუჩაზე სახლები №2 და №5.

შემდეგ წლებში ქუჩების ჩამოყალიბება აქტიურად გრძელდება, განაშენიანება მთის ფერდს უახლოვდება. ზოგიერთმა ქუჩის ხაზმა განიცადა ზრდა (მაგ. ლ. ასათიანის, მ. ლერმონტოვის, ამაღლების, ივ. მაჩაბელის, გ. ქიქოძის ქუჩებმა), ან ნაწილობრივ შეიცვალა მიმართულება (მაგ. პ. იაშვილის, გ. ლეონიძის ქუჩები). 1867–იანი წლებიდან არსებული ვითარებით სოლოლაკის რეგულარული ბადისებური გეგმარებითი სტრუქტურა ფაქტობრივად ჩამოყალიბებულია (გეგმა №3). ამ გეგმაზე გამოკვეთილი სოლოლაკის ურბანული ხასიათი და ზოგიერთი შენობა დღემდე შენარჩუნებულია, რასაც შემდგომი პერიოდების გეგმები მოწმობს. (მაგ. პროექტები: სახლის გეგმები და ფასადი, გ. ტაბიძის ქ. №20, 1859 წ.; პ. ინგოროყვას ქ. №9; კოჯრის ქ. №5, 1860 წ. არქიტექტორი ა. სოკოლოვი; ბებუთოვის სახლი გ. ტაბიძის ქ. №9 –ფასადი, 1865 წ.).

აქ, მსხვილი ბურჟუაზიის „ციტადელად'' ქცეულ უბანში, თავს იყრის XIX საუკუნის თბილისისთვის დამახასიათებელი ფსევდოსტილების ერთობლიობა. ძირითადად რენესანსულ-ბაროკული, კლასიცისტური, აქა-იქ გოთიკური, ისლამური, მავრიტანული, გვხვდება მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის 10-იანი წლებისთვის მოდური ევროპული სტილი მოდერნი, იგივე არტ–ნუვო, ასევე ქართული არქიტექტურული ელემენტების, თბილისური ხის დაკიდული აივნების და ზემოხსენებული სტილების ფასადების სინთეზი.

1880 წ. გეგმით ქუჩათა ქსელი სრულადაა ჩამოყალიბებული, ხოლო 1902 წლის სოლოლაკის გეგმაზე უკვე ჩამოყალიბებულ ქუჩების ქსელს სახელწოდებებიც ერთვის. 1913 და 1924 წლების გეგმები ფაქტობრივად სოლოლაკის უბნის ანალოგიურ სურათს ასახავენ.

1.3. ქუჩათა კლასიფიკაცია და სტილისტური დახასიათება

სოლოლაკის განაშენიანებამ ჩვენამდე თითქმის უცვლელი სახით მოაღწია. შენობების უმრავლესობა სოლოლაკის ქუჩებზე (ისევე როგორც თბილისის სხვა პრესტიჟულ უბნებში), იგებოდა შეძლებული ფენის მაცხოვრებელთა ნებასურვილით და ისეთი ცნობილი და გამოცდილი არქიტექტორების პროექტების მიხედვით, როგორებიც იყვნენ ალბერტ ზალცმანი, ო. სიმონსონი, ა. ტატიშჩევი, ა. ოზეროვი და სხვა. მათ განსაზღვრეს ახლებური განაშენიანების მასშტაბი და სტილისტიკური სახე. არქიტექტორთა პროექტებს იმ დროის ცნობილი მაგნატები აფინანსებდნენ, მათ შორის იყვნენ: სარაჯიშვილი, ზუბალაშვილი, თამამშევი, მანთაშევი, ბებუთოვი და სხვანი.

მიჯრით მდგარი შენობების მდიდრული იერის მქონე ევროპული ფასადები, ზოგან ქართულ ყაიდაზე გამართული ხის ჭვირული, თუ უფრო გვიანი პერიოდის ლითონის ორნამენტული აივნებით (სურ. 10 ა, ბ), ქუჩათა მრავალფეროვნებას განაპირობებენ. საცხოვრებელი ფლიგელი ქუჩას გრძივად მიუყვება, თბილისური საცხოვრებელი სახლების აუცილებელი

კომპონენტია სახლების უკანა მხარეს საერთო ეზო და დამახასიათებელი გრძივი პერიმეტრული საკომუნიკაციო ხის აივნები ან შუშაბანდები (სურ. 8). მდიდარი ბურჟუაზიის და სახელმწიფო მოხელეების მდიდრულ სახლებს კეთილმოწყობილ ბინებთან ერთად, კედლების და იატაკის სალონური მხატვრობით გაფორმებაც ინდივიდუალურობას ანიჭებდა. სახლის ფეშენებლური სადარბაზოები მეპატრონეთა ერთგვარ სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა. ორნამენტებითა თუ ხის არშიით დამშვენებული მოაჯირი თუ ვიტრჟებით, გეომეტრიული ნახატებითა და დეკორაციებით საგანგებოდ გაფორმებული ინტერიერი, ზოგჯერ ფასადების პროპორციებს, სტილსა თუ დეკორის ორნამენტულ მოტივებსაც ეხმიანებოდა. მაგალითად, ი. მაჩაბლის ქ. №17/27 (სურ. 9 ბ); პ. ინგოროყვას ქ. № 20; გ. ქიქოძის ქ. № 6; დ. ჭონქაძის ქ. № 12. ფეშენებლური სადარბაზოები კლასიციზმის და რენესასული ელემენტებით, ზოგი კი მოდერნის სტილის ნიშნებით თუ სპარსული მოტივებით გამორჩეულნი, მაგ. ი. მაჩაბლის ქ. №17, ხშირ შემთხვევაში შესასვლელში მოზაიკურ იატაკზე წარწერა SALVE-თი (დ. ჭონქაძის ქ. №4, სურ. 9ა.) ეგებებოდნენ სტუმრებს.

ზოგიერთ სადარბაზოს მოზაიკურად მოპირკეთებულ იატაკზე მეპატრონის ინიციალები თუ გვარ –სახელები დღესაც იკითხება. (მათ შორის გ. ტაბიძის ქ. №18-ში მფლობელის გვარი და“1911“ წელია აღნიშნული. გ. ტაბიძის ქ. №24/21-ში სახლის მფლობელის და მოზაიკის ავტორის სახელებია ამოტვიფრული). დღეს ასეთი სადარბაზოები არც თუ მრავლადაა შემორჩენილი.

სოლოლაკის განაშენიანებაში შექმნილ, მრავალფეროვან ეკლექტიკურ სურათში ადამიანური მასშტაბი დაარსებიდან გარკვეულ ჰომოგენურობას ანიჭებდა უბნის ცალკეული ქუჩის განაშენიანებას. თუმცა, ამავე დროს ყოველი სახლი ინდივიდუალური იყო სხვადასხვა მახასიათებლით და ეს ყველაზე მეტად დამოკიდებული იყო მფლობელთა სოციალურ სტატუსზე.

სოლოლაკის ქუჩების გაბარიტები მცირედა განსხვავებულია. თითოეული ქუჩის გაბარიტისა და განაშენიანების მასშტაბის შესაბამისობა

ჰარმონიულია. ისინი კომუნიკაციის თვალსაზრისით ორგვარი მნიშვნელობისაა: უბნის ქალაქის სხვა ნაწილებთან დამაკავშირებელი და უბნის შიდა კავშირისა.

სოლოლაკში არსებული შენობათა ფასადების უმრავლესობა, იმ დროისთვის ევროპაში დამკვიდრებულ (ეკლექტიკური) არქიტექტურულ სტილთა ნაზავის სახითაა წარმოდგენილი.

საცხოვრებელი სახლები გეგმის მიხედვით ძირითადად ემხრობა აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის მიერ ამ პერიოდისთვის თბილისის საცხოვრებელი სახლების კლასიფიკაციას, რის მიხედვითაც ხუთი ჯგუფია წარმოდგენილი (სქემა №1), თუმცა ყოველი შენობა განსხვავებულია [1]. დაგეგმარების, ინტერიერის თუ გარეგნული სახის ინდივიდუალურობას განსაზღვრავდა დამკვეთის სოციალური სტატუსი, მატერიალური შესაძლებლობა და გემოვნება.

მიმდინარე საუკუნეში უბანმა ნაწილობრივ ცვლილება განიცადა. თუკი ადრე სოლოლაკი ძირითადად საცხოვრებელ უბანს წარმოადგენდა, დღევანდელი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, მას სხვა ფუნქციებიც დაემატა. მაგალითად, გ. ტაბიძის ქუჩა დაიტვირთა კაფე–ბარებით და სასტუმროებით (სურ.11). გ. ლეონიძის ქუჩა უმეტესად საოფისე ხასიათისაა საცხოვრებელთან ერთად (სურ.31). ამ ისტორიულ ტერიტორიაზე მომრავლდა სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების ობიექტები, რამაც გამოიწვია ქუჩების მოცულობითი სტრუქტურის არქიტექტურულ-მხატვრული სახის ნაწილობრივი ცვლილება. გასულ საუკუნეში ურბანიზაციის პროცესმა, ტრანსპორტის ცვლილებამ და ინტენსივობის განუწყვეტელმა ზრდამ გავლენა იქონია უბნის ქუჩათა პირველქმნადი ჰუმანური გარემოს რღვევაზე.

მისი გეოგრაფიული თავისებურებისა და აქედან გამომდინარე ურბანული სტრუქტურის მიხედვით სოლოლაკის უბანი ორ ნაწილად შეიძლება განვიხილოთ. მისი ქვემო ნაწილი შედარებით ნაკლებ დამრეცია და ესაზღვრება თავისუფლების მოედანს და შუასაუკუნეობრივ

ისტორიულ ბირთვს კალას, ხოლო მეორე, ზემო ნაწილი მთაწმინდის და სოლოლაკის ქედის გამყოფ ვიწრო ყელშია გაშენებული.

სოლოლაკის ქუჩების გაბარიტები მცირედ განსხვავებულია. ისინი კომუნიკაციის თვალსაზრისით ორგვარი მნიშვნელობისაა: უბნის ქალაქის სხვა სხვა ნაწილებთან დამაკავშირებელი და უბნის შიდა კავშირისა. გ. ტაბიძის და გ. ლეონიძის ქუჩები სოლოლაკს აკავშირებს თავისუფლების მოედანთან; მ. ლერმონტოვის და ლ. ასათიანის ქუჩები – კალასთან; დ. ჭონქაძის და პ. ინგოროყვას ქუჩები - მთაწმინდასთან; შ. დადიანის ქუჩა სოლოლაკის და კალას გამყოფია. ამაღლების და კოჯრის ქუჩები სოლოლაკს აკავშირებს წავკისის და ოქროყანისკენ მიმავალ გზებთან. შიდა კომუნიკაციისთვისაა ივანე მაჩაბლის, პ. იაშვილის, გ. ქიქოძის ქუჩები. შესაბამისად ტრანსპორტით დატვირთვის წილიც განსხვავებულია. როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად ზოგადი საერთო ხასიათისა, თითოეული ქუჩის განაშენიანება ინდივიდუალურია. ამდენად, მიზანშეწონილია თითოეული ქუჩის აღწერა-დახასიათება ურბანული, ისტორიული და არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით.

ძირითადად საცხოვრებელი ფუნქციით დატვირთულმა უბანმა (თუმცა, ასევე აქ იყო საგანმანათლებლო დაწესებულებები, ბანკი, ტაძარი და სხვა დანიშნულების ობიექტები, რომლებიც დღესაც შენარჩუნებულია) საცხოვრებელი ფუნქციის ადაპტაციის ხარჯზე სხვა დატვირთვაც შეიძინა, იმატა საზოგადოებრივმა ნაგებობებმა. ნაწილობრივ შეცვლილია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. თუ სოლოლაკი დაარსებიდან გამდიდრებული ბურჟუაზიული კლასის საცხოვრებლად იყო განკუთვნილი, დღეს აქ სოციალურად საშუალო შესაძლებლობის მქონე მოსახლეობა სჭარბობს. ამასთანავე, ტურისტული სპექტრის მზარდი მოთხოვნებიდან გამომდინარე, იმატა უბანში შენობების კომერციული დანიშნულებით გამოყენების პერსპექტივამ.

დღევანდელი გადასახედით შენობათა მდგომარეობა სხვადასხვაგვარად ფასდება. ზოგიერთ შენობას ჩაუტარდა გამაგრებითი და

სარესტავრაციო სამუშაოები. არსებობს შემთხვევები, როცა ადაპტაცია-აღდგენითი სამუშაოების განხორციელების სურვილი თვით მეპატრონეს აქვს, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობების შემთხვევაში, თვითნებურმა ჩარევებმა შესაძლოა უარყოფითი შედეგი გამოიღოს.

უძრავი ძეგლების აღწერისას ვიხელმძღვანელეთ 2007 წ. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის საყრდენი სარეკომენდაციო გეგმით, რადგან მასზე შენობათა არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულება მეტადაა დიფერენცირებული. თუმცა, მიმდინარე კანონმდებლობით დღეს სოლოლაკში ყველა შენობას მოეხსნა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი, ასევე უგულველყოფილია ფონური და რიგითი განაშენიანება. დარჩა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი [41;42] , (იხ. დანართი1).

გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა თბილისის ცენტრალურ– თავისუფლების მოედანსა და ლადო ასათიანის ქუჩებს შორის მდებარეობს. ეს ქუჩა სოლოლაკს აკავშირებს თავისუფლების მოედანთან (სურ.11). იგი იქ არსებული არქიტექტურული ძეგლებით, სოლოლაკის ისტორიული უბნის გამორჩეული ნაწილია და ოდითგან ქართველი თუ უცხოელი ინტელიგენციის თავშეყრის ადგილად ითვლებოდა სოლოლაკში. მას XIX საუკუნიდან არაერთხელ შეეცვალა სახელი. იწოდებოდა რუსი მოხელის განის (Барон П. В. ФОН ГАН) და ა. წერეთლის ქუჩებად, 1959 წლიდან დღემდე კი გალაკტიონის სახელს ატარებს. XIX საუკუნიდან ქუჩაზე იმ პერიოდის ცნობილი არქიტექტორების მიერ იგებოდა საშემოსავლო თუ კერძო სახლები. ევროპელმა ოსტატებმა არქიტექტურასთან ერთად ინტერიერის გაფორმების საერთაშორისო სტანდარტებიც დაამკვიდრეს. ქუჩა გამოირჩევა როგორც შენობათა ფასადების მრავალფეროვნებით, ისე ქუჩაზე არსებული თვითოეული შენობის საინტერესო და ინდივიდუალური ისტორიითაც.

სხვადასხვა პერიოდის გეგმებზე გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა განსხვავებული სახით აისახა. ქუჩის განაშენიანება მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იწყებს ჩამოყალიბებას. ქუჩაზე არსებული შენობების ფასადების პირველი პროექტები აკადემიკოს ვ. ბერიძის მიერაა აღწერილი.

1828 წ. საყრდენ საპროექტო გეგმაზე პირველად აისახა ამჟამინდელი გ. ტაბიძის ქუჩის ხაზის მიმართულება. 1844 წ. გეგმაზე უკვე გამოკვეთილ გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე ნაგებობებია აღნიშნული დღეს არსებული (№1, №3/5, №2, №4) სახლების ადგილას. ქუჩა უცვლელადაა ნაჩვენები 1867 წლის და შემდეგი წლების გეგმებზე, სახეს იცვლის მხოლოდ განაშენიანება.

1913 წ. გეგმაზე განოვის სახელით ღნიშნულ ამჟამინდელ გ. ტაბიძის ქუჩაზე, ნაჩვენებია დღევანდელი საკრებულოს შენობა, 1924 წლის გეგმაზე კი № 2 და №12 შენობები.

გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის განაშენიანება			
ქუჩაზე არსებული შენობები სტატუსის მიხედვით		შენობა №	ვ. ბერიძე, „თბილისის არქიტექტ. 1801–1917“, მითითებულ შენობათა პროექტები
1 2 3 4	ეროვნული მნიშვნ: კულტურული მემკვიდრეოის: ფონური: რიგითი:	№2; №3/5; №22; №24 №2; №9;№11; №12; №14; №17;№ 19; №20; №22; №23 №1; №7; №15; №21. №4 ; № 6–10; №13	1) №20, 1859 წ. არქიტ. ო. სიმონსონი.ი. თამამშვილის სახლის 1 და 2 სართ. გეგმები, ფასადი. 2) №9 არქ. ა. ზალცმანი. 1865 წ. ბებუთოვის სახლი. ფასადი. 1865 წ. 3) ქალაქის საბჭოს რეკონსტრუქციის პროექტ. 1882 წ. არქ. ა. ოზეროვი, ფასადი, გეგმა; 1882წ. ფასადი. არქ. პ. შტერნი; 4) № 22, არქ. ა. ზალცმანი. XIX ს. 90–იანი წ.
ქუჩის პარამეტრები:		ქუჩის სიგრძე 345 მ–350 მ. ქუჩის სიგანე~ 10.30 მ–12 მ. (სავალი ნაწილი 6.5– 7მ.)	

ამ ქუჩაზე ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობებია: №2, №3/5, №22, №24. ისინი გამორჩეული მასშტაბით, არქიტექტურული სტილით და ინდივიდუალურობით, დაარსებიდან აქცენტირებას ახდენდნენ და განწყობას ქმნიდნენ ქუჩის განაშენიანებაში.

გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე არქიტექტურულ სტილთა მრავალფეროვნებიდან აღსანიშნავია: მოდერნის ხასიათის შენობები - № 3/5,

№17, მავრიტანული - №2, ეროვნული ხასიათის №22 და სხვა ეკლექტიკური შენობები, ძირითადად კლასიცისტური და რენესანსულ – ბაროკულ სტილთა მოტივების ნაზავი.

პირველ რიგში განვიხილავთ გ. ტაბიძის ქუჩაზე არსებულ ეროვნული მნიშვნელობის სტატუსის (№2, № 3/5, №22, №24) მქონე შენობებს.

გ. ტაბიძის ქუჩა თავისუფლების მოედნიდან საკრებულოს ფსევდომავრიტანული სტილის **№2** შენობით იწყება. იგი გ. ტაბიძის და შ. დადიანის ქუჩებს შორის მდებარეობს და შენობის ფასადის წინა მხარე თავისუფლების მოედანზე გადის. ამჟამად, შენობის რესტავრირებული ერთი ფრთა გ. ტაბიძის ქუჩის საწყის მონაკვეთზე მდებარეობს. შენობა 1830 წელს, ე. წ.“ბეჟანას ქარვასლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე აიგო. მასში პირველ ხანებში ქალაქის პოლიციის განყოფილება განთავსდა პოლიცმეისტერის კანცელარიით, 1878–1879 წლებში საფუძვლიანად გადაკეთების შემდეგ „საქალაქო სახლი“, 1921 წლიდან სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭო, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თბილისის მერია, ბოლოს კი აქ საკრებულომ დაიდო ბინა. (1913 წ. გეგმაზე შენობა ინიშნება როგორც «дума городская”; 1924 წ. გეგმაზე კი ეს შენობა თბილისის აღმასკომის სახელითაა აღნიშნული).

კოშკით აქცენტირებული, მრავალჯერ სახეშეცვლილი და რესტავრირებული შენობის ფასადის ავტორად ევროპელი არქიტექტორი პაულ შტერნია მიჩნეული.

ამ შენობის ფასადის საკონკურსო 2 პროექტი დაცულია ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდში. პროექტები დათარიღებულია 1882 წლით. ერთი პროექტი და გეგმა ხელმოწერილია ქალაქის აერქიტექტორის – ალექსანდრე ოზეროვის, ხოლო მეორე არქიტექტორ პაულ შტერნის მიერ. როგორც ჩანს, რეკონსტრუქციას საფუძვლად სწორედ ოზეროვის მიერ შედგენილი გეგმა დაედო [1].

თავდაპირველად ორსართულიანი შენობა, რომელსაც მესამე სართული შემდეგ დააშენეს, გამოირჩევა პირველი სართულის ფართო, სწორკუთხა ღიობებისა და სწორკუთხა ნიშებში ჩასმული ისრული თაღების მონოტონური რიტმით, სტუკოს ტექნიკით შესრულებული ფრაგმენტებით, სტალაქტიდური კარნიზით. მოედნის მიმართ გრძივად განვითარებული ფასადის დამანაწევრებელი მუქი და ღია ფერის ზოლები შენობის მხატვრულ, ფსევდო–მავრიტანულ სახეს განაპირობებენ. ფასადის შუა ღერძზე მოქცეული კოშკი კი, აქცენტს ქმნის მოედანთან მიმართებაში. 2012 წელს ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად, პირველი სართული კომერციულ ფართებსა და მაღაზიებს დაეთმო (სურ.11. ე).

მის მოპირდაპირედ გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის № 3/5 შენობაა. თბილისელი სამოქალაქო ინჟინრის, მენავთობე ალექსანდრე მანთაშევის შემოსავლიანი სახლი სავარაუდოდ 1905 წელს, არქიტექტორ გაზარ სარქისიანის მიერ იქნა აგებული.

სტილისტურად იმდროინდელი ეროვნული მოდური მიმართულების, არტ–ნუვოს ხასიათის შენობა გალაკტიონ ტაბიძის ქუჩასა და გ. ლეონიძის ქუჩის შესახვევს შორის ვრცელ ტერიტორიაზე დგას და მთავარი ფასადით გალაკტიონის ქუჩის მხარეს იხსნება. საბჭოთა პერიოდის დროს დაშენებული მანსარდები სახლის მხოლოდ გვერდით ნაწილს გასდევს. შენობა იმ დროის საცხოვრებელ სახლთაგან გამორჩეულია როგორც არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით, ასევე მონუმენტურობით. ფრაგმენტული სხვადასხვა ფორმის პარაპეტი შენობას მატებს სიმაღლეს, სიმსუბუქეს და უნარჩუნებს ქუჩასთან ჰარმონიულ დამოკიდებულებას. შენობა კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლად არის აღიარებული და თბილისური მოდერნის (**Art** Noueveau) ერთ–ერთი საინტერესო ნიმუშია.

დღესდღეობით შენობის პირველი სართული სახეშეცვლილია, თუმცა მთავარი ფასადი თავდაპირველ სახეს ინარჩუნებს. ამ სახეს განსაზღვრავს ერთიანი კომპოზიციური რიტმის შემქმნელი ტალღოვანი ფრონტონები, ფასადის დამასრულებელ ატიკის სართულზე მრგვალი სარკმელები,

კრონშტეინებზე დაყრდნობილი კარნიზები, სხვადასხვა არქიტექტურული ფორმების სიმეტრიული მონაცვლეობა, ფასადის დეკორი სხვადასხვა სამკაულებით და მცენარეული მოტივებით, ასევე სხვა დამახასიათებელი არქიტექტურული თუ მხატვრული ელემენტები. თითოეული მათგანი შენობას შთამბეჭდავ იერს ანიჭებს. ნაგებობის შუაში გაჭრილი გვირაბი ქუჩას ეზოს უკავშირებს.

მოდერნის არქიტექტურული სტილის კიდევ ერთი ნიმუში, გ. ტაბიძის ქუჩის №17 შენობა XX ს-ის დასაწყისში აიგო. შენობის არქიტექტორის ვინაობა უცნობია. ფასადი წარმოდგენილია სწორკუთხა სარკმელებით და მომრგვალებული ფრონტონით, პირველ და მეორე სართულებს თაღოვანი ნიშა აერთიანებს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იგი მსგავსებას სანქტ–პეტერბურგის ზოგიერთ შენობასთან იჩენს და თბილისში არსებულ არტ – ნუვო დეკორაციების მქონე ნაგებობათა შორის, ამ შენობის ფასადის ანალოგი არ მოიძებნება [4]. №17 სახლს ბევრი საინტერესო მფლობელი და მასთან დაკავშირებული ისტორია უკავშირდება [27]. (მასში 1920-21 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რუსეთის საელჩო განთავსდა).

ამ ქუჩაზე ეროვნული ნიშნით გამორჩეული შენობა გალაკტიონის ქ. №22–ია. ზეპირი გადმოცემით ეს შენობა გერმანული წარმოშობის არქიტექტორის ა.ზალცმანის პროექტითაა აგებული XIX ს. 90–იან წლებში. სახლი ეროვნული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშის, სამთავისისა და სხვა ქართული ტაძრების კედლების მორთულობას იმეორებს ფასადზე ეროვნულ ხასიათის დეკორით და გამოყენებული სტილიზაციის ფორმებით [1]. ეს საცხოვრებელ სახლზე საკულტო ნაგებობის ელემენტების დატანის პირველი მცდელობაა. ფასადის დეკორატიული მორთულობიდან აღსანიშნავია ზემო სართულის შეწყვილებული დეკორატიული ლილვები და კარ–სარკმელთა მოჩუქურთმებული საპირეები. ეროვნული ხასიათისაა რიზალიტის და მთელი ფასადის საერთო კარნიზი ორნამენტებიანი პროფილით და

მდიდრული წნულით, გრეხილი თაღებით და ბურთულებიანი სამკაულებით.

გ. ტაბიძის და ლ. ასათიანის ქუჩათა კვეთის ადგილას მდგარი №24 /21 შენობა გამორჩეულია არქიტექტურულ–მხატვრული სახით და მასშტაბურობით. არქიტექტორის გვარი უცნობია. ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი მე-19 საუკუნის ბოლოსაა აგებული და მოღწეული ინფორმაციით თბილისელი სომეხის, ხის მჭრელი საამქორების მფლობელის, პირველი გილდიის ვაჭრის მეუღლეს ეკუთვნოდა. შენობაზე არსებული ინფორმაცია დღემდე მწირია. შენობის ფასადისთვის დამახასიათებელია ცილინდრული ფორმები და ბაროკოს ელემენტები. საბჭოთა პერიოდის დასაწყისში მას მესამე სართული დაემატა. ყურადრებას იქცევს შესასვლელის და ინტერიერის დეკორაციების შერწყმა [4]. სახლის თავდაპირველი მეპატრონის, ეველინა ტერ აკოპოვას სახელი სადარბაზოს შემოსასვლელში იატაკზეა აღბეჭდილი. ნატიფ რელიეფიან სახლის ფასადს და იატაკის მოზაიკას დღემდე არ დაუკარგავს ხიბლი. სადარბაზოს კარის ზღურბლზე მოზაიკის ავტორის, იტალიელი ხელოსნის, ანჟელო ანდრეოლეტის სახელია ოქროსფრად ამოტვიფრული.

შენობაზე დრამატურგის და კრიტიკოსის, ვ. გუნიას მემორიალური დაფაა.

ბოლოდროინდელი ინფორმაციით, ქუჩაზე ჩატარებული საცდელ-სარესტავრაციო კვლევებისას შემთხვევით XVIII საუკუნის დროინდელი მეომრების, სავარაუდოდ აღა-მაჰმად ხანის შემოსევისას დაღუპული ქალაქის გალავნის მცველების ნეშტები იქნა მიკვლეული. მართლაც, ქალაქის გალავანი გალაკტიონის ქუჩიდან რამოდენიმე მეტრში, ახლანდელი დადიანის ქუჩას მიუყვებოდა, იქ, სადაც მთვარდებოდა კალაუბანი და იწყებოდა სოლოლაკი [27].

ძეგლის სტატუსის მქონე გ. ტაბიძის ქ. №24/21 შენობა, სოლოლაკის შენობების უმრავლესობის მსგავსად რესტავრაციას საჭიროებს. შენობაში დღესდღეობით სხვადასხვა კომერციული დანიშნულების ფართებია.

ქუჩაზე არსებულ დანარჩენ ეკლექტიკურ შენობებში ძირითადად რენესანსულ–ბაროკული და კლასიცისტური მოტივები სჭარბობს. შემოვიფარგლებით მათი ზოგადი დახასიათებით.

გალაკტიონ ტაბიძის ქ. №9, არქირექტორ ა. ზალცმანის მიერ 1865 წ. დაპროექტებული ბებუთოვის სახლია. შენობა ხასიათდება კლასიციზმის სტილის ტიპიური ფასადით, ზომიერი ხუროთმოძღვრული მორთულობით, ნაკლებ დატვირთული კედლებით და სარკმელთა შედარებით მარტივი საპირეებით. შენობის სიღრმეში გაჭრილი შესასვლელი გვირაბი ნეო–კლასიცისტური ფასადით წარმოდგენილ შენობას „ჭვირულმოაჯირიან“ და ხის აივნებიან თბილისურ ეზოსთან აკავშირებს.

№11; 15; 18; 23; №21–შენობები ზომიერი მორთულობით გამოირჩევიან, საფასადო კომპოზიცია მწყობრი და სიმეტრიულად მოწესრიგებულია, ხასიათდება სწორკუთხა კარ – სარკმელთა ხშირი რიტმით, ნაკლებად დატვირთული სარკმელთა მარტივი საპირეებით და საჭექი ქვებით ფანჯრის ღიობზე (სურ.3). №11 შენობისთვის დამახასიათებელია მომრგვალებული ფრონტონები. ფასადებს მოხდენილობას მატებს რკინის კონსოლებზე შემდგარი ლითონის აჟურული ორნამენტებიანი აივნები.

N18 შენობის მფლობელები, თბილისში თამბაქოს მწარმოებლები - ძმები სეილანოვები იყვნენ, ამაზე კარების ზღურბლთან შემორჩენილი წარწერაც მეტყველებს. ასევე მინიშნებულია შენობის აგების წელი ,,1911“. კედლის მხატვრობა შესრულებულია ბენო ტელინგატერის მიერ. კლასიციზმის და ბაროკოს მოტივები შერწყმულია რომანტიკულ პეიზაჟებთან. სახლის შიდა კედლებზე სომეხი ფინანსისტების საგვარეულო გერბის სიმბოლიკაა გამოსახული. ვესტიბიულის კედლები სიუჟეტური და დეკორატიული მოტივებით, ალეგორიულად წარმოდგენილი კონტინენტების გამოსახულებებით, კიბის უჯრედი კი დეკორატიული ორნამენტებითაა შემკული [27].

№19 შენობა რენესანსულ – ბაროკული არქიტექტურული ელემენტებითაა შექმნილი. ხასიათდება ორნამენტიანი კარნიზით და ფანჯრის საჭექ ქვებზე ქალის თავის გამოსახულებით. იგი სოლოლაკის იმდროინდელი უმეტესი შენობის მსგავსად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

გალაკტიონის ქ. № 20 შენობა, 1859 წელს შვედი არქიტექტორის, ოტო სიმონსონის პროექტით და მაგნატ ი. თამამშევის დაკვეთით აშენდა (თამამშევის ქალიშვილისთვის). იმ დროისთვის ფეშენებლურ სახლს, კლასიციზმის სტილში შექმნილი ფასადი და თავისებურად გადაწყვეტილი გეგმა აქვს. შენობას ახალი ტიპის სადარბაზო შესასვლელი, ვესტიბიული, ჰოლის ოქტოგონური მოხაზულიბა და საზეიმო მიზნით გამოსაჩენი, ხისგან დამზადებული კიბეები განასხვავებს სხვა შენობებისგან (მარმარილოს კიბე იმ პერიოდში ჯერ არ არსებობდა). შენობას ახლავს აივნებიანი და შუშაბანდიანი თბილისური ეზო. ფასადს ქუჩის მხარეს რკინის გადაუხურავი აივნი ამშვენებს.

XIX საუკუნის 70–იანი წლებიდან ეს შენობა რუსეთის, ევროპისა და საქართველოს გამოჩენილი ადამიანების თავშეყრის ადგილად იქცა. ამჟამად კი კულტურული ურთიერთობების ცენტრი „კავკასიური სახლია“ განთავსებული.

№21 შენობა ფონურია, მსგავსია მიმდებარე განაშენიანების.

ქუჩაზე სახეცვლილი შენობათაგან აღსანიშნავია: **გ. ტაბიძის ქ. №1** ნაგებობა (სურ.25ა). თავდაპირველად შენობა ამ ტერიტორიაზე 1830–იანი წლების დასაწყისში აშენდა არქიტექტორ დემიდოვის პროექტით. ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის გარეგნული სახე „სანიმუშო“ პროექტებს ემსგავსებოდა. XIX– XX საუკუნეების მიჯნაზე სახლს დააშენეს მესამე სართული და გარეგნული სახეც შეუცვალაეს. შედეგად, შენობის ფასადმა იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ეკლექტიკური არქიტექტურულ–მხატვრული სახე და დეკორატიული მორთულობა მიიღო. შენობას 2009 წელს ჩატარებული რეკონსტრუქციის შედეგად

დაემატა ერთი სრული და ერთი მანსარდული სართული, თუმცა იგი წინა შენობის გარეგნულ სახეს იმეორებს.

დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად გალაკტიონ ტაბიძის ქუჩამ კომერციული დატვირთვა შეიძინა. ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტთა ფართო სპექტრისთვის იგი მიმზიდველია კაფე–ბარებით, სასტუმროებით და საოფისე დანიშნულების ფართებით.

დღესდღეობით ქუჩაზე არსებულ, დაზიანებულ ისტორიულ შენობებს ზოგან ცვლის თანამედროვე შენობები, რომლებიც უკვე იმკვიდრებენ ადგილს თავისი საინტერესო, თუმცა განსხვავებული არქიტექტურით, მოცულობით, ფასადის დიზაინით, სამშენებლო მასალით და შესაძლოა ქუჩის იერსახეში წამყვანი როლი იქონიონ. აქ 1865 წელს არქიტექტორ ა.ზალცმანის პროექტით შექმნილი N 8/10 სახლის ადგილას ამჟამად თანამედროვე იერსახის ნაგებობაა. ამასთანავე, მათი მონუმენტურობიდან გამომდინარე, უბნის ჩამოყალიბების პერიოდში არსებული თითოეული შენობის მოცულობის და ქუჩების გაბარიტის სრული შესაბამისობა დღევანდელი მდგომარეობით რიგ შემთხვევებში ირღვევა.

ბოლო პერიოდში დაწყებულმა სამშენებლო ბუმმა გ. ტაბიძის ქუჩაზე (ისევე, როგორც მთელ სოლოლაკის ტერიტორიაზე), რამდენიმე შენობის დემონტაჟი და აქედან გამომდინარე ქალაქგეგმარებითი სტრუქტურის დარღვევა გამოიწვია. ისტორიულ განაშენიანებაში თანამედროვე არქიტექტურული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით, ქუჩაზე აღსანიშნავია ბოლო წლებში აგებული თანამედროვე იერსახის შენობები: **№4; №10; №13.** მათ არქიტექტურულ და მხატვრულ მხარეს განვიხილავთ როგორც ინტერვენციის მაგალითს (იხ. თავი 2.1).

გ. ტაბიძის ქუჩის **№16/8–ში** (გ. ტაბიძის და მ. ლერმონტოვის ქუჩების კუთხე), მონიშნული ტერიტორიაა, ამჟამად გამოყენებულია ავტოსადგომად. (1913 წ. გეგმაზე ამ ადგილას აღნიშნულია ვაჟთა გიმნაზიის შენობა).

გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა პირველად 1844 წ. გეგმაზე გამოიკვეთა. მეოცე საუკუნის დასაწყისში წამყვანი და ფონური განაშენიანების არქიტექტურული თვალსაზრისით სრულყოფილად იყო ჩამოყალიბებული. იგი დღესაც ინარჩუნებს მხატვრულ ღირებულებას (სურ. 11ა,გ). თავისი მასშტაბით და მხატვრული იერსახით ქუჩაზე აქცენტირებულ №2, №3/5, №22, №24 შენობებს ამჟამად თანამედროვე იერსახის მქონე №4 და №13 შენობები მონუმენტური მასშტაბით და თანამედროვე დიზაინით უწევენ კონკურენციას.

გიორგი ლეონიძის ქუჩა თავისუფლების მოედანსა და პაოლო იაშვილის ქუჩებს შორის მდებარეობს. იგი სოლოლაკის უბანს თავისუფლების მოედანთან აკავშირებს და ამ უბნის დანარჩენ ქუჩებთან შედარებით განიერია (სურ.31). მის საწყის მონაკვეთზე მიმდინარე რეკონსტრუქციების და ახალმშენებლობებიდან გამომდინარე, ქუჩის მასშტაბი ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა.

გ. ლეონიძის ქუჩას უწოდებდნენ ფრეილინის ქუჩას (დედოფალ მარიამის, ერეკლე II –ის რძლის პატივსაცემად), XIX საუკუნის დასაწყისიდან - მთის ქუჩას, შემდეგ სოლოლაკის ქუჩას, 1934 წლიდან – აღმასკომის, 1935 წლიდან –კიროვის, ამჟამად კი (1990 წლიდან) გიორგი ლეონიძის სახელს ატარებს.

გიორგი ლეონიძის ქუჩა ისტორიულად საცხოვრებელი სახლებით იყო განაშენიანებული. XX საუკუნეში ამ ქუჩაზე №3 შენობაში განთავსებულმა ბანკმა და №11 შენობაში არსებულმა მსახიობის სახლმა ქუჩას სხვა დატვირთვაც შესძინა (სურ.31).

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წ. შედგენილ გეგმაზე ბაღების მიმდებარედ ჩანს გიორგი ლეონიძის ქუჩის ხაზი. ამ ქუჩის მიმართულება ქუჩათა ქსელში 1828 წ. საყრდენ გეგმაზეც ისახება. 1844 წ. გეგმაზე აღნიშნულმა ახლანდელმა გიორგი ლეონიძის ქუჩის ხაზმა (რომელზეც ახლანდელი გ. ლეონიძის და გ. ტაბიძის ქუჩების კვეთის კუთხეში

არსებული შენობა №2/1-ის ადგილას ნაჩვენებია ნაგებობა) მცირე ცვლილება 1867 წლის გეგმაზე განიცადა. დროთა განმავლობაში შესამჩნევია ქუჩაზე არსებული განაშენიანების ზრდაც. 1913 წ. გეგმაზე სახლი №5-ის და 1924 წ. გეგმაზე შენობა №3-ის ადგილებზე ნაჩვენებია ნაგებობები. დანარჩენი განაშენიანება დატანილია შემდგომ წლებში.

გიორგი ლეონიძის ქუჩის განაშენიანება			
ქუჩაზე არსებული შენობები სტატუსის მიხედვით		შენობა №	ვ. ბერიძე „თბილისის არქიტექტურა 1801–1917“, მითითებულ შენობათა პროექტები
1 2 3 4	ეროვნული მნიშვნელობის: კულტურული მემკვიდრეობის: ფონური: რიგითი:	№3 ; №8; გ. ლეონიძის ჩიხი №3/5 №2; №5;№6; №7; №9; №10; №12; №15;№18/1; № 20; № 2/1; №2/4; №14; №14/2; №2/12 პ.ინგოროყვას ქ. კუთხე №1; № 11; №11ა; №18	1)№10; 1851 წ. ლემკულის სახლის პროექტი. პროექტი 2) გ.ლეონიძის ქ. №5, (კიროვის ქ.) ფასადი 1860 წ., ბაისოღლოვის სახლი. 3)სახლი სალალაკის ხევში 1851 წ. არქ. ა. ბელოი. მაიორ ჩერქეზიშვილის სახლი. 4)საცხოვრებელი სახლის ფასადი სალალაკის ქ. 1874 წ.
ქუჩის პარამეტრები:		ქუჩის სიგრძე 370 მ. ქუჩის სიგანე შენობებს შორის 12 მ–22მ. (სავალი ნაწილი 7მ–19მ)	

გ. ლეონიძის ქუჩა ხასიათდება ცნობილი არქიტექტორების მიერ დაპროექტებული, XIX ს-ის 60–იან და XX ს-ის დასაწყისში შექმნილი ეკლეკტიკური სტილის მქონე შენობებით და ზოგიერთი შენობის ინდივიდუალური არქიტექტურული სახით. ქუჩაზე შენობათა სართულიანობა იმ დროისთვის ძირითადად 3 სართულს შეადგენდა. კულტურული მემკვიდრეობის და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობების და მათი ფასადების უმეტესი ნაწილის არქიტექტურულ–მხატვრულ გადაწყვეტას საფუძვლად უდევს მე–19 საუკუნის ინტერპრეტაციით წარმოდგენილი, რენესანსული და ბაროკული

სტილისთვის დამახასიათებელი ფორმები, დამუშავებული შესაბამისი პროფილებით და სამკაულებით.

ქუჩაზე ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობებია: №3 , №8 და გ. ლეონიძის ჩიხის №3/5. ეკლექტიკური სტილის განაშენიანება ძირითადად კლასიცისტურ და რენესანსულ – ბაროკულ სტილთა მოტივების ნაზავია. ამ ფონზე გამორჩეულია მოდერნის სტილის შენობა № 3; საცხოვრებელი სახლი №15 თბილისური აივნით; შენობა №5 გოთიკური მოტივებით; სარკმელთა ტიპის გადაწყვეტაში განსხვავებული მიდგომით ხასიათდება შენობა №10.

გ. ლეონიძის ქუჩაზე განსხვავებული არქიტექტურული სტილით გამორჩეული ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი - შენობა №3, თბილისური მოდერნის ერთ–ერთი ნიმუშია და ორიგინალური ფორმებით მომხიბვლელობას მატებს ისტორიულ ქუჩას. იგი ქუჩის განაშენიანებაში აქცენტირებულია თავისი ინდივიდუალურობით და მის მხატვრულ გადაწყვეტაში წამყვანია. 1910–1913 წლებში არქიტექტორ მ. ოჰაჯანოვის პროექტით აგებული ეს შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. თავდაპირველად ორ სართულიან შენობას მესამე სართული საბჭოთა პერიოდში დააშენეს. პირველ ხანებში აქ თბილისის ურთიერთკრედიტის საზოდაოება იყო, 1919 წლიდან მასში ცენტრალური ბანკი განთავსდა. შენობაში არსებობდა ფულის მუზეუმიც და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (სურ.25ა).

მის მთავარ, გ. ლეონიძის ქუჩისკენ გამომავალ ფასადზე განსაკუთრებით იქცევს ყურადრებას შენობის შუაში აზიდული და ორი განაპირა რიზალიტი, რომლებიც ტალღოვანი ფრონტონებითაა დასრულებული. დასამახსოვრებელია ფართო ვიტრინების ალათები, განაპირა ფანჯრების სკულპტურული კომპოზიციები და ატლანტების ფიგურები. თაღოვანი ღიობების ორივე მხარეს აქცენტს ქმნის შუა ღერძზე არსებული, ნიღბიანი მერკურისა და პლუტონის ჰორელიეფური ფიგურები.

გ. ლეონიძის ქუჩაზე გოთიკური სტილისაა შენობა №5. მისი ფასადის არქიტექტურული ფორმები ისლამურ მოტივებთანაა შერწყმული [1]. გ. ლეონიძის ქ. № **7/2** ორი ქუჩის კვეთაზე არსებული მონუმენტური შენობა, რომელიც 1863 წელს არქიტექტორ ა. ზალცმანის პროექტითაა შექმნილი, დროთა განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად ავტორის ხელწერას ინარჩუნებს. მაღალ ცოკოლზე მდგარი იონური პილასტრებიანი შენობა, ქუჩის მხრიდან ფასადის შუა ნაწილზე დასრულებულია პარაპეტით. (სახლი ეკუთვნოდა მეფე ერეკლე II–ის რძალს, მარიამ დედოფალს [4]).

ორი ტიპის სარკმლის შეხამების საინტერესო გადაწყვეტას ვხვდებით გ. ლეონიძის ქუჩის №10 შენობის ფასადზე. ეს დეკორატიული დამუშავების ზომიერებით და დახვეწილი პროპორციებით გამორჩეული, 1851 წ. შექმნილი ლემკულის სახლია. აქ წარმოდგენილია განსხვავებული სარკმელის ნიმუში, სადაც განაპირა რიზალიტებში ზემოთა ორი სართულის სარკმელები გაერთიანებულია საერთო თაღში.

ამ შემთხვევაში ახალია სარკმლების ფორმა და ალათების ნახატი, მეორე სართულზე ბრტყელი თაღით გადახურული, მესამეზე კი თაღოვანი სარკმელები. ასეთი არქიტექტურული მიდგომა შენობის ფასადს განსაკუთრებულობას ანიჭებს. ამჟამად სახლი ნაწილობრივ სახეშეცვლილია, რის გამოც ადრინდელ პროექტზე ზუსტი წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია. ფასადის არსებითი ელემენტი ხის აივნები, რომლებიც სარკმლის მოხაზულობასთან ბუნებრივად იყო შეხამებული, შეცვლილია რკინის მცირე აივნებით. ამასთანავე შეცვლილია სართულიანობა, მასზე დაშენებულია მეოთხე სართული [1].

ქუჩაზე, ზოგ შემთხვევაში შეწყვილებული, თაღოვანი სარკმელების მქონე ნაგებობებიდან აღსანიშნავია ეკლექტიკური სტილის სახლები **№12** (1908 წ. არქ. ზეიცი; პროვიზორ ფერდინანდ ოტენის სახლი) და **№8** (არქ. ა.ზალცმანი, 1863 წ. ერეკლე გრუზინსკის სახლი), **№9** სახლის ფასადის არქიტექტურულ–მხატვრული მხარე კი აღნიშნულთან ერთად, შენობის

გვერდით არსებულ მცირე ზომის შენობის, არტ–ნუვო დეკორაციის მქონე ოვალური ფორმის ფანჯრით და მის გარშემო არსებული მცენარეული ორნამენტით იქცევს ყურადღებას. ამჟამად გარკვეულწილად სახეშეცვლილია №20 შენობის შიდა ეზოში გამავალი და ამასთანავე ქუჩისკენ მიმართული თბილისური სახლისთვის დამახასიათებელი შუშაბანდი.

1995–1996 წლებში, ე.წ. თბილისის ომის დროს დამწვარი შენობების ადგილას დაიწყო ქუჩის საწყისი მონაკვეთის ხელახალი განაშენიანება. ერთ მხარეს, სასტუმრო „ქორთარდ მარიოტის“ მომდევნოდ აშენდა თანამედროვე არქიტექტურულ სტილში გადაწყვეტილი ახალი ხუთსართულიანი საცხოვრებელი შენობა მანსარდით. მის მომიჯნავედ არსებულ, გ. ლეონიძის ქ. №2 ისტორიულ შენობას ჩაუტარდა რეაბილიტაცია [20]. ეს შენობა, რომლის არქიტექტურული მხარე ძირითად კლასიციზმის ტრადიციებს ეყრდნობოდა, სავარაუდოდ 1934 წელსაა აგებული არქიტექტორ მ. კალაშნიკოვის მიერ. იგი აგებული იყო როგორც ივანე ჯაყელის საცხოვრებელი სახლი. შენობა ნაწილობრივ გადაკეთდა 1866 წელს შედგენილი პროექტით.

ამ ისტორიული შენობის არქიტექტურულ–მხატვრულ სახეში იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ეკლექტიკური დეკორატიული მორთულობაა წარმოდგენილი. კერძოდ, მდიდრულად მორთული პროფილირებული კარნიზი კვეთილი სახეების მქონე ფრიზით, პარაპეტი რიკულებიანი ბალუსტრადით, სარკმლები პროფილირებული საპირეებით და თავსართებით არის წარმოდგენილი, პირველი სართული გაფორმებულია რუსტიკით. შენობა მიუხედავად ამ ქუჩისათვის შედარებით მოზრდილი მოცულობისა, გ. ლეონიძის ქუჩის და ზოგადად სოლოლაკის უბნის ორგანულ ნაწილად აღიქმება. იგი თბილისის XX საუკუნის 20–30–იანი წლების არქიტექტურის ერთ–ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენს. მისი პროპორციები, ფასადის საერთო არქიტექტურულ–მხატვრული კომპოზიცია, არქიტექტორის

პროფესიონალიზმის მიმანიშნებელია. შენობამ საფუძვლიანი რეკონსტრუქცია სავარაუდოდ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე განიცადა, როდესაც მას დააშენეს მესამე სართული და მთლიანად შეუცვალეს ფასადები. ამჟამად ამ ადგილზე აღმართული ოთხსართულიანი შენობა მანსარდით, წინა შენობის გარეგნულ სახეს იმეორებს. შენობის რუსტირებულ და პილასტრებიან ფასადს თანაზომიერი რიტმით განაწილებული სწორკუთხა ფორმის ფანჯრის ღიობები ამკობს. მასში რესტავრაციის შემდეგაც გათვალისწინებულია ისტორიულ სტილთა დამახასიათებელი მოტივები. 2012 წ. რეკონსტრუქციის შედეგად, (მთავარი არქ. ი. აბაშიძე) შენობას დამატებული აქვს 1 სრული და 1 მანსარდული სართული (სურ. 31.ბ, გ).

ჩიხში, ეზოს შიგა მხარეს არსებულ შენობის ნაწილს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს ეროვნული ხასიათის ჭვირული აივანები და შუშაბანდები. შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. ეზოს მხრიდან ებჯინება გ. ტაბიძის ქ. №3/5 სახლს.

გ. ლეონიძის ქუჩის ხაზი ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შექმნილ გეგმაზე იკითხებოდა. მომდევო წლებში თანდათანობით ყალიბდებოდა და 1867 წლის გეგმაზე ქუჩა სრულად აისახა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში არქიტექტურული თვალსაზრისით სრულყოფილად ჩამოყალიბებულ გიორგი ლეონიძის ქუჩას, გააჩნდა როგორც ფონური განაშენიანება ასევე ქუჩაზე აქცენტირებული, მოდერნის სტილის №3 შენობა. იგი თავისი მასშტაბით და მხატვრული იერსახით ქუჩაზე დღესაც დომინირებს. ქუჩაზე №11 შენობა საბჭოთა პერიოდში აგებული „მსახიობის სახლი“-ა. მიმდინარე საუკუნეში მას დაემატა მასშტაბით მონუმენტური, რეაბილიტირებული №2 შენობა. ქუჩა მხატვრული ღირებულებით დღესაც იქცევს ყურადღებას. მისი საერთო ხასიათი შენარჩუნებულია. შენობათა ძირითადი ნაწილი საჭიროებს რეაბილიტაციას.

ქუჩის სიგანე თავისუფლების მოედნისკენ არსებულ პერიმეტრზე შედარებით განიერია, ვიდრე პ. იაშვილის ქუჩისკენ არსებულ მონაკვეთზე. ამ ქუჩაზე ასევე შედარებით მაღალია შენობათა სართულიანობა.

ამაღლების და კოჯრის (გ. ნიშნიანიძის) ქუჩები სოლოლაკის დასავლეთ ნაწილში, მთაწმინდის სამხრეთ და სოლოლაკის ქედის ჩრდილოეთ კალთებს შორის მდებარეობენ. სწორედ ამაღლების ქუჩის ამ ხაზზე მოედინებოდა სალალაკის წყალი ავანაანთხევი. სოლოლაკის აღმოსავლეთის მხარის, შედარებით გაშლილი ტერიტორიის რეგულარული დაგეგმარებისგან განსხვავებით, ვიწრო და წაგრძელებული ნაწილის სპეციფიკური ადგილმდებარეობა და უფრო რთული რელიეფი, მის ირეგულარულ ხასიათს განაპირობებს.

ვიწრო ქუჩათა ქსელში გამოკვეთილი მთავარი მიმართულებები, აღნიშნულ ტერიტორიას სოლოლაკის ქვედა ნაწილის გავლით ქალაქის ცენტრის აკავშირებს. აქ არსებული ამაღლებისა და კოჯრის ქუჩები წარმოქმნილია XIX საუკუნეში, სოლოლაკის თანდათანობითი ურბანული ათვისების პერიოდში. ურთიერთპარალელურად მიმართული ქუჩები ერთგვარ „კუნძულს“ შემოსაზღვრავენ სოლოლაკის ამ ვიწრო ყელში. მათი ზემო ნაწილი სოლოლაკს ოქროყანის და წავკისის მიმართულებით არსებულ ტერიტორიებთან აკავშირებს. ქვემო ნაწილში კოჯრის და ამაღლების ქუჩებს აკავშირებს ლ. ასათიანის ქუჩის მოკლე შესახვევი და იქმნება მომრგვალებული კუთხური ნაკვეთი, სადაც ამჟამად თანამედროვე იერსახის საცხოვრებელი სახლები მდებარეობენ. ამ ადგილიდან კოჯრის ქუჩას კალას მიმართულებით აგრძელებს ლ. ასათიანის ქუჩა, ხოლო ამაღლების ქუჩა გრძელდება პ. იაშვილის ქუჩის კვეთამდე.

სოლოლაკის უბნის სხვა ქუჩების მსგავსად, ამ ორი ქუჩის ეტაპობრივ ჩამოყალიბებას არსებული გეგმები ადასტურებენ.

1828 წ. გეგმაზე ამჟამინდელი ამაღლების და კოჯრის (გ. ნიშნიანიძის) ქუჩების სავარაუდო ტერიტორია შავი ლაქით აღინიშნა.

1844 წ. გეგმაზე აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩანს ამაღლების ქუჩის ხაზი, თუმცა მისი მიმართულება სხვაგვარია. იგი ირიბად უერთდება ამჟამინდელ გ. ლეონიძის ქუჩას და კოჯრის ქუჩის შესახვევთან ჯერ კიდევ ბაღებია.

1867 წლის გეგმაზე ეს ქუჩები გაკვალულია, გზების შუა მონაკვეთზე არსებული მათი დამაკავშირებელი გზა სრულად არ არის გამოკვეთილი. ასევე შეინიშნება ქაოტური და მეჩხერი განაშენიანება, მიმდებარედ კათოლიკური სასაფლაოა. 1913 და 1924 წლების გეგმებზე (ასევე 1902 წ.) ნაჩვენები ამ ქუჩათა ქსელი დღევანდლამდე თითქმის არ შეცვლილა.

ამაღლების ქუჩის განაშენიანება XIX საუკუნიდან დაიწყო. იგი მაგისტრალური დანიშნულებისა, გაცილებით ფართოა და თბილისს კოჯრის გზატკეცილთან აკავშირებს. თავდაპირველად იგი იწოდებოდა ვოზნესენსკაიას ქუჩის სახელით. ქუჩას მ. მაყაშვილის აღმართამდე ამაღლების ქუჩის სახელი ამაღლების ტაძრის გამო უწოდეს, რომელიც ისტორიკოს პ. იოსელიანის თაოსნობით იქნა აქ აგებული. იგი ამ სახელით აღინიშნება 1867 წ. გეგმაზეც. საბჭოთა პერიოდში, 1923 წლიდან მას ი. დავითაშვილის ქუჩა ეწოდა, ხოლო ამჟამად ისევ ამაღლების ქუჩის სახელს ატარებს.

მე-19 საუკუნის მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე პლატონ იოსელიანი წიგნში „აღწერა თფილისის სიძველეთა“ ახსენებს ამაღლების ეკლესიას: ტაძარი „უფლის ამაღლებისა სოლოლაკში“. აღწერა ამ ეკლესიისა, რომელიც 1851 წელს ათეწში ეოლის ტაძრის ნიმუშით აშენდა, დაიბეჭდა 1854 წლის „кавказский календарь “- ში. ამავე წიგნის 2009 წლის გამოცემის შენიშვნებში აღნიშნულია: „ეს ტაძარი, თვით პლატონ იოსელიანის მიერაა აგებული, სადაც ის დაკრძალეს ცოლ-შვილითურთ, შემდეგ ის დიდუბის პანთეონში გადაასვენეს“.

ამაღლების შედარებით ფართო გაბარიტის მქონე ქუჩაც სოლოლაკის სხვა ქუჩების მსგავსად, ხასიათდება ძირითადად ეკლექტიკური

განაშენიანებით (სურ.28), ტიპოლოგიურად რენესანსულ–ბაროკული და კლასიცისტური რეპერტუარისთვის დამახასიათებელი ელემენტებით. ქუჩას ურბანულ ღირებულებას სძენს როგორც XIX საუკუნის დასასრულის და XX ს. დასაწყისის საცხოვრებელი 2–3 სართულიანი სახლების უმეტესობის მაღალი არქიტექტურული და მხატვრული მხარე, ასევე შენობების უბნის ისტორიულ მასშტაბთან შესაბამისობა, რაც რელიეფთან მიმართებაში შესაბამისი სივრცითი კონტურის შემქმნელია. ქუჩის საწყის მონაკვეთზე გზა უფრო ვიწროა, ვიდრე №9 შენობიდან ქუჩის ბოლომდე.

ამაღლების ქუჩის განაშენიანება			
ქუჩაზე არსებული შენობები სტატუსის მიხედვით		შენობა №	ვ. ბერიძე „თბილისის არქიტექტურა 1801–1917“, მითითებულ შენობათა პროექტები
1	ეროვნული მნიშვნ:	№8 , №19 ; №23 .	1)სახლი ამაღლების ქ. 1867 წ. არქ. პორფიროვი. 1 სართ. გეგმა. 2)სახლი ამაღლების ქ. 1894 წ. 3)სახლი ამაღლების და ჭონქაძის ქუჩების კუთხეში. ფასადი 1878 წ. 4)სახლი დავითაშვილის ქ. №4. არქ. შიმკევიჩი. 1891წ. 2 სართ. გეგმა. 5)სახლი №20, დავითაშვილის ქ. ფასადი, 1901წ. 6)სახლი ამაღლების ქ. ფასადი. 1894 წ. თეთრაძის სახლი.
2	კულტურული მემკვიდრეობის:	№1; №2 ; № 3; №5 ; №6 ;№7 ; №9;№10; №13 ; №14 ; №15 ; № 16; №17; №18; №20; №22; №24 № ;27; №29 .	
3	ფონური:	№4; №5; №8; №28.	
4	რიგითი:	№10 ; №11 ; № 12; №25; №28.	
ქუჩის პარამეტრები:		სიგრძე 411 მ. (პ. იაშვილის ქ-დან ამაღლების ტაძრამდე) ქუჩის სიგანე შენობებს შორის 11მ (საწყ. ნაწ) 21მ-28მ. სავალი ნაწილი 8.5მ.;14მ.-21მ.	

არტ–ნუვო დეკორაციით წარმოდგენილი №9 სახლი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. მისი მოცულობა და დეკორაციული ფასადი დომინანტი იყო ამ ქუჩის განაშენიანების ფონზე XX საუკუნეში. ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი, სახლი №23 გამოირჩევა თბილისური ხასიათის ხის მოხარატებული, დაკიდული აივნის არსებობით. ამ თვალსაზრისით ქუჩაზე ასევე აღსანიშნავია სახლები: №8, № 10, №11, №19.

ფსევდო კლასიცისტური სტილის და ადგილობრივი ტრადიციების გავლენითაა შექმნილი სახლი №15. მის მოვარდისფრო კედლის სიბრტყეზე თეთრი პროფილები, ნალესობის ქვეშ კი ძველი აგურის წყობა შეინიშნება. ქუჩის საერთო კომპოზიციას შეესაბამება ფასადის თანაზომიერი რიტმი, სწორკუთხა ღიობები, არქიტექტურული პროფილების განმეორებადობა და ამ სტილისთვის დამახასიათებელი სხვა ელემენტები. მიმდებარედ არსებულ შენობათა მსგავსად მისი მთავარი ფასადი თავდაპირველ სახეს ინარჩუნებს, ეზოს ფასადი კი შეცვლილია.

ამაღლების და კოჯრის ქუჩების ლ. ასათიანის ქუჩასთან შეყრის ადგილას, XIX საუკუნეში არსებული შენობა დღეს აღარ არსებობს და მის ნაცვლად ამ ტერიტორიაზე 2010-იან წლებში აგებულ თანამედროვე იერსახის მონუმენტურ შენობებს ერთ კომპლექსად განვიხილავთ ინტერვენციისთვის განკუთვნილ თავში. მის მოპირდაპირედ ამავე პერიოდში აგებული, ტერასული განლაგების საცხოვრებელი სახლია.

ამაღლების ქუჩის ისტორიულ გეგმებზე სრულად ასახვა 1867 წლიდან დაიწყო. ადრე არსებული ფონური განაშენიანება დღეს შენარჩუნებულია. ქუჩაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა უმეტესობა არასახარბიელო მდგომარეობაშია და საჭიროებს რეაბილიტაციას. თავისი მასშტაბით და მხატვრული იერსახით მიმდინარე საუკუნემდე ქუჩაზე აქცენტირებულ, მოდერნის არქიტექტურული მოტივების მქონე №9 სახლს, ამჟამად კონკურენციას უწევს ბოლო პერიოდში შექმნილი №12 მონუმენტური ნაგებობა. ის მასშტაბით და თანამედროვე დიზაინით ჩრდილავს ქუჩაზე არსებულ განაშენიანებას. ქუჩის სიგანიდან გამომდინარე, ქუჩის და შენობების გაბარიტების თანაფარდობა შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს. სოლოლაკის ვიწრო ქუჩებთან მიმართებით ფართო გაბარიტიანი ამაღლების ქუჩა იტანს ამ თანამედროვე ნაგებობათა მონუმენტურობას, მაგრამ საფრთხეს უქმნის ისტორიულ გარემოს. ამ ტენდენციამ შესაძლოა ქუჩას შეუცვალოს მოცულობითი, ისტორიული და არქიტექტურულ–მხატვრული ღირებულება.

კოჯრის ქუჩა (ამჟამად გიზო ნიშნიანიძის ქ.)

XIX საუკუნის 20–იან წლებში გზის საწყის მონაკვეთს ლ. ასათიანის ქუჩამდე ველიამინოვის ქუჩა ერქვა. კოჯრის ქუჩა მას 1867 წლიდან დაერქვა. უკანასკნელ პერიოდში კი გიზო ნიშნიანიძის სახელი მიენიჭა. იგი სოლოლაკის ერთ–ერთი ვიწრო ქუჩათაგანია. ქუჩაზე არსებულმა შენობებმა დღემდე თითქმის უცვლელად მოაღწიეს.

კოჯრის ქუჩის განაშენიანება (გიზო ნიშნიანიძის ქ.)		
ქუჩაზე არსებული შენობები სტატუსის მიხედვით	შენობა №	ვ. ბერიძე „თბილისის არქიტექტ. 1801–1917“, მითითებულ შენობათა პროექტები
1 ეროვნული მნიშვნელიბის: 2 კულტ. მემკვიდრეობის: 3 ფონური: 4 რიგითი:	№ 2; №5. № 3; №4 ; №7 ; №9 ; №15 . №1 ; №8 ; №11/4. № 6; №8; №10; №12; №13; №17; №19; №21.	1) კოჯრის ქ. №2; 1855 წ. პროექტი არ შემონახულა. 2) კოჯრის ქ. №5; 1860 წ. არქიტ. სოკოლოვი. პროექტები. დათარიღებული სახლები. 3) კოჯრის ქ. №4; 1893 წ. შემლებლ პირთა სახლის, 2 სართულის გეგმა.
ქუჩის პარამეტრები:	გზის სიგრძე 334 მ. გზის სიგანე შენობებს შორის 9 მ –10 მ. სავალი ნაწილი 5 მ– 6 მ.	

სოლოლაკის სხვა ქუჩების მსგავსად განაშენიანება ეკლექტიკური ხასიათისაა. არსებული ფონური განაშენიანება ძირითადად XIX ს. II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში აგებული საცხოვრებელი სახლებითაა წარმოდგენილი. აქ ვხვდებით სოლოლაკისთვის დამახასიათებელი საცხოვრებელი სახლების ზემოაღწერილ ტიპებს, უმეტესად კლასიკური ხასიათის დეკორით და არქიტექტურული ელემენტებით. ქუჩაზე არსებული №2 და №5 სახლები ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებია.

№2 შენობა თბილისური გოთიკის ერთ–ერთ ნიმუშს წარმოადგენს. შესრულებულია 40–50–იანი წლებში არსებული ჩვეულებრივი ნორმებით. ფასადის შუა ნაწილი აივნიანია, გოთიკური ელემენტები იგრძნობა

რიზალიტებში არსებულ სარკმელებში, შეწყვილებულ სარკმელთა ალათებში და წვრილთაღებიან კარნიზებში. ხის აივნების მოაჯირი და აჟურული კონსოლები ასახავს ტრადიციებთან კავშირს (სურ. 5. ბ).

№5 სახლი ეკლექტიკურია, რენესანსული ხასიათის თაღოვანი სარკმელებით და ეროვნული ხასიათის ნიშნებით. ხის მოხარატებული დაკიდული შუშაბანდი ნაგებობას თბილისური სახლისთვის დამახასიათებელ იერს ანიჭებს (სურ. 6.ა). პროექტის ავტორია არქ. ა. სოკოლოვი. სახლის ფასადი გამარტივებულია 50–იანი წლებში არსებულ თბილისური სახლის ფასადის სტანდარტთან შედარებით. პროექტით გათვალისწინებული ორნამენტები და პილასტრის ზედაპირის ჩაღრმავებული არეები აქ არ შეინიშნება. ამ სახლს თბილისური ფასადის ბოლო ნიმუშად იხსენიებს მკვლევარი ვ. ბერიძე [1].

№3 შენობა საინტერესო არქიტექტურით გამორჩეული XX საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომელიც იმ დროს თბილისში სახელგანთქმულ არქიტექტორს, პავლე ზურაბიანს აუგია საკუთარ საცხოვრებელ სახლად (სურ. 6.ა). შენობის დეკორატიული მხარე მოდერნის სტილის ელმენტებითაა შექმნილი. სახლი განსხვავდება სხვა შენობათაგან ქუჩაზე გამომავალი მცირე კურდონერით და სადარბაზოს ინტერიერის მოზრდილი, ოვალური ფორმის არტ–ნუვო დეკორაციის მქონე სარკმელით, რომლის ზედა მხარეს ქალის თავის გამოსახულებებია [18]. აღსანიშნავია შენობის ფასადზე არსებული სადარბაზოს ლითონის კარის ჭედური გაფორმება, ასევე ფანჯრების და ღიობის ლითონის გისოსების დამუშავების მხატვრული მხარე.

№3 სახლი ოდნავ სიღრმეში შეწევით მცირე სივრცეს მატებს გზას, მასსა და მის მოპირდაპირედ არსებულ №4 სახლს შორის, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. ამასთანავე ყურადღებას იპყრობს XIX ს. ბოლოსთვის დამახასიათებელი სახასიათო “ აგურის სტლით“, რაც ძირითადად სამხედრო დანიშნულების შენობებში გამოიყენებოდა.

სახურავი დასრულებულია პარაპეტის დეკორატიული ნაწილით და ქონგურით.

ქუჩაზე საყურადღებოა ასევე №9 ორსართულიანი სახლი, შესასვლელი კარის თაღზე არსებული ტიტანების და ცენტრში ქალის თავის ბარელიეფის არსებობით. II სართულის რიზალიტი ნახევარწრიული კედლის სვეტებით, თაღოვანი ფრონტონით და ანტაბლემენტით. დანარჩენი სარკმელები სამკუთხა ფრონტონებითაა შექმნილი.

№15 შენობა წარმოდგენილია გოთიკურ–რომანული ხასიათის სარკმელებით. აბრის თანახმად 1924 წ. ამ სახლში ს. ესენინს უცხოვრია.

კოჯრის და ამაღლების ქუჩების შეერთების ადგილას 2012 წ. აგებული მონუნენტური შენობა კოჯრის ქ. №1, გარკვეულწილად იმეორებს №3 ისტორიული სახლის ფასადის დეკორაციის ფრაგმენტებს. ვიწრო ქუჩების კვეთაზე მდგომი №1 შენობა, თავისი მასშტაბით გამორჩეულია გარშემომყოფთაგან. შენობის კოჯრის ქუჩისკენ მიმართულ ფრთაზე არსებული აივნები ნაწილობრივ მიმსგავსებულია თბილისურ აივნებთან (იხ. 2.1. თავი).

კოჯრის ქუჩის მიმართულება ჩანს 1844 წ. გეგმაზე. XIX ს. შუა წლებიდან დაწყებულ ქუჩის განაშენიანებაზე მიუთითებს აქ მდებარე სახლი №2–ის არსებობა (მისი პროექტი არ შემონახულა). მეოცე საუკუნის დასაწყისში არქიტექტურული თვალსაზრისით ქუჩა სრულად იყო ჩამოყალიბებული.

სოლოლაკის ტერიტორიაზე სიგანით ყველაზე ვიწრო ქუჩა დღესაც იმავე მოცულობისაა და მომხიბვლელია თავისებური კოლორიტით. ისტორიული შენობები ძირითადად ქუჩის საწყის ნაწილშია (კოჯრის და ლ. ასათიანის ქუჩების შესართავიდან, გენერალ რ. მუსხელიშვილის ქუჩის კვეთამდე). ქუჩის განშენიანების ჩამოყალიბების პერიოდისთვის აქცენტირებულ შენობად შეიძლება ჩაითვალოს №3 სახლი. ამჟამად მას კონკურენციას უწევს მონუმენტური შენობა №1. ქუჩის ბოლო ნაწილში

აგებული რამდენიმე არც თუ დიდი მოცულობის ახალი საცხოვრებელი სახლი, ქუჩის ისტორიულ იერსახეს საფრთხეს არ უქმნის.

მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა სოლოლაკის უბანს კალასთან აკავშირებს. იგი მეცხრამეტე საუკუნის 20–30–იან წლებში ჩამოყალიბდა. ქუჩა 1843 წელს შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მთის ქუჩა, შემდეგ ერქვა „ნაგორნაიას“ ქუჩა, ხოლო მიხეილ ლერმონტოვის სახელი 1900 წლიდან უწოდეს პოეტის აქ ცხოვრების გამო. ქუჩის ეკლექტიკური განაშენიანება XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება. ქუჩაზე არსებული ფონური განაშენიანება წარმოდგენილია 2–3 სართულიანი ფსევდო რენესანსულ–ბაროკული და თბილისური საცხოვრებელი სახლებით, რომლებიც კულტურული მნიშვნელობის ძეგლებს წარმოადგენენ.

1828 წლის გეგმაზე აღნიშნულია მ. ლერმონტოვის ქუჩის ხაზის მიმართულება. 1844 წლის გეგმაზე არსებულმა მ. ლერმონტოვის ქუჩის ხაზმა, რომელიც იმ დროს ამჟამინდელ გ. ლორთქიფანიძის ქუჩასაც მოიცავდა, შემდგომ პერიოდში მცირედი ცვლილება განიცადა და 1867 წლის გეგმაზე უკვე ეს ქუჩა სრულყოფილადაა აღნიშნული. ამ გეგმაზე შეიმჩნევა ქუჩის განაშენიანებაც, ნაჩვენებია ნაგებობები ამჟამინდელი №14, ასევე №16 და№15 (დღეს გ. ლირთქიფანიძის ქ. №2, №1) შენობების ადგილას.

ბოლო წლებში მ. ლერმონტოვის ქუჩის ერთ მონაკვეთს, ივანე მაჩაბელის ქუჩის კვეთიდან დ. ჭონქაძის ქუჩის კვეთამდე ეწოდა გ. ლორთქიფანიძის სახელი.

ქუჩის იმ მონაკვეთზე არსებული ისტორიული შენობები, რომელსაც კვლავ მ. ლერმონტოვის სახელი ჰქვია, საჭიროებენ რეაბილიტაციას. **№12** სახლის ქართული არქიტექტურულ– მხატვრული იერსახის და შუა საუკუნეების რენესანსული მოტივების შერწყმით წარმოდგენილი მ.

ლერმონტოვის ქუჩისკენ მიმართული ფასადი, ამჟამად რაბილიტაციის პროცესშია და სახეცვლილებას განიცდის.

მ. ლერმონტოვის ქუჩის განაშენიანება		
ქუჩაზე არსებული შენობების ძეგლის სტატუსი	შენობა №	ვ. ბერიძე „თბილისის არქიტექტ. 1801–1917“, მითითებულ შენობათა პროექტები
1 ეროვნული მნიშვნელ. 2 კულტ. მემკვიდრეობის: 3 ფონური: 4 რიგითი:	№ –; №9; №11; №12; №13/8; №14. №8/16 –8/11 ავტოსადგომი №10/13 ;	მ. ლერმონტოვის ქ. №15. გაბრ. ქართველიშვილის სახლის პროექტი. 1845 წ. (მჟამად გ.ლორთქიფანიძის №1–ია).
ქუჩის პარამეტრები:	ქუჩის სიგრძე 180 მ. ქუჩის სიგანე შენობებს შრის ~9 მ–12 მ. სავალი ნაწილი ~6 მ–7 მ.	

მ. ლერმონტოვის და გ. ტაბიძის ქუჩების კვეთის ადგილას, ლერმონტოვის ქ. **№ 10/13** თანამედროვე იერსახის შენობა, არსებული განაშენიანებისგან განსხვავებულია (მოღებულია წინამდებარე შენობის რეკონსტრუქციის შედეგად) და მის არქიტექტურულ–მხატვრულ სახეს ინტერვენციისთვის განკუთვნილ თავში განვიხილავთ (სურ.12).

შ. დადიანის და მ. ლერმონტოვის ქუჩების კვეთის ადგილას არსებული თავისუფალი ტერიტორია დღეს ავტოსადგომისთვის არის შემოფარგლული.

გ. ლორთქიფანიძის ქუჩა ამჟამად მ. ლერმონტოვის ქუჩის ნაწილს ეწოდა. ქუჩა სოლოლაკისთვის მასშტაბურად და სტილისტურად ტიპურია, ფორმირებულია სოლოლაკისთვის დამახასიათებელი გრძივი განაშენიანებით და ეკლექტიკური ფასადის მქონე შენობებით. ვხვდებით ფსევდო რენესანსულ-ბაროკულ, რომანულ-გოთიკურ თუ არტ-ნუვოს

არქიტექტურული ელემენტებით შემკულ ორ-სამსართულიან საცხოვრებელ სახლებს ე. წ. თბილისური ეზოებით.

გ. ლორთქიფანიძის ქუჩის განაშენიანება			
ქუჩაზე არსებული შენობები სტატუსის მიხედვით		შენობა №	ვ. ბერიძე „თბილისის არქიტექტურა 1801–1917“, მითებულ შენობათა პროექტები
1	ეროვნული მნიშვნელ.	№1 ; № 3; №13 .	მ. ლერმონტოვის ქ. №15.
2	კულტ. მემკვიდრეობის:	№2; №5; №6; №7; №9; №11; №15; №16.	გაბრ. ქართველიშვილის სახლის პროექტი. 1845 წ.
3	ფონური:	№8 ; №10/13; № 12.	(ამჟ. გ. ლორთქიფანიძის
4	რიგითი:	№4 № 14/22 მშენებარე.	№1)
ქუჩის პარამეტრები:		გზის სიგრძე 316 მ. გზის სიგანე შენობებს შორის~11მ–12,7 მ. სავალი ნაწილი ~ 6, 6 მ–7მ.	

ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსის მქონე №1 შენობის (ყოფილი მ. ლერმონტოვის ქ. №15) სახლის ტიპი „მშვენიერ ნიმუშად“ მიიჩნია აკად. ვ. ბერიძემ. შენობის ფასადი ქუჩის გასწვრივაა გაშლილი. სახლის ზურგი, რომელიც გამოყენებულია ეზოს ფლიგელისთვის, ებჯინება მეზობლის სახლს და ეზოს სიღრმეში ვითარდება, შესასვლელი კი ქუჩიდან პირდაპირ აივანზეა. სავარაუდოდ, ეს ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ფართო მოცულობის მქონე შენობაა ამ ტერიტორიაზე, რამაც სხვა, შედარებით დიდი მოცულობის სახლების მშენებლობას შეუწყო ხელი. სახლი ძირითადად შენარჩუნებულია, განხორციელებულია მხოლოდ მცირე ცვლილებები. ორი ნაწილისაგან შემდგარი შენობა გაერთიანებულია ეზოთი და მ. ლერმონტოვის ქუჩის მხრიდან არსებული აგურის შენობით. ეზოს მხრიდან ამშვენებს თბილისური აივნი და პროპორციული თაღოვანი ნაწილი. შენობის დაზოლოლი პილასტრები, სამკუთხა ფრონტონები, თაღოვანი ტიმპანი და ეზოსკენ მიმართულ ფართო

ხის აივანზე არსებული დორიული სვეტები, შენობის აგების სავარაუდოდ 1930 – 1940 წლებზე მიუთითებენ.

სახლი №3/6 გ. ლორთქიფანიძისა და გ. ქიქოძის ქუჩების კვეთაზე მდებარე, მონუმენტური ეკლექტიკური შენობა ყურადღებას იქცევს პარაპეტის დეკორატიული ნაწულით და აქცენტირებული ბელვედერით (ცრუ გუმბათით), რაც სიმაღლეს მატებს შენობას და განსაკუთრებით ქუჩათა კვეთაზე არსებულ კუთხის ნაწილს.

ეროვნული მნიშვნელობის და კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობების გარემოცვაში თვალშისაცემია მიმდინარე საუკუნეში აგებული, ნაგებობა №4–ის არქიტექტურულ–მხატვრული მხარე (იხ. თავი 2.1).

1844 წ. გეგმაზე ნაჩვენებია გ. ლორთქიფანიძის ქუჩის ხაზის (იგი მ. ლერმონტოვის ქუჩის ნაწილი იყო) მიმართულება. 1867 წლის გეგმის მიხედვით ქუჩა ფაქტობრივად ჩამოყალიბებულია და შეინიშნება განაშენიანებაც. ქუჩაზე მოცულობითი და არქიტექტურულ – მხარვრული ღირებულებით აქცენტირებული სახლები, ამჟამად გ. ლორთქიფანიძის ქ. № 1 და № 3 (ყოფილი მ. ლერმონტოვის ქ. № 15; № 17), დღესაც ინარჩუნებენ აქტუალობას და მომხიბვლელობას. ქუჩის საერთო ხასიათი ძირითადად დაცულია, გამონაკლისს შენობა №4 წარმოადგენს.

ივანე მაჩაბლის ქუჩა მდებარეობს გ. ლეონიძის და ლ. ასათიანის ქუჩებს შორის. იგი შიდა კომუნიკაციისთვისაა განკუთვნილი.

სხვადასხვა წლების გეგმებზე ნათლად ჩანს მისი ჩამოყალიბების პროცესი. ივანე მაჩაბლის ქუჩის ხაზი 1844 წლის გეგმაზე ნაწილობრივაა ნაჩვენები, იგი არ მიდის მ. ლერმონტოვის ქუჩამდე. 1867 წ. გეგმაზე კი უკვე სრულად არის აღნიშნული. მასზე ნაჩვენებია ნაგებობები, სადაც ამჟამად მ. ლერმონტოვის ქუჩის კვეთასთან ასებული №14/10 და ამჟამად გ. ლორთქიფანიძის ქუჩის კვეთასთან არსებული №9/16 შენობებია.

ივანე მაჩაბლის ქუჩას თავდაპირველად ბაღის ქუჩა ერქვა. იგი 1902 წ. და 1913 წ. გეგმებზე სერგიევის ქუჩის სახელით აღინიშნებოდა, იმპერატორ ნიკოლოზ 1–ის შვილიშვილის, მთავრი სერგის პატივსაცემად. 1923 წლიდან ქუჩა ივანე მაჩაბლის სახელს ატარებს და ამ სახელითაა აღნიშნული მომდევნო წლების გეგმებზეც.

ი. მაჩაბლის ქუჩის განაშენიანება XIX საუკუნის 30–40–იან წლებში დაიწყო, მისი ხუროთმოძღვრული სახე ძირითადად ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლო ათეულ წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში. ქუჩაზე არსებული განაშენიანება ეკლექტიკური სტილისაა. ამ პერიოდის თბილისის საუკეთესო არქიტექტურული ნიმუშებით წარმოდგენილი შენობათა ფასადები ხასიათდება მრავალფეროვნებით.

ქუჩის განაშენიანებაში აქცენტირებული და ღირებულია: მოდერნის ხასიათის №13 შენობა; ფსევდოგოთიკური ხასიათის ან მისი დეკორაციული ელემენტების შემცველი შენობებიდან - ივანე მაჩაბლის ქ. №14 და №18, ისლამურ–მავრიტანული ხასიათი აქვს №17/27 შენობას. დანარჩენი ეკლექტიკური შენობები ძირითადად კლასიცისტური და რენესანსულ–ბაროკოულ სტილთა მოტივების ნაზავია (სურ. 29).

ივანე მაჩაბლის ქუჩაზე დომინანტურობით გამორჩეული მოდერნის სტილის №13 შენობა აგებულია (მაშინდელ სერგიევის ქუჩაზე) 1905 წელს, არქიტექტორ კ. ცაარის პროექტით. სამშენებლო სამუშაოებს ცნობილი არქირექტორები ალექსანდრე ოზეროვი და კორნელი ტატიშჩევი უძღვებოდნენ. ეს იყო ცნობილი ღვინის ქარხნის მფლობელის (ფილანტროპის) და მეცენატის, დავით სარაჯიშვილის საცხოვრებელი სახლი, სადაც 1928 წლიდან მწერალთა კავშირი განთავსდა. შენობა სავარაუდოდ, ისტორიულ ადგილზე, „მთის ფერდობზე სოლოლაკის მდინარის ახლოს” იქნა აგებული.

ეკლექტიზმის პერიოდისთვის დამახასიათებელ შენობაში, გაერთიანებულია მოდერნის და ბაროკოს სტილების ელემენტები,

შეიმჩნევა როკოკოს ელემენტებიც [4], რაც „მწერალთა სახლს" ღირშესანიშნაობას მატებს.

ივანე მაჩაბელის ქუჩის განაშენიანება		
ქუჩაზე არსებული შენობები სტატუსის მიხედვით	შენობა №	ვ. ბერიძე „თბილისის არქიტექტურა 1801–1917", მითითებულ შენობათა პროექტები
1 ეროვნული მნიშვნ. 2 კულტურული მემკვიდრეობის 3 ფონური: 4 რიგითი:	№ 6; №13 ; №17/27 ; №1; №2 ; №4 ; №5 ; № 8/13; №9 ; №10/14 ; ; № 11; № 12; № 14; № 15; № 16; №18 ; №2/4 ; № 4ა; №20/25 ; №3 ; №7; №20 ;	1) სახლი ი. მაჩაბელის ქ. №3. (პროექტით დათარიღებული სახლი). 1850 წ. როტინოვის სახლის პროექტი. 2) სახლი №13. დ. სარაჯიშვილის სახლი. 1900წ. არქ. კარლ ცაარი 3) სახლი №14. 1864 წ. ი. ბაინდურაშვილის სახლი. 2) სახლი №15, აბამელიქის სახლის ფასადის გადაკეთების პროექტი.
ქუჩის პარამეტრები:	ქუჩის სიგრძე 324 მ. ქუჩის სიგანე შენობებს შორის ~12მ–13.3მ. სავალი ნაწილი 7.6 მ–8.3მ	

შედარებით გვიანდელი ინტერიერის მორთულობა დღემდე უცვლელადაა შემონახული [1]. თეთრი ხელოვნური ქვით მოპირკეთებული ორსართულიანი შენობა დასრულებულია მაღალი მანსარდით. სახლის შიდა ეზოში ბაღისკენ გამავალი მხარე თბილისისთვის ტრადიციული, ღია და განსაკუთრებული მხატვრულობით გამოჩეული ხის აივნებით არის მოწყობილი. ინტერიერის ხით მოწყობა ილია მამაცაშვილს ეკუთვნის. სასახლეში შემორჩენილია მოხატული ჭერი ჭაღებით, რამდენიმე დიდი ბუხარი. ფერადი მინებით შემკული შენობა ვესტიბიულით გადის აკაკის წყაროთან ზამთრის ბაღში. სასახლეში იმართებოდა წვეულებები, არისტოკრატთა და ხელოვანთა შეკრებები, საუბრები, გამოფენები და კონცერტები [25]. 1912 წელს სახლი აკაკი ხოშტარიამ შეისყიდა. 1921 წლიდან კი საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს ეკუთვნოდა, შემდეგ კი მწერლებსა და ხელოვანებს გადაეცა. ამ პერიოდიდან შენობაში ტრაგიკული მოვლენებიც ხდებოდა.

ი. მაჩაბლის ქ. №15 შენობა აგებულია 1878 წ. იგი განსხვავებულია ამ პერიოდის შენობათაგან იმით, რომ მკვიდრდება აკადემიური დამუშავების ხერხები. აღარ შეიმჩნევა კლასიკური და თბილისური მოტივების შრწყმა. ხის დაკიდულ აივნებს ქუჩის მხარეს ცვლის რკინის აჟურული ღია აივანი. ამ სახლის არსებული პროექტი შესაძლოა 30–40–იანი წლების ძველი ფასადის გადაკეთებითაა მიღებული. შესაბამისად, სავარაუდოა შეცვლილიყო ძველი ხის აივანი, რომელიც იმ დროისთვის შექმნილ, თანამედროვე აკადემიურ ფასადს აღარ ეთავსებოდა [1] .

ქუჩის განაშენიანებიდან ასევე აღსანიშნავია ი. მაჩაბლის და ლ. ასათიანის ქუჩების კვეთაზე არსებული, XIX საუკუნის დასასრულს აგებული საცხოვრებელი სახლი №17/27. იგი მეწარმე ნიკოლოზ კალანტაროვის (მეორე გილდიის ვაჭრის, სამჭედლო-მექანიკური ქარხნის მფლობელის) დაკვეთით იქნა აგებული არქიტექტორ გაზაროს სარქისიანის მიერ. სახლი ისლამურ–მავრიტანული სტილიზაციითაა შექმნილი და იმ პერიოდის სოლოლაკის განაშენიანების და საცხოვრებელი სახლის ტიპის ერთ–ერთი მაგალითია. გამორჩეული ღირებულების სახლის ფასადი (სურ.4.) გაფორმებულია ქვის ბალუსტრადებზე სტილიზებული წარწერებით, სტალაქტიდური ფრიზით, ისლამური არქიტექტურული ელემენატებით, კრონშტეინებზე დაყრდნობილი და ასევე გუმბათოვანი აივნით. შენობის გაფორმებაში აღსანიშნავია რვა ქიმიანი ვარსკვლავების ნიმუში და დახვეწილი სტუკოს ტექნიკით შესრულებული ფასადი. შენობის ფასადის სტილშია გადაწყვეტილი ეზოში გამავალი შუშაბანდი (სურ. 27). იატაკი ანდრეოლეტის სახელოსნოს ოსტატთა შემოქმედებაა. ჭერი და კედლები ბაროკოს და რენესანსის სტილშია მოხატული. ლ. ასათიანის ქუჩისკენ გამავალი სადარბაზო კი მოხატულია აღმოსავლურ სტილში [22].

ქუჩის ეკლეკტიკურ განაშენიანებაში განსხვავებული არქიტექტურული მორთულობით, დახვეწილი პროპორციებით და გაფორმებით კონტრასტს ასევე ქმნის სახლი №14, რომელიც იაგორ

ბაინდურაშვილს ეკუთვნოდა. შენობის მხატვრულ მხარეს განსაზღვრავს ისლამურ მოტივებთან შეზავებული გოთიკა, რაც აისახება ფასადის არქიტექტურულ–მხატვრულ დამუშავებასა და სარკმელთა ხასიათის გადაწყვეტაში, პირველი სართულის მახვილბოლოიანი ფორმის და მეორე სართულის მსუბუქად შეისრული თაღებით შექმნაში. ეს სახლი „ტოსკანური პალაცოს სახით ჯერ კიდევ ინარჩუნებს ძალას“ [1]. სარკმელის თაღებს შორის რელიეფური მედალიონია. შენობა მორთულია პილასტრებით, პროფილირებული ტონებით გაფორმებული რკინის აივნები ფასადის კომპოზიციის ნაწილს წარმოადგენს.

№ 16 ორსართულიანი შენობა მწერალთა სახლის მოპირდაპირედაა, იგი ერთ –ერთი ღირებული შენობაა ამ ქუჩაზე. ოდესღაც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, მიმდებარედ არსებულ ამ ფუნქციის მქონე შენობათა მსგავსადაა ორგანიზებული. ეს ეკლექტიკური ხასიათის ფასადის ტიპიური თბილისური გადაწყვეტაა მონუმენტური პილასტრებით და ფსევდო რენესანსულ-ბაროკული მოტივებით. ეზოში გამავალი დორიულ სვეტებიანი საკომუნიკაციო აივნები დღეს შემინულია.

№18 შენობა, რომელიც სავარაუდოდ 1860 წელს აშენდა, ასევე სოლოლაკის უბნის ღირშესანიშნაობაა. შენობის ფასადი მიმდებარე შენობებთან სტრუქტურული და სივრცითი მსგავსებით ხასითდება, თუმცა განსხვავებულია სტილისტური თვისებებით. შენობის ფასადზე შერწყმულია ისლამური და გოთიკური არქიტექტურის ელემენტები, ორსართულიანი სახლის პირველი სართულის სარკმელები ხასიათდება მომრგვალებული, მეორე სართულის სარკმელები კი ფართო და გოთკური ხასიათის შეისრული თაღებით, რომლის თავზე რელიეფური მედალიონებია, შუაში კი „ტიუდორის ფანჯრით“ [4].

ივანე მაჩაბელის ქუჩა არქიტექტურულ სტილთა მრავალფეროვნებით ერთ–ერთი გამოჩეული ქუჩათაგანია. როგორც ისტორიული გეგმები გვიჩვენებს, იგი 1844 წლიდან თანდათან ვითარდებოდა და 1867 წ. გეგმაზე სრულად გამოიკვეთა. ქუჩა XIX საუკუნის დასაწყისში არქიტექტურული

თვალსაზრისით სრულყოფილად იქნა ჩამოყალიბებული. იგი დღესაც ინარჩუნებს მხატვრულ ღირებულებას და იქ არსებული ისტორიული შენობებით კვლავაც აქტუალური და მომხიბვლელია.

მოცულობით და ფასადის არქიტექტურულ–მხატვრული სახით ქუჩაზე არსებული შენობები №13 და №17 ამჟამადაც ინარჩუნებენ დომინანტურობას.

ი. მაჩაბლის ქუჩა სოლოლაკის სხვა ქუჩათაგან გამოირჩევა იმითაც, რომ აქ თანამედროვე იერსახის ნაგებობები არ არის.

ლადო ასათიანის ქუჩა მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა და სოლოლაკს კალასთან აკავშირებს. იგი სოლოლაკის ქედის ფერდობს (კლდისუბანს) გამოჰყოფს შედარებით დაბლობ, განაშენიანებისთვის ხელსაყრელ რელიეფისგან.

სოლოლაკის უბნის ჩამოყალიბების პერიოდიდან ძირითადი საგზაო არტერია კოჯრის გზა, დღევანდელ ლადო ასათიანის ქუჩას მიუყვებოდა. ვახუშტი ბატონიშვილის გეგმაზე, სოლოლაკის ტერიტორიაზე არსებულ სამეფო ბაღების გასწვრივ ფიქსირდება დღევანდელი ლადო ასათიანის ქუჩის სავარაუდო მიმართულება.

ქუჩის პირველი სახელწოდება ფეოდალურ პერიოდში ამ ტერიტორიის მიწების დიდი ნაწილის მფლობელებს, ბებუთაშვილების გვარს უკავშირდება. ქუჩის დასაწყისში მდგარა მათი სასახლეც, რომლის ეზოში მარმარილოს ლომებიან აუზში წყალი სოლოლაკის მთიდან მილებით მოედინებოდა. ქუჩას რამდენჯერმე შეეცვალა სახელი, 1841 წელს ერქვა ბაღის, 1843 წელს – ვ. ბებუთოვის, 1922 წელს – ფ. ენგელსის, 1923 წელს –ი. ივანიძის, 1991 წლიდან კი ლ. ასათიანის სახელი ეწოდა.

1828 წ. საყრდენი გეგმის ქუჩათა ქსელში ასახულია ამ ქუჩის ხაზის მიმართულება. 1844 წ. საყრდენ გეგმაზე აღინიშნა ქუჩის საწყისი სახე, იგი კოჯრის ქუჩამდე ჯერ არ არის მიყვანილი, ნაგებობები ჩანს №28 და №35 შენობების ადგილას. 1867 წ. გეგმაზე სრულადაა აღნიშნული ეს ქუჩა და ნაგებობა №28-ის ადგილას. 1913 და 1924 წლების გეგმებზე ქუჩაზე

ექსპლიკაციით აღნიშნულია ნაგებობები №28; №35; №50 შენობების ადგილას. ლადო ასათიანის ქუჩა ყველაზე გრძელი ქუჩაა სოლოლაკში. განვიხილავთ გზის იმ მონაკვეთს, რომელიც სოლოლაკს ეკუთვნის.

ქუჩაზე ევროპელი არქიტექტორების პროექტებით შექმნილი ეკლეკტიკური განაშენიანება XIX საუკუნიდან იღებს სათავეს. სახლები ძირითადად საცხოვრებელი დანიშნულების შენობებისთვის პროექტდებოდა. მომდევნო პერიოდში შეემატა საგანმანათლებლო და კომერციული დანიშნულების შენობები. ლადო ასათიანის ქუჩაზე მდებარე თითქმის ყველა შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შესული. ეკლეკტიკური სტილის განაშენიანება ძირითადად ხასიათდება რენესანსულ–ბაროკული მოტივებით. ვხვდებით სხვა ფსევდოსტილების ნაზავსაც. მოდერნის სტილისაა №50 და №38 შენობები; ნეო–გოთიკური მოტივებით – №28 შენობა; ფსევდომავრიტანული სტილის №27/17 შენობაა; ეროვნული ტრადიციის მოტივის შერწყმას გოთიკურ მოტივებთან ვხვდებით №43/37 შენობაში.

ლადო ასათიანის ქუჩაზე არსებული შენობებიდან გამოვყოფთ მოდერნის არქიტექტურული სტილით წარმოდგენილ №50 შენობას. იგი არქიტექტორ გაზაროს სარქისიანის მიერ იქნა აგებული 1910-1911 წლებში. ფასადი ცენტრალურ ნაწილში აქცენტირებულია რიზალიტით. შენობაში შესასვლელ კართან მოწყობილ სვეტებზე დაყრდნობილი ბრტყელი კარნიზი, პირველი სართულის სწორკუთხოვანი და მე–2 სართულის განიერი თაღოვანი სარკმელები, ყვავილის ფორმის მედალიონებით და გრილანდებით შემკული ფასადი, შენობას შთამბეჭდავ იერს სძენს. დღეს აქ ცნობილი №43-ე სკოლაა.

ქუჩაზე არსებული კლასიკურ–ბაროკული ხასიათით წარმოდგენილი შენობები №56 და №58, ხასიათდება წითელი აგურის წყობის თავისებური შეხამებით ქვის პროფილთან და დეტალებთან. სახლი №58 თაღოვანი სარკმელებით და განაპირა მხარეს მომრგვალებული ლითონის

ორნამენტული აივნებითაა შემკული, სახლი №56 კი, სწორკუთხოვანი სარკმელებით [1].

ლადო ასათიანის ქუჩის განაშენიანება			
ქუჩაზე არსებული შენობები სტატუსის მიხედვით		შენობა №	ვ. ბერიძე „თბილისის არქიტექტურა 1801–1917“, მითითებულ შენობათა პროექტები
1 2 3 4	ეროვნული მნიშვნვნელობის კულტურული მემკვიდრ.ძეგლი: ფონური: რიგითი:	№ 21/24; №27/17; №37/25 ; №28; №50. №23/23; №29; №31/16; № 30; №33/17; 34;№35/22, №36;№38; №39; №40; №41; № 42;№43; №44; №46; №48;№52; №54; №56; №5; №64. №25/20 ; სიღრმეში №32; №38; №52; №60 . №17/19 სამშენებლო ; №25 ; №35 ; №36 ; № 62.	1) №56, 1898 წ. ენგელსის ქ. III სართ. გგმა. ლ. ასათიანის ქ. №56 სახლი (ენგელსის ქ.) პროექტი. 1898 წ. გეგმა ფასადი, განაკვეთი. მოხსენებულია პროექტი: თავად ყარამან არღუთინსკის სახლი ბაღის (ენგელსის, ახლ. ლ. ასათიანი) ქუჩაზე. 2) №60 ლ. ასათიანის (ენგელსის) ქ;
ქუჩის პარამეტრები:		სიგრძე სიგრძე 492 მ. (შ.დადიანის ქუჩიდან ამაღლების ქუჩამდე); ქუჩის სიგანე შენობებს შორის ~12მ–13.3 მ.;სავალი ნაწილი ~7.2მ–8.3 მ.	

ფსევდოგოთიკური სტილის შესანიშნავი ნიმუშია №28 შენობა (სურ. 5. ა). იგი მრეწველ ანანოვის ხარჯებით აიგო და თავიდანვე გიმნაზიისთვის იყო გამიზნული. 1905 წ. იმხანად ცნობილი თბილისელი არქიტექტორის, ალექსანდრ ოზეროვის პროექტით აგებული ეს შენობა, სოლოლაკში ერთ–ერთ ყველაზე ცნობად და მისტიკურ შენობადაა მიჩნეული. თავდაპირველად უსახსრობის გამო შეულესავად დარჩენილი შენობა, დღემდე ასეთი სახითაა შენარჩუნებული და საინტერესო შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამ შენობაში არსებულმა თბილისის ქალთა გერმანულმა პანსიონმა, რომელსაც ლუთერანული ეკლესიის ტრადიციებიდან გამომდინარე, პატარა ფერად მინებიანი სამლოცველოც ჰქონდა, სახელი და ფუნქცია

რამდენჯერმე შეიცვალა. დღეს რესტავრირებული შენობა საავტორო სკოლაა. შენარჩუნებულია მოაჯირებიანი მარმარილოს კიბეები, ხის ულამაზესი კარ–ფანჯრები, გოთური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ფანჯრებით დამშვენებული დიდი დარბაზი. გადმოცემის თანახმად, გასული საუკუნის 70–იან წლებამდე აქ ორღანიც მდგარა. იშვიათი წითელი აგურით ნაგები შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შესული. ოდნავ მოშორებით, შიგა მხარეს ამავე პერიოდში აგებული მეორე წითელი აგურის შენობა გიმნაზიის სასწავლო პერსონალის საცხოვრებლად ყოფილა გამიზნული [19].

ლ. ასათიანის და შ. დადიანის ქუჩების კვეთის ადგილას მდგარი ეს შენობა, რომელიც შ. დადიანის ქუჩის თვალთახედვის არეალში იხსნება, მართლაც მნიშვნელოვნად გამოირჩევა ფონური განაშენიანებისაგან როგორც სიმაღლით, ისე ნეოგოთიკური სტილისთვის დამახასიათებელი თვალშისაცემი სარკმელებით და შპილებით. მის მოპირდაპირედ კი, ლ. ასათიანის და შ. დადიანის ქუჩების კვეთაზე არსებული თბილისური ხასიათის აივნით წარმოდგენილი ისტორიული შენობის მდებარეობა, არქიტექტურული და მოცულობითი თვალსაზრისით საინტერესო გადაწყვეტას უქმნის როგორც ამ ქუჩების, ისე კალას და სოლოლაკის უბნების კვეთის ადგილს. ეს შემთხვევა განხილულია დადიანის ქუჩაზე.

სოლოლაკის უბნის განაშენიანების არქიტექტურულ–მხატვრული გადაწყვეტა, ქუჩების კვეთის ადგილას არსებული შენობისთვის დამახასიათებელი გამორჩეულობის მინიჭება მოცულობით თუ არქიტექტურული სტილით, აისახა ლ. ასათიანის ქუჩის №21/24 და №17/37 შენობებზეც. სახლი №21/24, გ. ტაბიძის ქუჩის კვეთაზე მდებარეობს (იხ. გ.თაბიძის ქ.) და უბნისთვის იშვიათი არქიტექტურის მქონე ნაგებობაა.

ლადო ასათიანის და ივანე მაჩაბელის ქუჩების კვეთაზე მდგარი №27/17 შენობა ისლამურ –მავრიტანულ მოტივებზე შესრულებული ფასადითაა. სახლის არქიტექტურულ–მხატვრული მხარე ივანე მაჩაბელის ქუჩის განხილვისას დავახასიათეთ. ამ სახლში თბილისის რჩეული

საზოგადოების თავყრილობები იმართებოდა. გადმოცემის თანახმად, სახლის მფლობელი 1908 წელს ბოლშევიკებს გაექცა და მისი შთამომავლები დღეს საფრანგეთში ცხოვრობენ [22]. 1921 წლიდან სახლს არაერთხელ შეეცვალა ბინადარი. ჯერ საცეკვაო დარბაზი იყო, შემდეგ კი კომუნალურ საცხოვრებელ სახლად აქციეს.

ეროვნული და ფსევდო გოთიკურ მოტივთა ნაზავია გამოყენებული №43/37 შენობაში, სადაც ეროვნული ხასიათის ხის მოხარატებული დაკიდული აივნის და გოთიკური სტილის სარკმელების შერწყმა ჰარმონიულ ერთობლიობას ქმნის.

ლადო ასათიანის ქუჩის სავარაუდო მონახაზი ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონის გეგმაზე აისახა. ქუჩა შემდეგ თანდათან ყალიბდებოდა და სრულყოფილ სახეს 1867 წლის გეგმაზე გვიჩვენებს.

ძირითადად მე –19 საუკუნის შუა ხანებში შექმნილ ქუჩას, მეოცე საუკუნის დასაწყისში გააჩნდა როგორც წამყვანი, ისე ფონური განაშენიანება და არქიტექტურული თვალსაზრისით იმ დროისთვის უკვე სრულყოფილად იყო ჩამოყალიბებული. იგი მხატვრული ღირებულებით და მასზე არსებული ისტორიული შენობებით დღესაც აქტუალურია. ქუჩის ფონურ განაშენიანებაში და მის მხატვრულ გადაწყვეტაში, მასშტაბით და არქიტექტურულ–მხატვრული იერსახით აქცენტირებული შენობები №28, №21/24, №17/27 კვლავაც ინარჩუნებენ დომინანტობას. ქუჩის შუა მონაკვეთზე ბოლო წლებში აგებული საცხოვრებელი კორპუსი №36ა, სიღრმეშია შეწეული და ამიტომ შესაძლოა უხეშ ჩარევად არ იქნას აღქმული. ლ. ასათიანის და შ. დადიანის ქუჩების კვეთაზე არსებული ტერიტორია, სადაც ადრე შენობა №19–17 მდგარა, დღეს გათვლილია მშენებლობისთვის. არსებულ ეტაპზე ქუჩის და შენობათა გაბარიტების შესაბამისობა დაცულია.

პაოლო იაშვილის ქუჩა შიდა კომუნიკაციისთვისაა. იგი მდებარეობს გ. ქიქოძის, დ. ჭონქაძის, პ. ჩაიკოვსკის და ლ. ასათიანის ქუჩებს შორის

არსებულ ტერიტორიაზე და წარმოდგენილია ძირითადად საცხოვრებელი სახლებით.

ამ ქუჩის განაშენიანება XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან (1835–50–იანი წლებიდან) დაიწყო. 1844 წ. გეგმაზე პაოლო იაშვილის ქუჩა ნაწილობრივ, გ. ლეონიძის ქუჩამდეა აღნიშნული, ხოლო 1867 წლის გეგმაზე სრულადაა ნაჩვენები. ქუჩამ სახელი რამდენჯერმე შეიცვალა, რაც მომდევნო წლების გეგმებზეც დაფიქსირდა. 1913 წლის გეგმაზე კავკასიის მთავარმმართებლის რტიშჩევის სახელითაა, 1924წ. გეგმაზე ჯუღაშვილის, შემდეგ პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძის, 1990 წლიდან კი პაოლო იაშვილის სახელს ატარებს (პოეტის ამ ქუჩაზე ცხოვრების აღსანიშნავად).

XIX ს–დან ქუჩა ძირითადად საცხოვრებელი დანიშნულების მქონე 2–3 სართულიანი სახლებით იგებოდა.

პაოლო იაშვილის ქუჩის განაშენიანება			
ქუჩაზე არსებული შენობები სტატუსის მიხედვით		შენობა №	ვ. ბერიძე „თბილისის არქიტექტურა 1801–1917“. მითითებულ შენობათა პროექტები
1	ეროვნული	№ 9; №20 ; №25/37.	1) №15 ა. ჯაფარიძის ქ. 1889 წ. ფასადი. არქ. ა . ზალცმანი. 2) №9 ა. ჯაფარიძის ქ. ფასადი, 1899 წ.
2	მნიშვნ. კულტ. მემკვიდრეოის:	№1; №3; №4; №5; №6/17; №7; №8/20; №10; №11; №12; №13 ; №15 ; №16 ; №17/25 ; №18 ; №22/25 ; №23	
3	ფონური:	19/24;	
4	რიგითი:	№19 ; №22/14 ; №14.	
ქუჩის პარამეტრები:		ქუჩის სიგრძე 446 მმ. ქუჩის სიგანე შენობებს შორის ~11,20 მ–12.6 მ. სავალი ნაწილი ~7.1 მ–7.5 მ.	

ქუჩაზე არსებული ეროვნული მნიშვნელობის მქონე საცხოვრებელი სახლი №9, ყურადღებას იქცევს ფასადის დეკორით, განსაკუთრებით სარკმელთან არსებული ქალის ფიგურებით და ფრანგული რენესანსისთვის დამახასიათებელი ციცაბო სახურავით. ასევე აღსანიშნავია აგურის წყობის

შეხამება ქვის პროფილებთან და დეტალებთან. საცხოვრებელი სახლი №7 განსხვავებულია ფასადზე ერკერის ხასიათის ფრაგმენტების გამოყენებით, ხოლო სახლები №4 და №20 სარკმელთა მორთულობით.

ხის დაკიდული მოხარატებული შუშაბადის, რიკულებიანი აივნების და თაღოვან სარკმელთა ერთობლიობაა №6/17 და №23 სახლებში (ასევე, პ. ჩაიკოვსკის ქუჩის კვეთასთან დაკიდული მოხარატებული აივანი), ხაზს უსვამს ეროვნული და კლასიკური მოტივების შერწყმას. ქუჩის დანარჩენი ეკლექტიკური განაშენიანება ძირითადად ფსევდო კლასიცისტურ და რენესანსულ– ბაროკულ მოტივთა ნაზავია.

ქუჩაზე არის მხატვრული თვალსაზრისით შედარებით სადა ფასადის მქონე სახლიც. ეს არის არქიტექტორ ა. ზალცმანის პროექტით 1889 წ. აგებული შენობა № 15, რომელიც უფრო წინა პერიოდის (70–იანი წლებისას) შენობებს ემსგავსება.

ქუჩაზე ამჟამად შენარჩუნებულია მე–19 საუკუნის განაშენიანება. საცხოვრებელი სახლებით დაკომპლექტებული ქუჩა დღეს საოფისე და კომერციული დანიშნულებისთვისაც მიმზიდველია. ბოლო წლებში რამდენიმე შენობა სასტუმროდ გადაკეთდა.

პაოლო იაშვილის ქუჩაზე მეოცე საუკუნის დასაწყისიდან არქიტექტურულ–მხატვრული თვალსაზრისით დღემდე განსხვავებულ ხასიათს ინარჩუნებენ შენობები: №7; 9; 4; 20; 6/17. ქუჩის განაშენიანებაში არის როგორც ეროვნული მნიშვნელობის, ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. მათი მხატვრული ღირებულება დღესაც აღსანიშნავია. დღესდღეობით თანამედროვე სასტუმრო კომპლექსი პ. იაშვილის ქ. №14 და №16 ა, არსებული სტილისტური თვალსაზრისით და მასშტაბით ისტორიული განაშენიანების შესაბამისია. განსხვავებული არქიტექტურული მახასიათებლების მიუხედავად, კომპლექსი ქუჩის ერთიან იერსახეს ერწყმის. ქუჩის გაბარიტი და შენობათა მასშტაბის შესაბამისობა ამჟამად დაცულია, რაც ქუჩას ჰარმონიულობას უნარჩუნებს.

პაოლო იაშვილის ქუჩის საწყის მონაკვეთზე, პ. ჩაიკოვსკის ქუჩის კვეთასთან მიმდინარეობს მრავალსართულიანი შენობების მშენებლობა.

შალვა დადიანის ქუჩა სოლოლაკის და კალას უბნების გამყოფია. მდებარეობს თავისუფლების მოედანსა და ლ. ასათიანის ქუჩებს შორის. იგი სოლოლაკის ერთ-ერთი უძველესი ქუჩაა, რომელიც XIX საუკუნის I ნახევარში აქ გამავალი შუა საუკუნეების ქალაქის ზღუდე-გალავანის დანგრევის შედეგად წარმოიქმნა.

სოლოლაკის უბნის ქუჩებს შორის შ. დადიანის ქუჩა ყველაზე ადრეულია. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ 1735 წლის გეგმაზე აღნიშნულია შალვა დადიანის ქუჩის ხაზი სოლოლაკის ქედამდე. ეს ხაზი კოჯრის კარს უერთდება. ქუჩაზე კალას უბნისკენ მიმართული მარცხენა მხარის განაშენიანება უფრო ადრეულ ეტაპს მიეკუთვნება, ვიდრე მარჯვენა – სოლოლაკის უბნისკენ არსებული განაშენიანება. მისი ჩამოყალიბების და განაშენიანების შემდგომი ეტაპები სხვა ქუჩების მსგავსად მიმდინარეობდა. 1828 წლის საყრდენ გეგმაზე ასახულია ამ ქუჩის ხაზი. იგი 1844 წ. და შემდეგი წლების გეგმებზე სრულად და უცვლელადაა აღნიშნული, ცვლილებას განიცდის მხოლოდ მისი განაშენიანება. ეს ქუჩა 1841 წელს შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ა. ველიამინოვის ქუჩა. 1924 წ. გეგმაზე – ვ. დუმბაძის, შემდეგ ამიერკავკასიის ფედერაციის, ი. ჭავჭავაძის, 1959 წელს კი ქართველი მწერლის და დრამატურგის, შალვა დადიანის სახელი ეწოდა.

ქუჩაზე არსებული ეკლექტიკური სტილის მქონე საცხოვრებელი შნობების განაშენიანება XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა.

შ. დადიანის ქუჩაზე არსებული შენობები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია. სოლოლაკის მხარეს ქუჩაზე არსებული პირველივე შენობა, ეროვნული მნიშვნელობის მქონე ფსევდომავრიტანული სტილის საკრებულოს შენობის ფრთას წარმოადგენს. ისტორიული ღირებულებით ასევე აღსანიშნავია ლ. ასათიანის ქუჩის კვეთასთან

მდებარე, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსის მქონე №34/17 შენობა, (იხ. ლ. ასთიანის ქ.). ქართული ტრადიციისთვის დამახასიაათებელი აივნით წარმოდგენილ შენობას ახლახანს რეაბილიტაცია ჩაუტარდა. სარესტავრაციო–სარეაბილიტაციო პროექტი „icomos საქართველოს“ მიერ შეიქმნა. სოლოლაკის და კალას კვეთაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი, მე–19 საუკუნის შუა წლებში ძველი ქალაქის გოდოლ–ბურჯზეა აგებული და ერთ–ერთ ადრეულ ნაგებობად მიჩნეული, ქართული არქიტექტურის ღირსეული ნიმუშია. სახლს განსაკუთრებულ ხიბლს თბილისური სახლისთვის დამახასიათებელი აჟურული დეტალებით შემკული ხის მომრგვალებული აივანი უქმნის.

ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა მის მარჯვნივ მდგარ შენობას [28] შ. დადიანის ქ. №32, სადაც სამუშაოები თბილისის განვითარების ფონდის პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში განახორციელდა [28].

შალვა დადიანის ქუჩის განაშენიანება			
ქუჩაზე არსებული შენობების სტატუსი		შენობა №	ვ. ბერიძე „თბილისის არქიტექტურა 1801–1917“. მითითებულ შენობათა პროექტები
1	ეროვნული მნიშვნ.	№1 ; № 7; №34.	1) 1849 წ. (ველიამინოვის ქ.) თანდოევის სახლის გეგმები. სახლი აღარ არსებობს.
2	კულტურული მემკვიდრეოის:	№2 ; № 3; №4 ; №6 ; №8 ; №9 ;№10 ; №12 ; №14 ; №13 ; №15 ; №18 ; № 22; №24 ; № 32;	2) 1882 წ. არქიტ. ა.ზალცმანი. სახლის გეგმა ველიამინოვის ქ. შეძლებულ პირთა სახლი.
3	ფონური:	№11, №16; № 11/8 ავტოსადგომი;	3) 1872 წ. სახლის ფასადი, (ველიამინოვის ქ.)
4	რიგითი:	№ 20/6; № 17/19.	
ქუჩის პარამეტრები:		ქუჩის სიგრძე~ 350 მ. ქუჩის სიგანე შენობებს შორის 16 მ–17, 5 მ. სავალი ნაწილი~ 7,6 მ–10 მ.	4) №6 შ. დადიანის ქ. 1889 წ. არქიტ. პორფიროვი. ფასადი. 5) №10 შ. დადიანის ქ. ფასადი. ა.ზალცმანი. 1885 წ.

შ. დადიანის ქუჩაზე არქიტექტურული თვალსაზრისით ბაროკული მოტივებია გამოყენებული ოვალური ფრონტონით აქცენტირებულ №8 სახლში, ასევე შუა რიზალიტით გამოყოფილ №6 სახლში, რომელიც ხასიათდება შეჯგუფებული ნახევარკოლონებით, ბრტყელი კედლის

სვეტებით, რკალურ ფრონტონში ჩასმული კარტუშით, კედლის ორ–ორ სვეტს შუა ჩაჭედილი კედლის ნიშებით [1].

შ. დადიანის ქ. №10 შენობა, 1885 წ. არქ. ა. ზალცმანის იმ პროექტითაა აგებული, რომელიც შედარებით ძველ, 70–იანი წლებისას ემხრობა და ხასიათდება მარტივი ფასადით [1].

შ. დადიანის და ლ. ასათიანის ქუჩების კვეთაზე, ყოფილი №17/19–სახლის ტერიტორია მშენებლობისთვისაა შემოსაზღვრული. შ. დადიანის და მ. ლერმონტოვის ქუჩების კვეთაზე არსებული შემოფარგლული ტერიტორია კი გამოყენებულია ავტოსადგომად.

ამ ქუჩის XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი ისტორიული განაშენიანება ძირითადად საცხოვრებელი დანიშნულების იყო. დღეს ქუჩაზე არსებული შენობების ძირითადი ნაწილი შენარჩუნებულია და დაცულია ქუჩის და შენობათა გაბარიტების შესაბამისობა. მის მხატვრულ გადაწყვეტაში მასშტაბით და არქიტექტურულ–მხატვრული ღირებულებით დღესაც აქცენტირებულია შენობები: №1; №2; №34/17. ქალაქის ცენტრალურ, თავისუფლების მოედანთან მდებარეობის გამო, შ. დადიანის ქუჩა მოსახლეობის და ქალაქის სტუმართა ფართო სპექტრისთვის მიმზიდველია როგორც საცხოვრებელი, ასევე საოფისე და კომერციული დანიშნულებით. ამჟამად შენობათა ფუნქიური დატვირთა ნაწილობრივ შეიცვალა და ხდება ძირითადად მათი კომერციული და საოფისე მიზნებისთვის გამოიყენება.

გ. ქიქოძის ქუჩა შიდა კომუნიკაციისთვისაა. იგი ი. მაჩაბლის და პ. იაშვილის ქუჩებს შორის არის მოქცეული.

ამ ქუჩის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი 1844 წ. საყრდენ გეგაზე აისახა მცირე მონაკვეთით. 1867წ. გეგმაზე ქუჩა სრულად ჩანს. გ. ქიქოძის ქუჩის განაშენიანება XIX საუკუნიდან იწყება. პირველად ინსტიტუტის ქუ-ჩის სახელით არსებობდა, რაც ამ ტერიტორიაზე 1840 წ. დაარსებულ კე-თილშობილ ქალთა ინსტიტუტის არსებობას უკაშირდებოდა [33]; 1857 წ. დაერქვა ძველი ინსტიტუტის ქუჩა; 1900 წლიდან ატარებდა რუსეთის

იმპერიის სამხედრო მოღვაწის ი. პასკევიჩის სახელს; 1923 წლიდან - ფ. მა-ხარაძის, 1990 წლიდან კი მას ქართველი მწერლის და პოლიტიკოსოსის გ. ქიქოძის სახელი ჰქვია.

ქუჩაზე ძირითადად XIX ს. მეორე ნახევრის და XX ს. დასაწყისის ეკლეკტიკური განაშენიანებაა შემორჩენილი. მათ შორის საკმაოდაა ეროვნული მნიშვნელობის და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლები.

გ. ქიქოძის ქუჩაზე ერთ–ერთი ღირებული შენობაა №4. მისი მოდერნის სტილის ნიშნებით და ქვის აივნების თაღებით წარმოდგენილი ფასადი ქუჩას მომხიბვლელობას მატებს. მაღალ ცოკოლზე მდგარი ეს სახლი გამორჩეულია ირგვლივ მყოფ შენობათაგან ყვითელი ფერის განაპირა რიზალიტებით და ორ სართულად განლაგებული აივნებით, ფასადის ნაძერწი ყვავილოვანი ფრიზით და ქალის თავის რელიეფური გამოსახულებებით. შენობა გამორჩეულ ადგილს იკავებს სოლოლაკისთვის დამახასიათებელ ისტორიულ შენობებს შორის.

გერონტი ქიქოძის ქუჩის განაშენიანება			
ქუჩაზე არსებული შენობები სტატუსის მიხედვით		სახლი №	ვ. ზერიძე „თბილისის არქიტექტურა 1801–1917“, შენობათა პროექტები
1 2 3 4	ეროვნ. მნიშვნელობის კულტ. მემკვიდრეოის: ფონური: რიგითი:	№ 3; № 4; №6/17 ; № 9; №11. №; №5; №8 ; №10 ; №12: № 13; №14; №15; №16; №17. №2/14 . №3 ; № 15.	1) №11 (მახარიძის ქ.) მილოვის სახლის ფასდის პროექტი. 1914 წ. არქ. გ. ტერ–მელიქოვი.
ქუჩის პარამეტრები:		ქუჩის სიგრძე ~ 289 მ. ქუჩის სიგანე შენობებს შორის~11,8მ–12,8მ. სავალი ნაწილი ~ 7,5მ–9,5მ	

შენობაში განთავსებული იყო სათავადაზნაურო გიმნაზია, შემდეგ “შრომის სკოლა“. მშვენიერი აივნებით გამოჩეული შენობის დაარსება,

ქართველ თავად–აზნაურობის დიდი ძალისხმევის შედეგია. შენობაში იყო ასევე ფრანგული საელჩო (პირველი ფრანგი კონსული კი, მოგზაური და მეწარმე ჟაკ –ფრანსუა გამბა). ამჟამად შენობაში სკოლაა განთავსებული.

მოდერნის დეკორაციული ელემენტებია გამოყენებული არქიტექტორ ა. ოზეროვის პროექტით შექმნილ, №3 და გ. ქიქოძის და მ. ლერმონტოვის ქუჩების კუთხის №6/17 საცხოვრებელი სახლების ფასადებზე [19]. ეს სახლი აიგო მე–20 საუკუნის დასაწყისში. მონუმენტური ნაგებობა, რომელიც ეზოს მხარეს თბილისური სახლისთვის დამახასიათებელი აივნით გამოდის და ქუჩისკენ მიმართული ფასადი ქვით აქვს მოპირკეთებული, ქუჩათა გადაკვეთის ადგილას ერკერით აქცენტირდება.

ქუჩის განაშენიანებიდან აღსანიშნავია ასევე საცხოვრებელი სახლი №11. სამსართულიანი შენობა 1914 წელსაა აშენებული თბილისელი არქიტექტორის გაბრიელ ტერ-მელიქოვის პროექტით. შენობის არქიტექტურულ გადაწყვეტაში იტალიური რენესანსისა და თბილისური საცხოვრებლის მხატვრული ხერხებია შერწყმული. ფასადზე სახლის პირველი მფლობელის, მილოვის (“ხიზილალის მეფეების“), ინიციალებია აღნიშნული. შენობა ხასიათდება ფართო თაღოვანი ლოჯით (ნაწილი შემიმნული) და ქვის ტერასული ბალუსტრადით. ფასადი შემკულია ქვის აივნებით, ლომის თავებიანი და სხვა რელიეფური გამოსახულებებით. ქუჩის სიღრმეში შეწეული შენობის ფასადი, რომელიც მკაცრ შთაბეჭდილებას ტოვებს, მცირე ზომის ეზოში გამოდის და ერწყმის ქუჩას. პროპორციული ეზო შემოფარგლულია რკინის მოაჯირებით და სფეროებით დასრულებული ქვის სვეტებით.

გ. ქიქოძის და გ. ლორთქიფანიძის ქუჩების კუთხეში არსებული №8–10 შენობა, რენესანსული მოტივებითაა წარმოდგენილი. იგი ყოფილი მანთაშევის სახლია.

გ. ქიქოძის ქუჩა სრულყოფილად აისახა 1867 წ. გეგმაზე. განაშენიანება XIX საუკუნის შუა წლებიდან იწყება და ქუჩა მხატვრული თვალსაზრისით დღესაც ინარჩუნებს ხიბლს. ჩამოყალიბების პერიოდიდან უპირატესად

საცხოვრებელი დანიშნულებით დატვირთული ქუჩა, დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად სხვადასხვა ფუნქციებსაც ითავსებს. ქუჩის განაშენიანებაში აგებიდან დღემდე აქცენტირებულია №4 , №6/17 და №11 შენობები.

გ. ქიქოძის ქუჩაზე არ ვხვდებით უხეში ინტერვენციის მაგალითებს, დაცულია ქუჩის გაბარიტისა და შენობათა მასშტაბის შესაბამისობა. აქ არსებული მცირე ინტერვენციის შემთხვევები კი, რაც თვითნებურ მიშენებებში აისახება, გარკვეულწილად ხიბლს უკარგავს განაშენიანების მხატვრულ ღირებულებას.

დანიელ ჭონქაძის ქუჩა - სოლოლაკის უბნის ქალაქის სხვა ნაწილთან დამაკავშირებელია. იგი სოლოლაკს მთაწმინდასთან აკავშირებს. შესაბამისად, ტრანსპორტით დატვირთვის წილიც განსხვავებულია. განვიხილავთ დ. ჭონქაძის ქუჩის იმ ფრაგმენტს, რომელიც სოლოლაკს მიეკუთვნება.

დ. ჭონქაძის ქუჩა პირველად ფიქსირდება 1867 წ. გეგმაზე. 1913 წ. გეგმაზე რუსეთის იმპარიის სამხედრო მოღვაწის –ი. გუდოვიჩის (1856 წ. ი. გუდოვიჩის მიერ 1806 ბაქოს ციხის აღების 50 წლისთავთან დაკავშირებით), 1924 წლიდან კი ქართველი მწერლის, დ. ჭონქაძის სახელწოდებით აღინიშნება.

დანიელ ჭონქაძის ქუჩა ძირითადად იმ ეკლექტიკური განაშენიანებითაა წარმოდგენილი, რომელიც XIX ს. დასასრულს და XX ს. დასაწყისს მიეკუთვნება. დღეს მას თანამედროვე პერიოდში შქმნილი შენობებიც დაემატა.

დ. ჭონქაძის ქუჩა კვლავ აქტუალურია არსებული ისტორიული შენობებით, მხატვრული ღირებულებით დღესაც ფასეულია №11 და №12 სახლები.

დ. ჭონქაძის ქ. № 12 ნაგებობა მოდერნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მაგალითია სოლოლაკში. თამბაქოს მწარმოებლელი მაგნატ ბოზარჯანცების დიდებული სახლი, არქიტექტორ ოჰაჯანოვის მიერ იქნა

დაპროექტებული. სახლს განსაკუთრებულად მიმზიდველს ხდის კაფელით მოპირკეთებული ფოიე და ერთ სტილში გადაწყვეტილი შენობის არქიტექტურა (სურ. 32). შენობა შემოსაზღვრულია ღია-რუხი ფერის მსხვილი ქვისაგან აწყობილი თაღით. ძმები ბოზარჯანცევების სამ-სართულიანმა სახლმა მიიღო სპეციალური არქიტექტურული პრემია - საუკეთესო ფასადი (მიანიჭა თბილისის მერიამ 2015წ.).

დანიელ ჭონქაძის ქუჩის განაშენიანება		
ქუჩაზე არსებული შენობები სტატუსის მიხედვით	შენობა №	ვ. ბერიძე „თბილისის არქიტექტურა 1801–1917“. მითითებულ შენობათა პროექტები
1 ეროვნულიმნიშვნელობის: 2 კულტ. მემკვიდრეოის: 3 ფონური: 4 რიგითი:	№4; №11; №12 ; №1/5 ; №2/7 ; №3 ; №5 ; №8 ; №13; №15. №10/2; № 3; № 7; № 9; №10ა ; №17 ;	1) №8. ფასადი. 1888 წ. არქიტ. ა. შიმკევიჩი. 2) №12 პროექტი არ არის. 3) 1878 წ. ფასადი, № -; დ. ჭონქაძე / დავითაშვილის ქუჩების კუთხე.
ქუჩის პარამეტრები:	ქუჩის სიგრძე 344მ. (№12 შენობამდე). ქუჩის სიგანე ~10–11მ (15მ–№12 სახლის ცენტრალურ ნაწილთან) გზის სავალი ნაწილი ~6,5მ–7მ.	

1888 წელს არქიტექტორ ა. შიმკევიჩის პროექტით შექმნილი სახლი № 8, ამ პერიოდში გავრცელებული გადაჭარბებული ეკლექტიზმით ხასიათდება. რუსტირებული კედლები, განსხვავებული პროპორციის პილასტრები, გლუვი ან დაღარული კედლის სვეტები, პილასტრებზე და სარკმლის თაღებზე ნაძერწი სამკაულები, გირლანდები, რკალური და სწორკუთხა ფრონტონები მის არქიტექტურულ–მხატვრულ სახეს ახასიათებს.

დ. ჭონქაძის, მაშინდელ გუდოვიჩის ქუჩაზე XIX საუკუნეში აშენებული შენობა №11, ისლამური არქიტექრურის მნშვნელოვანი ნიმუშია. მას **ალმასის სასახლე** ეწოდა და თბილისში გენერალური კონსულის საცხოვრებელ სახლს წარმოადგენდა. შენობა თავდაპირველად თბილისში

სამუშაოდ ჩამოსულ გერმანელ ინჟინერს ეკუთვნოდა, რომელმაც 1889-1894 წლებში შენობა საქართველოში ირანის კონსულს, მირზა რეზა ხანს მიჰყიდა. აღმოსავლური სახე შენობას საქართველოში საგანგებოდ ჩამოყვანილმა ირანელმა ოსტატებმა შესძინეს. შენარჩუნებულია შენობის ჭერის მორთულობა, ფასადზე და სადარბაზოს კარებზე კი სპარსული სიმბოლოები და წარწერები.

დ. ჭონქაძის ქუჩაზე შენობა № 4 რომანტიკული მოდერნის სტილშია გადაწყვეტილი. ამაღლებულ ადგილას არსებულ ბაღში მდგარი სახლი ზღაპრულ შთაბეჭდილებას ქმნის თავისი სწორკუთხა, მრავალკუთხა და სეგმენტური ფანჯრებით, ხის აივნით, მანსარდის სართულით და კოშკის მსგავსი სახურავით. შენობას არტ – ნუვო დეკორაციებთან ერთად ნეო რომანული ელემენტებიც ახასიათებს [4]. აღნიშნულ სივრცეს ქუჩისგან ფრაგმენტულად არტ – ნუვო დეკორაციით გაფორმებული კედელი გამოჰყოფს, მასში მოწყობილი შესასვლელი კარიბჭე ფერდზე მდგარ სახლს ეზოს ქვეშ გამავალი, გვირაბში მოწყობილი კიბით უკავშირდება. ეს სახლი და გალავანი ქუჩის კონტურს თავისებურ ხიბლს მატებს.

უპირატესად საცხოვრებელი ფუნქციით დატვირთული დ. ჭონქაძის ქუჩა, დღევანდელ დღეს მიმზიდველი გახდა როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული თვალსაზრისით. ქუჩის ჩვენს მიერ განხილულ მონაკვეთზე აიგო თანამედროვე იერსახის №3; №10ა; №7 შენობები.

სულხან–საბას და პ. ინგოროყვას ქუჩები ერთმანეთის პარალელურად არსებული ქუჩებია.

ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს შედგენილ გეგმაზე ამ ქუჩების მომცველი ტერიტორია სოლოლაკის უბნის სხვა ქუჩათა მსგავსად დატანილია როგორც ქართლ–კახეთის მეფის ოჯახის ბაღების ტერიტორია. 1844 წლის საყრდენ გეგმაზე აღნიშნულია მხოლოდ ამჟამინდელი სულხან–საბას ქუჩის მიმართულება, 1867 წლის გეგმაზე ორივე ქუჩა თითქმის ჩამოყალიბებული სახითაა აღნიშნული. ჩანს ზოგიერთი შენობაც.

1913 წ. და 1924 წ. გეგმებზე ეს ქუჩები ჯერ კიდევ პირვანდელი სხლწოდებებით აღინიშნება. სულხან–საბას და პ. ინგოროყვას ქუჩების განაშენიანება XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისისთვის, თბილისური ბურჟუაზიისთვის აგებული ეკლექტიკური სტილის სახლებითაა შექმნილი, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ თავის არქიტექტურულ სახეს და მხატვრულ ღირებულებას.

სულხან–საბას ქუჩა სიგრძით ყველაზე მცირე ქუჩაა სოლოლაკში. იგი მოქცეულია პ. ინგოროყვას, გ. ლეონიძის ქუჩებსა და თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიას შორის. სხვადასხვა პერიოდებში ერქვა – ირაკლის შესახვევი (ადრე ამ ადგილებში მეფე ერეკლე II-ის ბაღების მდებარეობის გამო); ფრეილინის ქუჩა (XIX ს-ს 80-იანი წლებიდან მეფისნაცვლის სასახლის სეფექალები სეირნობდნენ) და 1913 წ. გეგმაზე ამ სახელითაა აღნიშნული; 1924 წ. გეგმაზე საბა–სულხანის, 1948 წლიდან დღემდე სულხან–საბას ქუჩის სახელს ატარებს (სურ.33).

სულხან–საბას ქუჩის განაშენიანება		
ქუჩაზე არსებული შენობები სტატუსის მიხედვით	სახლი №	ვ. ბერიძე „თბილისის არქიტექტურა 1801–1917“. მითითებულ შენობათა პროექტები.
1 ეროვნ. მნიშვნელობის: 2 კულტურული მემკვიდრეობის: 3 ფონური: 4 რიგითი:	№ – №1/5; №2; №3 ; №4 ; № 5; №6 ; №7; №9. №1/5–ის ნაწილი ; № –	1) 1953 წ. პროექტებიდან შტაბსკაპიტან ბასტიმოვის სახლი (№1143) 2) საცხოვრებელი სახლის ფასადი, № მითითებული არ არის.
ქუჩის პარამეტრები:	ქუჩის სიგრძე 145 მ. ქუჩის სიგანე შენობებს შორის ~ 8.45მ.—9 მ. სავალი ნაწილი 6 მ.–6.2 მ.	

სულხან – საბას ქუჩა წარმოდგენილია ეკლექტიკური 2–3 სართულიანი, ძირითადად კლასიცისტური და რენესანსულ – ბაროკულ

სტილთა მოტივების ნაზავით შექმნილი ისტორიული შენობებით. 1867 წ. გეგმაზე ამ ქუჩაზე №1/3 სახლის ადგილას აღნიშნულია ნაგებობა.

შენობათა გარეგნული სახე XIX საუკუნის ევროპული არქიტექტურის, ეკლექტიკური განაშენიანების ხასიათის მატარებელია. მხატვრულ გადაწყვეტაში გამოყენებულია კუთხოვანი ქვები, გირლანდები, კაპიტელები, ბარელიეფები ქალის და ლომის თავის გამოსახულებებით, ასევე ოვალური და სამკუთხა ფრონტონები. ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი ქუჩაზე არ არის.

ამ შენობათა ავტორების გვარები უცნობია. ევროპული შენობებისგან ამ სახლებს განასხვავებს სივრცთი ორგანიზება. ყველა შენობას აქვს შიდა ეზოს მხარეს საკომუნიკაციო აივნები, რომელთაგან ზოგი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით შემინულია თანამედროვე პერიოდში. ზოგიერთ შენობას კი აქვს თბილისური სახლისთვის დამახასიათებელი, ეზოში შესასვლელი ტრადიციული ჭიშკარი [4]. ხელით ნაკეთი კოლონებითა და მოჩუქურთმებული მოაჯირებით შემკული აივნებით აღსანიშნავია სახლი №4.

შენობის ფასადის არქიტექტურულ–მხატვრული სახის საინტერესო მაგალითად, აკად. ვ. ბერიძე საერთო ჩამონათვალში იხსენიებს 1853 წ. პროექტებიდან შტაბსკაპიტან ბასტიმოვის სახლს ფრეილინის (სულხან–საბას) ქუჩაზე [1], სადაც ხდება გვიანი კლასიციზმის დამახასიათებელი პროფილების და დეტალების გაუბრალოება და დეკორაციის შეზღუდვა. ადგილობრივი ტრადიციის გავლენით სახეშეცვლილი კლასიკური დეტალები კი სხვადასხვა ინტერპრეტაციითაა წარმოდგენილი.

ქუჩაზე ფსევდოგოთიკური სტილით გამორჩეული შენობაა №1/5, რომელიც სულხან– საბას და გ. ლეონიძის ქუჩების კუთხეს მოიცავს. (იხ. გ. ლეონიძის ქ.).

ქუჩის ბოლოს, თვალთახედვის არეში გახსნილი პანორამული ხედი მთავრდება ყოფილი ცკ–ს შენობით. მიმდებარე მოედანზე, იმ ადგილას სადაც ადრე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი

საზოგადოების შენობა იდგა, 1981 წელს აღიმართა სკულპტურული კომპოზიცია „ცოდნის სვეტი“ (მოქანდაკე ვ. ონიანი. არქიტ. ვ. აბრამაშვილი).

პ. ინგოროყვას ქუჩა სოლოლაკის უბნის ქალაქის სხვა ნაწილთან დამაკავშირებელია. იგი სოლოლაკს მთაწმინდის უბანთან აკავშირებს. განვიხილავთ ქუჩის იმ მონაკვეთს, რომელიც ეკუთვნის სოლოლაკს და მდებარეობს გ. ლეონიძის და პ. ჩაიკოვსკის ქუჩებს შორის.

როგორც ქალაქის ქუჩების სახელწოდებების აღწერიდან ირკვევა, ახლანდელი პ. ინგოროყვას ქუჩა პირველად 1830–1835 წლებში დააპროექტა მიწისმზომელმა ტოვარნიცკიმ, მაშინ როცა ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ დიდებულთა ბაღები იყო. 30–იან წლებში მას ლაბორატორიის ქუჩა უწოდეს აქ არსებული საფთიაქო სამმართველოს გამო (ამ სახელითაა შეტანილი 1843 წელს შედგენილ ქუჩათა სიაში). 1903 წ. პეტერბურგის 200 წლისთავთან დაკავშირებით ეწოდა პეტრე დიდის ქუჩა. 1923 წ. – ლ. ტროცკის ქუჩა, 30–იან წლებში – ფ. ძერჟინსკის, 1990 წლიდან კი ქართველი პუბლიცისთის და საზოგადო მოღვაწის პ. ინგოროყვას სახელს ატარებს.

1867 წ. გეგმაზე აღინიშნა ქუჩა და პირველი ნაგებობა (№1 სახლის ადგილი). 1913 წ. გეგმაზე ჩანს ნაგებობები ახლანდელი №4 და№6 შენობების ადგილას.

პ. ინგოროყვას ქუჩის განაშენიანებაც სოლოლაკის სხვა ქუჩების მსგავსად, წარმოდგენილია ევროპელი არქიტექტორების პროექტებით შექმნილი სამ სართულიანი შენობებით. ევროპული და თბილისური არქიტექტურის შეზავება ეკლექტიკური ხასიათისაა. ნაგებობები ძირითადად ფსევდორენესანსული ფასადებით ხასიათდება, ზოგიერთ მათგანში შეიმჩნევა ფსევდო გოთიკური, ბაროკული და მოდერნის ელემენტებიც [19].

პავლე ინგოროყვას ქუჩაზე არსებული შენობებიდან განსხვავებულია სახლი №4, რომელიც ევროპული და თბილისური ხასიათის შერწყმით ჰარმონიულ კომპოზიციას ქმნის. ეკლექტიკური ფასადი შემკულია დეკორატიული ელემენტებით, გოთიკური

სარკმელებით და დორიული სვეტებით. ეზოს მხრიდან კი მათი ადაფტირება თბილისურ ხასიათთან გამოხატულია ხის აივნებით და მათზე ასასვლელი დეკორატიულ მოაჯირეებიანი კიბეებიით.

პ. ინგოროყვას ქუჩის განაშენიანება			
ქუჩაზე არსებული შენობები სტატუსის მიხედვით		სახლი №	ვ. ბერიძე „თბ.არქიტექტ. 1801–1917“ შენობათა პრ.
1 2 3 4	ეროვნული მნიშვნ. კულტურული მემკვიდრეოის: ფონური: რიგითი:	№6 №1; №3; №4; №6; №8; №9; №10; №12 . № 2/12; №4 ; №5 ; №7.	1) №9(ძერჟინსკის ქ.) 1862 წ. არქ. ა.ზალცმანი. ეკ. ბაგრატიონ მუხრან–ბატონის სახლის ფასადი და 2 სართ. გეგმა. 2) №4 (ძერჟინსკის ქ.) გოთიკური სარკმელები, პროექტი არ არის. 3) №10(ძერჟინსკის ქ.) ფასადი. 1877 წ. არქ. ა. ბელოი. 4) №6 (ძერჟინსკის ქ.) 1888 წ. არქ. ა. შიმკევიჩი, ფასადი.
ქუჩის პარამეტრები:		ქუჩის სიგრძე 240 მ. (პ.ჩაიკოვსკის ქუჩამდე). ქუჩის სიგანე შენობებს შორის ~11მ–11.80 მ. სავალი ნაწილი~6.8მ– 7 მ.	

პ. ინგოროყვას ქ. №3 სახლი დამუშავებულია არტ-ნუვო ხასიათში, დამახასიათებელია ფასადის გაზრდილი პროპორციები. სავარაუდოდ, შენობის ძირითადი ნაწილი ფასადზე უფრო ძველია. მე -19 საუკუნის შუა პერიოდის შენობა ცხადჰყოფს არქიტექტორთა და ხელოსანთა პროფესიონალიზმს. ეზოსკენ მიმართული დორიულ სვეტებიანი ხის აივნები, ასევე იატაკის დონეზე არსებული ქვის დორიული კოლონები, მიუთითებენ შენობის 1860-იან წლებში აგებაზე, არტ– ნუვო დეტალები კი შესაძლოა 1902 წლიდან დაემატა [4] .

ფსევდობაროკული სტილის მოტივებით არქიტექტორ ა. შიმკევიჩის მიერ 1887 წ. დაპროექტებული, ეროვნული მნიშვნელობის სტატუსის მქონე შენობა №6, ფასადის არქიტექტურულ–მხატვრული სახით წარმოადგენს XIX საუკუნის თბილისისთვის დამახასიათებელ ეკლექტიკურ ნაგებობას. დამუშავებულია ეკლექტიკური ორდერით და რუსტიკით, ასევე

გამოყენებულია სხვადასხვა პროპორციის პილასტრები, გლუვი ან დაღარული კედლის სვეტები, ნაძერწი სამკაულები გირლანდების, არქივოლტების ფრიზების სახით, სამკუთხა და მომრგვალებული ფრონტონები. ფასადი გადატვირტულია "ბუტაფორიული პლასტიკით" [1]. შენობის ნაწილი გამოირჩევა ფასადზე გამოქანდაკებული უცნაური არსებების გამოსახულებების საინტერესო მხატვრული გადაწყვეტით და მრისხანე გამომეტყველების მქონე არსებათა თავებით. ამ შენობას სხვადასხვა მისტიკური ისტორიაც უკავშირდება.

პ. ინგოროყვას ქ. № 9 შენობა არქიტ. ა. ზალცმანის პროექტია და ეკატერინე მუხრანბატონის სახლს წარმოადგენდა. იგი პროპორციებით, მასშტაბით და ორდერის გამოყენების ხასიათით თბილისური არქიტექტურის ახალ საფეხურს მიეკუთვნება. შენობისთვის დამახასიათებელია აკადემიური წესის დაცვით აგებული ორდერი, რომელიც მოიცავს ზემო სართულს და ანტაბლემენტს, ჩნდება კორინთული პილასტრები. სწორკუთხა კარნიზიან საპირეში ჩასმული სარკმელთა ფორმები იმხანად თბილისში გავრცელებული სარკმელის ტიპია [1]. პ. ინგოროყვას ქ. №10 შენობა –არქიტექტრ ა. ბელოის პროექტითაა შექმნილი 1877 წელს. სახლის გზისპირა ფასადზე აქცენტირებული სარკმელები ერთგვარ თაღედს ქმნიან მესამე სართულზე. შენობა ხასიათდება სიმეტრიულობით, იონური და ტოსკანური ორდერის ბრტყელი პილასტრებით, ლითონის ღია ორნამენტირებული აივნებით. ეზოს მხარის ფასადი კი ჭვირულ მოაჯირებიანი ხის გალერეა– აივნებითაა შემკული. შესამჩნევია ბაროკოს არქიტექტურული ხერხების გამოყენებაც.

ქუჩაზე ეკლექტიკურია ასევე №8 და №14 შენობები.

პ. ინგოროყვას ქუჩის ერთ მხარეს, არსებული განაშენიანების ნაცვლად 1981 წ. აიგო იმ დროისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული ხასიათის მქონე სახელმწიფო კანცელარიის შენობა (ყოფილი ცკ-ს შენობა). ქუჩაზე აქცენტირებული, მოედანზე ცალკე მდგარი ეს ნაგებობა კეტავს სულხან–საბას ქუჩის პანორამას (არქიტ. ვ. აბრამიშვილი, გ. მირიანაშვილი, ლ.

ჯანდიერი). ქუჩის აღნიშნულ მონაკვეთზე არსებულ განაშენიანებას მიმდინარე საუკუნეში დაემატა №4–სა №6 სახლებს შორის მდებარე, შედარებით მცირე მოცულობის მქონე №4 შენობა, რომელიც მოცულობით და მხატვრული სახით ნეიტრალურ ხასიათს ქმნის ისტორიულ განაშენიანებაში. ქუჩის აღნიშნულ მონაკვეთზე შედარებით მონუმენტური თანამედროვე იერსახის ნაგებობაა №5 (იხ. თავი 2.1. ინტერვენცია).

1.4 . ქუჩების განაშენიანების მასშტაბის ანალიზი

ზემოთ მოყვანილ განაშენიანების ვიზუალურ დახასიათებას თან ვურთავთ ქუჩათა განაშენიანების მასშტაბის ანალიზს, რომელიც ქუჩებზე განწყობის შექმნის ერთ –ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. მასშტაბის შეფასებას მოვახდენთ განაშენიანების სიმაღლისა და ქუჩის ურთიერთსაპირისპირო მხარეს არსებულ შენობათა შორის მანძილის შეფარდების ანალიზის საფუძველზე. სოლოლაკის ქუჩათა განაშენიანების სიმაღლე **(skyline)** არ არის ერთნაირი, თუმცა არც მკვეთრი კონტრასტები გვხვდება. იმისთვის, რომ მეტი სიზუსტით შევასრულოთ დასახული ამოცანა, საჭიროდ მივიჩნიეთ თითოეულ ქუჩაზე ისტორიულ განაშენიანებაში გამოგვეყო ყველაზე მაღალი, საშუალო ანუ განაშენიანების ერთნაირი, მცირედ განსხვავებული სიმაღლის უმეტესი შენობების გასაშუალებული მაჩვენებელი და თანამედროვე შენობების სიმაღლე. სიმაღლეში ვითვალისწინებთ ქუჩების ხაზზე გამომავალი კედლის სიმაღლეს დეკორატიული დასრულების ჩათვლით (ტერასული შეტეხვის საბურავის გარეშე).

წარმოდგენილ ცხრილებში ნაჩვენებია ქუჩის ხაზზე გამომავალი განაშენიანების სიმაღლე.

გ. ტაბიძის ქუჩა

გ. ტაბიძის ქუჩის განაშენიანების მასშტაბის ანალიზი					
	შენობა №	შენობის სიმაღლე მ.	შენობებს შორის მანძილი მ.	შენობის სიმაღლის და შენობებს შორის მანძ.შეფარდება	პროპორციული თანაფარდობა
ისტორიული განაშენიან. მაქს. სიმაღლე	№3/5	21მ. პარაპ. 15.50 მ.	12მ. 12მ.	1.75 1.29.	21 /12=1/0.57 15.50 /12 =1/0.77
ისტორიული განაშენიან. საშ. სიმაღლე	№17 №15 №24/21 №12	14.2მ. 12.5 მ. 11.50 9.15მ.პარაპ.	12მ. 12მ. 11.20მ. 10.30მ.	1.18 1.04 1.02 0.88	14.20/12=1/0.84 12.5/12 =1/0.96 11.50/11.20=1/0.97 9.15 /10.30=1/1.12
მაქს. სიმაღლის თანამედროვე შენობა	№4	15.16მ. 1 ტერასა.	11მ.	1.37	15.16/11= 1/0.72

გ. ტაბიძის ქუჩაზე ისტორიული განაშენიანების საშუალო სიმაღლე 9.15 მეტრიდან – 14.20 მეტრამდეა, ხოლო ყველაზე მაღალი №3/5 სახლის მაქსიმალური სიმაღლე ფრაგმენტული ტალღოვანი პარაპეტით 21 მეტრამდე აღწევს. ქუჩაზე თანამედროვე იერსახის ყველაზე მაღალი შენობა №4 –ტერასულია. ამ ნაგებობის ქუჩაზე გამომავალი პირველი ტერასის სიმაღლეა 15.16 მეტრი. (მაქსიმალური სიმაღლე 23.05 მეტრი).

ქუჩაზე შენობებს შორის მანძილი 10.30 მ–დან – 12 მეტრამდე მერყეობს. შენობის სიმაღლის და მოპირდაპირე შენობებს შორის მანძილის თანაფარდობა მერყეობს 0.88–დან–1.75–მდე ფარგლებში (№3/5 სახლის ტალღოვანი პარაპეტის მაღალი ნიშნულის ჩათვლით). გ. ტაბიძის ქუჩაზე მოცულობა სჭარბობს სივრცეს (სურ.11).

ცვლილება №12 სახლთან.

გ. ლეონიძის ქუჩა

გ. ლეონიძის ქუჩის განაშენიანების მასშტაბის ანალიზი					
	შენობა №	ენობის სიმაღლ ე მ.	შენობებს შორის მანძილი მ.	შენობის სიმაღლის და შენობებს შორის მანძილის შეფარდება	პროპორციული თანაფარდობა
ისტორიული განაშ. მაქს. სიმაღლე	№18	18.10 მ.	12 მ.	1.50	18.10 / 12=1 / 0.66
ისტორიული განაშ.საშუალო სიმაღლე	№8 №1/6 №15	16.30მ. 12.63მ. 9.50 მ.	22.50მ. 21მ. 11.20 მ.	0.72 0.60 0.85	16.30 /22.5= 1/1.38 12.63 / 21=1/1.66 9.50 /11.20= 1 / 1.18
მაქს.სიმაღლის თანამედროვე შენობა	№2	17.41მ.	19მ.	0.91	17.41 /19 =1/1.09

გ. ლეონიძის ქუჩაზე ისტორიული განაშენიანების საშუალო სიმაღლე ძირითადად 9.50 მ–დან–16.30 მ–მდე მერყეობს. ისტორიული შენობებიდან მაღალია №18, მისი სიმაღლეა 18.10მ. ქუჩის საწყის მონაკვეთზე ლუწ რიცხვებიანი სახლების სიმაღლე შედარებით მაღალია მოპირდაპირე მხარის შენობების სიმაღლეზე. რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული, თანამედროვე იერსახის №2 შენობის ქუჩაზე გამოსული კედლის სიმაღლე 17.41 მეტრია (სრული სიმაღლე 22.30 მეტრი). ქუჩის სიგანე ამ შენობის მიმდებარედ 19–21 მ–ია. ქუჩის ბოლოს, №15–მცირე მოცულობის სახლთან ქუჩის სიგანე ყველაზე მცირეა, სავარაუდოდ შედარებით ვიწრო, პ. იაშვილის ქუჩის კვეთასთან არსებობის გამო. შენობის სიმაღლის და ურთიერთსაპირისპიროდ მდგარ შენობებს შორის მანძილის თანაფარდობა მერყეობს 0.66–დან–1. 66–ს შორის. გ. ლეონიძის ქუჩაზე სივრცე სჭარბობს მოცულობას (სურ.31). (ცვლილება №18 სახლთან).

ამაღლების ქუჩა (ამაღლების ტაძრის მიმდებარე ტერიტორიამდე). ისტორიული განაშენიანების საშუალო სიმაღლე ძირითადად 8.5მ –დან – 12.70 მ–მდე მერყეობს. ისტორიულ შენობათაგან ყველაზე მაღალის, №9–ის

სიმაღლე პარაპეტით და რელიეფური ქანობის გათვალისწინებით მერყეობს 15.3 მ–დან – 16.6 მეტრამდე. ქუჩა განიერია, შენობებს შორის მანძილი მერყეობს 22 მ–დან – 28 მეტრამდე. (ქუჩის მცირე ნომრებიან მონაკვეთზე, ე.ი. საწყის ნაწილში სიგანე ~ 11–13 მ).

ამაღლების ქუჩის განაშენიანების მასშტაბის ანალიზი					
	შენობა №	შენობის სიმაღლე მ.	შენობებს შორის მანძილი მ.	შენობის სიმაღლის და შენობებს შორის მანძილის შეფარდება	პროპორციული თანაფარდობა
ისტორიული განაშ. მაქს. სიმაღლე	№9	16.6მ. დეკორ.	26მ.	0.63	16.6 /26=1/1.56
ისტორიული განაშენიანების საშ. სიმაღლე	№14 №21 №8 №23	12.70მ. 12.2მ.პარაპ 11მ. პარაპ. 8.5მ.	26მ. 23მ. 16.5მ. 22მ.	0.48 0.53 0.66 0.38	12.70 /26=1 / 2.04 12.2 /23 1/1.88 11 /16.5 =1/1.5 8.5 /22 =1/2.58
მაქს. სიმაღლ. თანამედროვე შენობა	№12	16.10მ.–ტერასა 1	27მ.	0.59	16.10 /27=1/1.67

ქუჩაზე ამჟამად ყველაზე მაღალია თანამედროვე იერსახის ტერასული განლაგების №12 შენობა. მისი ქუჩაზე გამომავალი პირველი ტერასის სიმაღლეა 16.10 მ. (სურ.14). მაქსიმალური სიმაღლე 31მ. შენობის სიმაღლის და მოპირდაპირე შენობებს შორის მანძილის თანაფარდობა მერყეობს 0.38–დან–0.63–მდე. თანამედროვე შენობაც ამ ფარგლებშია. ამაღლების ქუჩაზე სივრცე სჭარბობს მოცულობას (სურ.28).

კოჯრის ქუჩა

კოჯრის ქუჩაზე ისტორიული განაშენიანების საშუალო სიმაღლე ძირითადად 9 მ–დან – 11. მ–მდე (ფასადის დეკორაციით) მერყეობს. ისტორიულ შენობათაგან ყველაზე მაღალებია №4 და №3 სახლები, მათი სიმაღლე ფრაგმენტული დეკორაციული ჩანართით დაახლოებით 12 მეტრამდეა.

თანამედროვე იერსახის №1 შენობის მაღლივი ნაწილის სიმაღლე (20.35 მ.) მისაღებია ქუჩათა კვეთის ადგილას მდებარეობის გამო. ამ შენობის კოჯრის ქუჩისკენ მიმართული ნაწილი ქუჩის პარალელურად ტერასული წყობითაა. მისი პირველი ტერასის სიმაღლე, რომელიც №3 შენობის გვერდით მდებარეობს 12.60 მეტრია (ანგარიშს უწევს მას), მაქსიმალური სიმაღლე კი 18 მ–ია.

კოჯრის ქუჩის განაშენიანების მასშტაბის ანალიზი					
	შენობა №	შენობის სიმაღლე მ.	შენობებს შორის მანძილი მ.	შენობის სიმაღლის და შენობებს შორის მანძილის შეფარდება	პროპორციული თანაფარდობა
ისტორიული განაშენიანების მაქს. სიმაღლე	№4 №3	12მ. დეკორ. 11.97მ.	10მ. 10მ.	1.2 1.19	12 /10 =1 /0.83 11.97 /10=1/ 0.83
ისტორიული განაშენიანების საშუალო სიმაღლე	№9 №5	10.80მ.პარაპ 9 მ.	9მ. 9მ.	1.2 1.0	10.80 /9 =1/ 0.83 9 /9 =1 /1
მაქსიმალური სიმაღლის თანამედროვე შენობა	№1 №1–ის კოჯრის ქ. შესახვევი	20.35 მ. 18 მ. 12.60მ	11 მ. ქუჩ.კვ. 10 მ. 10 მ.	1.85 1.8 1.2	20.35 /11 =1 /0.54 18 /10 =1 / 0.5 12.60 /10 =1/ 0.79

ქუჩის სიგანე შენობებს შორის არის 9– 10 მეტრი (ქუჩათა კვეთის ადგილას 11 მეტრამდე). შენობის და მოპირდაპირე შენობებს შორის მანძილის თანაფარდობა არის 1–დან – 1.2–მდე. ხოლო №1 შენობასთან 1.2 – 1.85. კოჯრის ქუჩაზე მოცულობა სჭარბობს სივრცეს (სურ. 6).

მ. ლერმონტოვის ქუჩა

ამ ქუჩაზე ისტორიული განაშენიანების სიმაღლე ძირითადად 9.60 მ–დან – 13.10მ–მდეა. თანამედროვე იერსახის №10/13 შენობის ქუჩაზე გამომავალი ბლოკის სიმაღლეა 15.97მ. (სრული სიმაღლე 17.70მ). ქუჩის სიგანე შენობებს შორის მერყეობს 10მ–დან – 11.90 მეტრამდე. ისტორიული

განაშენიანების შენობის და მოპირდაპირე შენობებს შორის მანძილის თანაფარდობა არის 0.84–1.10. თანამედროვე №10/13 შენობასთან 1.34.

მ. ლერმონტოვის ქუჩაზე ძირითად მოცულობა სჭარბობს სივრცეს (მცირედი ცვლილებაა ქუჩათა კვეთის ადგილას არსებულ №8/13 სახლთან).

მ. ლერმონტოვის ქუჩის განაშენიანების მასშტაბის ანალიზი					
	შენობა №	შენობის სიმაღლე მ.	შენობებს შორის მანძილი მ.	შენობის სიმაღ. და შენობებს შორის მანძილის შეფარდება	პროპორციული თანაფარდობა
ისტორიულ განაშ. მაქს.სიმაღლე	№11 №14	13.10მ . 12.05მ.	11.90მ. 11.90მ.	1.10 1.01	13.10 /11.90 =1 /0.90 12.05/11.90 =1/ 0.98
ისტორილი განაშ. საშ. სიმაღლ.	№8/13 №9	10.10მ.პარაპ. 9.60მ. პარაპ.	11.90მ. 10მ.	0.84 0.96	10.10 /11.90 =1/1.17 9.60 /10 =1 /1.04
მაქს. სიმაღლის თანამედროვე შენობა	№10/13 №12	15.97 11.66მ. მაქსიმ.	11.90მ. 11.90მ.	1.34 0.97	15.97 /11.90 =1/0.74 11.66 /11.90 =1/1.02

გ. ლორთქიფანიძის ქუჩა

ისტორიულ შენობათა საშუალო სიმაღლე ძირითადად 8 მ–დან – 11.50 მ–მდე მერყეობს. ისტორიულ შენობათაგან მაღალია ქუჩათა კვეთის ადგილას არსებული №3 სახლი, ბელვედერით და პრიზმისებრი სახურავით.

თანამედროვე პერიოდში აგებული №4 შენობის ქუჩის პირას არსებული ბლოკის სიმაღლე დაახლოებით 16 მ. ქუჩაზე შენობებს შორის მანძილია 11 მ–დან–12.70 მ–მდე. შენობის და მოპირდაპირედ მდებარე შენობებს შორის მანძილის თანაფარდობა არის 0.66–1.3.

გ. ლორთქიფანიძის ქუჩის განაშენიანების მასშტაბის ანალიზი					
	შენობა №	შენობის სიმაღლე მ.	შენობებს შორის მანძილი მ.	შენობის სიმაღლის და შენობებს შორის მანძილის შეფარდება	პროპორციული თანაფარდობა
ისტორიული განაშ. მაქსიმ. სიმაღლე	№3	16.60მ. ბელვედერით	12.70	1.30	16.60 /12.70 =1 /0.76
ისტორიული განაშენიანების საშუალო სიმაღლე	№1 №16 №8	11. 50მ. 9.30მ. 8 მ.	12.30მ. 12მ. 12მ.	0.93 0.77 0.66	11.50 /12.30 =1 /1.06 9.30 /12 =1 /1.29 8 /12 =1 /1.5
მაქს. სიმაღლ. თანამედრ. შენობა	№4	16მ.	12.60მ.	1.26	16 /12.60 =1 /0.78

გ. ლორთქიფანიძის ქუჩაზე მდგომარეობა ფაქტობრივად საშუალოდ გადანაწილდა. კონკრეტულად გამოკვეთილი მიმართულება რომელიმე მხარეს არ არის. ქუჩის განაშენიანების ნაწილში სივრცე სჭარბობს, ნაწილში მოცულობა და ისინი ერთმანეთს აბალანსებენ. საერთო შთაბეჭდილება შეიძლება გაუტოლდეს 1/1.

ივანე მაჩაბელის ქუჩა

ივანე მაჩაბელის ქუჩაზე ისტორიული განაშენიანების საშუალო სიმაღლე ძირითადად 10.10 მ–დან – 14.46 მ–მდე მერყეობს. შედარებით მაღალია №4 შენობა, მაქსიმალური სიმაღლე 15.62 მეტრი. თანამედროვე პერიოდში აგებული შენობა ამ ქუჩაზე არ არის. ქუჩის სიგანე შენობებს შორის მერყეობს 12 მ. – 13.3 მეტრს შორის. შენობის და მოპირდაპირე შენობებს შორის მანძილის თანაფარდობა არის 0.80–1.29.

ივანე მაჩაბელის ქუჩაზე მოცულობითი ბალანსი ძირითადად შენარჩუნებულია (სურ.29).

ივანე მაჩაბელის ქუჩის განაშენიანების მასშტაბის ანალიზი					
	შენობა №	შენობის სიმაღლე მ.	შენობებს შორის მანძილი მ.	შენობის სიმაღლ. შენობებს შორის მანძილის შეფარდება	პროპორციული თანაფარდობა
ისტორიული განაშენიანების მაქს. სიმაღლე	№4	15.50მ . პარაპ.	12	1.29	15.50 /12 =1 /0.77
ისტორიული განაშენიანების საშუალო სიმაღლე	№ 12 №17/27 №6 №8/13	14.46მ. 12.90მ.დეკორ ი 10.44მ დეკორ. 10.10მ.პარაპ.	12.70მ. 13მ. 12მ. 12.50მ.	1.13 0.99 0.87 0.80	14.46/12.70 =1 /0.87 12.90 / 13 =1/1 10.44 /12 = 1/ 1.14 10.10 /12.50 = 1/1.23
მაქს. სიმაღლ. თანამ. შენობა	–	–			

ლადო ასათიანის ქუჩა

სოლოლაკის სხვა ქუჩებთან შედარებით, ლადო ასათიანის ქუჩაზე მაღალი შენობებია. ქუჩაზე ისტორიული განაშენიანების საშუალო სიმაღლე ძირითადად 10 მ–დან – 15.5 მ–მდე მერყეობს. (დაბალია სახლი №37/43, სიმაღლე 10მ.) ისტორიულ შენობათაგან მაღალი (მაგ. №29 და №38) სახლები ფრაგმენტული პარაპეტით და სახურავის დეკორით, სიმაღლით 17–17.5 მეტრია. ქუჩაზე თანამედროვე ნაგებობაა საცხოვრებელი სახლი №36 ა, რომლის ერთი ნაწილი შეჭრილია ქუჩის ხაზიდან სიღრმეში. მეორე, ქუჩის პირას არსებული ნაწილის მაღალი სართულები ტერეასულია (სურ.30).

ქუჩის სიგანე შენობებს შორის მერყეობს 12.80 მ. –დან– 13.20 მ. ისტორიულ განაშენიანებაში შენობის და მოპირდაპირე შენობებს შორის მანძილის თანაფარდობა არის 0.76–1.34; თანამედროვე იერსახის შენობასთან 1.66.

ლ. ასათიანის ქუჩაზე შენობათა მონუმენტურობა მასშტაბურია, ძირითადად მოცულობა სჭარბობს სივრცეს.

ლ. ასათიანის ქუჩის განაშენიანების მასშტაბის ანალიზი					
	შენობა №	შენობის სიმაღლე მ.	შენობებს შორის მანძილი მ.	შენობის სიმაღლის და შენობებს შორის მანძილის შეფარდება	პროპორციული თანაფარდობა
ისტორიული განაშენ.მაქსიმალ. სიმაღლე	№38 №29	17.5მ.დეკორ. 17მ. პარაპ.	13 13	1.34 1.30	17.50 /13 =1 /0.74 17 /13 =1 /0.76
ისტორიული განაშენიანების საშუალო სიმაღლე	№50 №40 №17/27 №37/43	15.5მ. პარაპ. 14.50 11.50მ.დეკორ. 10მ	12.80 12.90 13 13	1.21 1.12 0.88 0.76	15.5/12.80 = 1 /0.82 14.50/12.90 =1/0.88 11.50 /13 = 1 /1.13 10 /13 =1 /1.3
მაქს. სიმაღლის თანამედროვე შენობა	№36ა	22მ	13.20მ.	1.66	22 /13.20 =1 /0.6

პაოლო იაშვილის ქუჩა

პაოლო იაშვილის ქუჩაზე ისტორიული განაშენიანების საშუალო სიმაღლე უმეტეს შემთხვევაში 8.90 მ–სა – 14 მ–ს შორისაა. სიმაღლით გამოირჩევა სახლი №20 პარაპეტით. (ასევე, ბოლო სართულზე სიღრმეში ტერასულად შეწეული №4, სრული სიმაღლე 16.30–მეტრი). ქუჩაზე თანამედროვე იერსახის შენობებია №16ა და №14 მ. მანსარდით. ქუჩის სიგანე შენობებს შორის 11.20 მ.– 12.50 მეტრამდე მერყეობს. შენობის და მოპირდაპირე შენობებს შორის მანძილის თანაფარდობა არის **0.71–1.25 –ს** შორის. პ. იაშვილის ქუჩაზე ბალანსი ძირითადად შენარჩუნებულია (სურ.17).

პაოლო იაშვილის ქუჩის განაშენიანების მასშტაბის ანალიზი					
	შენობა №	შენობის სიმაღლე მ.	შენობებს შორის მანძილი მ.	შენობის სიმაღლის და შენობებს შორის მანძილის შეფარდება	პროპორციული თანაფარდობა
ისტორიული განაშენ. მაქს. სიმაღლე	№20	16.10მ. პარაპეტით	12.50	1.28	16.10 /12.50 =1 /0.77
ისტორილი განაშენიანების საშუალო სიმაღლე	№13 №15 №4 №17 №23	14მ პარაპ. 12მ. 10.70მ. 9.50მ. 8.90მ.	11.20 11.20 11.40 11.60 12.50	1.25 1.07 0.93 0.81 0.71	14 /11.20 =1 /0.8 12 /11.20 =1 /0.93 10.70 /11.40 =1/ 1.06 9.50 /11.60 = 1 /1.22 8.90 /12.50 =1 /1.40
მაქს. სიმაღლ. თანამ. შენობა	№16ა №14	14მ. 11.30მ.	12.30 12.30	1.13 0.91	14 /12.30 =1/ 0.87 11.30/12.30=1/08

შ. დადიანის ქუჩა

შ. დადიანის ქუჩის განაშენიანების მასშტაბის ანალიზი					
	შენობა №	შენობის სიმაღლე მ.	შენობებს შორის მანძილი მ.	შენობის სიმაღლის და შენობებს შორის მანძილის შეფარდება	პროპორციული თანაფარდობა
ისტორიული განაშენ. მაქსიმა. სიმაღლე	№1 №13	13.90მ. კუთხე 13.5მ. პარაპ.	16მ 17მ.	0.86 0.79	13.90 /16 =1 /1.15 13,5 /17 =1 /1.25
ისტორილი განაშ. საშ. სიმაღლე	№15 №9	11.7 მ 10.10მ. მაქს.	16.5მ. 16მ.	0.70 0.63	11.7/16.5 =1 /1.41 10.10 /16 =1 /1.58
მაქს. სიმაღლ. თანამედრ. შენობა	№5	13 მ.	17მ.	0.76	13.5 / 17 =1/ 1.30

ქუჩაზე ისტორიული განაშენიანების საშუალო სიმაღლე ძირითადად

10.10 მ-დან– 11.7 მეტრამდე მერყეობს. ისტორიულ შენობათაგან ყველაზე მაღალის, №13–ის სიმაღლეა 13.5 მეტრი პარაპეტით და საკრებულოს შენობის შ. დადიანის ქუჩისკენ მიმართული ფრთა 13.90 მ. თანამედროვე იერსახის №5 შენობის ქუჩაზე გამომავალი კედლის სიმაღლე 13 მ–ია და ანგარიშს უწევს ისტორიული განაშენიანების სიმაღლეს. ქუჩის სიგანე შენობებს შორის 16 მ – 17 მ. შორისაა. შენობის და ურთიერთსაპირისპიროდ მდგარ შენობებს შორის მანძილის თანაფარდობა არის 0.63მ–0.82 მ. შ. დადიანის ქუჩაზე სივრცე სჭარბობს მოცულობას.

გ. ქიქოძის ქუჩაზე ისტორიული განაშენიანების საშუალო სიმაღლე ძირითადად 8.60 მ–დან – 12.5 მ–მდე მერყეობს. მაღალია ქუჩათა კვეთის ადგილას არსებული სახლი №6, ბელვედერით მისი სიმაღლეა 16.60 მ. თანამედროვე იერსახის განაშენიანება ქუჩაზე არ არის. ქუჩის სიგანე შენობებს შორის 12 მ–დან – 12.80 (13) მეტრამდე მერყეობს. შენობის და ურთიერთსაპირისპიროდ მდგარ შენობებს შორის მანძილის თანაფარდობა არის 0.67–1.29. გ. ქიქოძის ქუჩაზე პროპორციული ბალანსი ძირითადად შენარჩუნებულია.

გ. ქიქოძის ქუჩის განაშენიანების მასშტაბის ანალიზი					
	შენობა №	შენობის სიმაღლე მ.	შენობებს შორის მანძილი მ.	შენობის სიმაღლის და შენობებს შორის მანძილის შეფარდება	პროპორციული თანაფარდობა
ისტორიულ განაშენ. მაქს. სიმაღლე	№6 კუთხის	16.60მ. ბელვედერით	12.80მ.	1.29	16.60/12.80 =1 /0.77
ისტორილი განაშ. საშუალო სიმაღლე	№11 №4 №8	12,50მ. პარაპ. 12.46 მ. პარაპ. 8.60	12მ. 12მ. 12. 80მ.	1.04 1.03 0.67	12.5/12= 1 / 0.96 12.46/12= 1 / 0.96 8.60/12.80= 1 /1.48
მაქს. სიმაღლ. თანამ. შენობა	–	–			

დ. ჭონქაძის ქუჩა

ქუჩაზე ისტორიული განაშენიანების საშუალო სიმაღლე 8.20 მ დან – 13.16 მ–მდე მერყეობს, მაღალი შენობა №12–ის მაქსიმალური სიმაღლე ცენტრში მკვეთრად ამაღლებული პარაპეტის დეკორაციული ნაწილით 21მ–ია. იგი კუთხით ნაწილობრივ შეჭრილია ეზოსკენ (შესაბამისად, შენობებს შორის მანძილი იმატებს). თანამედროვე იერსახის შენობებიდან დიდი მოცულობისაა №7, იგი ქუჩის სიღრმეში ვითარდება, ქუჩის ხაზზე გამომავალი კედლის სიმაღლე კი 16.30 მ. ქუჩაზე შენობებს შორის სიგანე ძირითადად არის 10 მ. – 11 მეტრი. დ. ჭონქაძის ქუჩის იმ ფრაგმენტზე, რომელიც სოლოლაკს მიეკუთვნება, სხვა მონუმენტური განაშენიანება არ არის და გარკვეულწილად დღემდე შენარჩუნებულია ისტორიულად არსებული დამოკიდებულება. შენობის და მოპირდაპირე შენობებს შორის მანძილის თანაფარდობა **0.82–დან–1. 48** –მდე მერყეობს. დ. ჭონქაძის ქუჩაზე ძირითადად მიცულობა სჭარბობს სივრცეს.

დ. ჭონქაძის ქუჩის განაშენიანების მასშტაბის ანალიზი					
	შენობა №	შენობის სიმაღლე მ.	შენობებს შორის მანძილი მ.	შენობის სიმაღლის და შენობებს შორის მანძილის შეფარდება	პროპორციული თანაფარდობა
ისტორიული განაშ. მაქს. სიმაღლე	№12	21მ. ცენტრი	15მ. ცენტრში	1.4	21/15= 1/ 0.71
ისტორიული განაშ. საშუალო სიმაღლე	№8 №11	13.16მ 8.20მ. პარაპ	10.5 10	1.25 0.82	3.16 /10.5= 1 / 0.79 8.2/10= 1 /1.21
მაქს. სიმაღლ. თანამ. შენობა	№7	16.30	11	1.48	16.30/11= 1 / 0.67

სულხან–საბას ქუჩა

ქუჩაზე ისტორიული განაშენიანების საშუალო სიმაღლე ძირითადად 8.55 მ–დან – 12.50 მ–მდე მერყეობს. შენობათაგან მაღალი №4 სახლის სიმაღლეა 12.50 მეტრი. თანამედროვე იაერსახის შენობა ქუჩაზე არ არის. ქუჩის სიგანეა ~ 8.45 მ–9 მ. შენობის და მოპირდაპირე შენობებს შორის მანძილის თანაფარდობა არის 1.01–1.47. სულხან–საბას ქუჩის იერსახე დღევანდლამდე შენარჩუნებულია (სურ.32).

სულხან–საბას ქუჩის პროპორციული ანალიზი					
	შენობა №	შენობის სიმაღლე მ.	შენობებს შორის გზის სიგანე მ.	შენობის სიმაღლის და შენობებს შორის მანძილის შეფარდება	პროპორციული თანაფარდობა
ისტორიული განაშენ. მაქს. სიმაღლე	№4	12.50	8.45	1.47	12.50/8.45=1/0.67
ისტორიული განაშენ. საშუალო სიმაღლე	№3	8.55	8.45	1.01	8.55/8.45= 1/0.98
მაქს. სიმაღლის თანამედრ. შენობა	№				

სულხან–საბას ქუჩაზე მოცულობა სჭარბობს სივრცეს.

პ. ინგოროყვას ქუჩის იმ მონაკვეთზე, რომელიც სოლოლაკის მხარესაა, ისტორიული განაშენიანების მაღალი შენობა 15.80მ–ია, საშუალო სიმაღლე ძირითადად 8.55 მ–დან – 12.50 მეტრამდე მერყეობს. ქუჩის სიგანეა 11–12 მ. ჩვენს მიერ განხილულ შენობებთან 11–11.10 მ. შენობის და ურთიერთსაპირისპიროდ მდგარ შენობებს შორის მანძილის თანაფარდობა მერყეობს 0.77–1.43 –ს შორის. თანამედროვე იერსახის შენობა №5 ტერასულია, ქუჩაზე გამოსული კედლის სიმაღლე 12.60 მეტრია.

პ. ინგოროყვას ქუჩის პროპორციული ანალიზი					
	შენობა №	შენობის სიმაღლ ე მ.	შენობებს შორის გზის სიგანე მ.	სიმაღლის და შენობებს შორის მანძილის შეფარდება	პროპორციული თანაფარდობა
ისტორიულ განაშენ. მაქსიმალური სიმაღლე	№2	15.80მ.	11მ.	1.43	15.80/11= 1/0.69
ისტორიულ განაშენ. საშუალო სიმაღლე	№4 №3	12.50მ. 8.55მ.	11მ. 11მ.	1.13 0.77	12.50/11= 1/0.88 8.55/11=1/1.28
მაქსიმალური სიმაღლის თანამედროვე შენობა	№5	12.60მ.	11.10მ.	1.13	12.60/11=1/0.88

პ. ინგოროყვას ქუჩაზე მოცულობა სჭარბობს სივრცეს.

როგორც ურბანული ქუჩების დიზაინის ცნობარშია (**Design Manual for Urban Streets (Final Errata Print Version 161213).indb)** აღნიშნული (სქემა №2), განაშენიანების სიმაღლისა და ქუჩის ურთიერთსაპირისპირო შენობებს შორის მანძილის შეფარდება ქუჩის სიმყუდროვის ერთ–ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია: შეფარდება 1/1 ან მეტი–ძლიერი ხარისხის მაჩვენებელია, 1/1,5– შედარებით ნაკლები და 1/2 – უკვე გარკვეულ დიზაინრულ ჩარევას მოითხოვს განწყობის შექმნისთვის.

გარდა წარმოდგენილი პროპორციული შეფარდებისა, ერთგვარ „ინტიმურობას“ განაპირობებს გრძივი განაშენიანების უწყვეტი ხასიათი სივრცითი პაუზების გარეშე (რაც სოლოლაკის ქუჩებს ახასიათებს).

ეს მახასიათებელი განსაკუთრებით მაღალია ისტორიულ უბნებში. ქუჩათა უმეტესობას ზოგადად სიმყუდროვის, ჰუმანური გარემოს, ადამიანური მასშტაბის დეფიციტი არ გააჩნია. სოლოლაკის ქუჩები სწორედ ასეთი განწყობის მატარებელია. როგორც კვლევემ დაგვანახა, უმეტესი ქუჩების მოცულობითი სტრუქტურის სიმაღლისა და შენობებს შორის

მანძილის შეფარდება უახლოვდება 1/1 (დაბალანსებული სივრცით–მოცულობითი გადაწყვეტა), თუმცა ზოგ შემთხვევაში ფრაგმენტულად ჩართულია უფრო მაღალი შნობა, რაც უახლოვდება შეფარდებას 1.5/1 ან 2/1, ანუ მასშტაბი შედარებით გამსხვილებული და მონუმენტურია, თუმცა „ინტიმურობის“ განცდა შნარჩუნებულია. ვხვდებით საპირისპირო დამოკიდებულებას, როცა შენობებს შორის მანძილი ჭარბობს განაშენიანების სიმაღლეს– 1/1,5 ან 1/2, რაც წინა შემთხვევებთან შედარებით ამ განწყობას გარკვეულწილად ამცირებს და დაფანტულობის შეგრძნებას აძლიერებს. ამ ფაქტს ადასტურებს ურბანული ქუჩების დიზაინის ცნობარში წარმოდგენილი სქემა, სადაც ნაჩვენებია განწყობის მაჩვენებელი შეფარდების ხასიათი.

ზემოთ მოყვანილი ცხრილებიდან გამომდინარე დავაჯგუფეთ სოლოლაკის ქუჩები პროპორციული შეფარდების მაჩვენებლების მიხედვით (მონაცემებს ვამრგვალებთ მეათედის სიზუსტით). ქუჩები, სადაც ძლიერდება გამოხატული სივრცით–მოცულობითი ბალანსი, ანუ შეფარდება 1/1 მთელ სიგრძეზეა შენარჩუნებული–ი. მაჩაბელის, პ. იაშვილის, გ. ქიქოძის ქუჩებზე. ეს ბალანსი ფრაგმენტულად, ლოკალურად მცირედაა დარღვეული შ. დადიანის ქუჩაზე 1/1.3 (სივრცე სჭარბობს), მ. ლერმონტოვის ქუჩაზე–1.3/1 (მოცულობა სჭარბობს); საშუალო სიმაღლის 1/1 შეფარდების ფონზე ლოკალურად მონუმენტურობა გაზრდილია დ. ჭონქაძის და სულხან–საბას ქუჩებზე (1/0.7).

მასშტაბურობა სცილდება ლოკალურ ფარგლებს და კიდევ უფრო მეტად იგრძნობა ლ. ასათიანის ქუჩაზე. სოლოლაკის ტერიტორიაზე მოცულობის მასშტაბი სივრცესთან მიმართებაში კი ყველაზე მეტად არის გაზრდილი კოჯრის, გ. ტაბიძის, პ. ინგოროყვას ქუჩებზე (ყველგან 2/1).

ლორთქიფანიძის ქუჩაზე 1/1 შეფარდების საერთო ფონზე სივრცე და მოცულობა ერთმანეთს აბალანსებენ. სივრცის უპირატესობა მძაფრადაა გამოხატული გ. ლეონიძის ქუჩაზე, სადაც მთელ სიგრძეზე ვრცელდება

1/1.5 (მხოლოდ ერთ ფრაგმენტშია 1.5/1), კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებელია ამაღლების ქუჩაზე (1/1.5 და 1/2).

ამდენად, ქუჩების ერთგვაროვნების თუ მრავალფეროვნების ხარისხს, მასშტაბს და განწყობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ზემოთ მოყვანილი სივრცისა და მოცულობის ურთიერთობა, რაც პროპორციებში ისახება. სოლოლაკის ქუჩების შფასება, რაც სახელოვნებათმცოდნეო ანალიზს ეფუძნება, მოცემული პროპორციული წყობით მათემატიკურადაც დასტურდება. ისტორიულად ჩამოყალიბებულ ქუჩათა ხასიათი დღესაც შენარჩუნებულია, თანამედროვე შენობების ქუჩის პირზე გამოსული კედლების სიმაღლე ძირითადად უსწორდება ისტორიული განაშენიანების მაქსიმალურ სიმაღლეს, ანუ ე.წ. **skyline** არ ირღვევა.

1 თავის დასკვნა

- სოლოლაკის განაშენიანებამ ჩვენამდე თითქმის უცვლელი სახით მოაღწია.
- მიმდინარე საუკუნეში უბანმა ნაწილობრივ ცვლილება განიცადა ფუნქციური თვალსაზრისით. უბნის საცხოვრებელი ფუნქციის ადაპტაციის ხარჯზე იმატა საზოგადოებრივმა ნაგებობებმა. შეცვლილია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.
- განხორციელდა ქუჩების მოცულობითი სტრუქტურის არქიტექტურულ-მხატვრული სახის ნაწილობრივი ცვლილება. ურბანიზაციის პროცესმა, ტრანსპორტის ცვლილებამ და ინტენსივობის განუწყვეტელმა ზრდამ გავლენა იქონია უბნის ქუჩათა პირველქმნადი ჰუმანური გარემოს რღვევაზე.
- შევხვდით როგორც უკვე ამორტიზებულ, ასევე დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში მყოფ შენობებს. საჭიროა შენობის რეაბილიტაცია

ჩატარდეს კომპეტენტურად, ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის და გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

- ისტორიულად ჩამოყალიბებული ქუჩათა ხასიათი სოლოლაკში დღესაც შენარჩუნებულია.
- მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე არსებულ ზოგიერთ შენობას შეცვლილი აქვს თავდაპირველი იერსახე, თავისი საერთო ხასიათით და არქიტექტურულ–მხატვრული თვალსაზრისით უბანი კვლავ ინარჩუნებს თავის ძირითად მხატვრულ ღირებულებას.
- სოლოლაკის ქუჩათა განაშენიანების სიმაღლე არ არის მკვეთრად კონტრასტული.
- ქუჩაზე ე .წ. **“skyline “** არ ირღვევა. ქუჩის პირზე არსებული თანამედროვე შენობების სიმაღლე და ისტორიული განაშენიანების მაქსიმალურ სიმაღლე ძირითადად გათანაბრებულია.

II თავი

თანამედროვე ცვლილებები ისტორიულ განაშენიანებაში

2.1. ინტერვენცია სოლოლაკში

მიმდინარე საუკუნეში არსებული ინტენსიური გლობალიზაციის პერიოდში, აქტუალურია როგორც ქალაქების ისტორიული უბნების იდენტურობის შენარჩუნების, ასევე თანამედროვე ქალაქში მათი ინტეგრაციის საკითხი. თბილისის ისტორიულ უბნებში ბოლო 20 წელიწადში განხორციელებული სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა თუ მომრავლებული ახალმშენებლობების ფონზე, აქტუალური გახდა ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანებაში ინტერვენციის პრობლემა, რომელიც იდენტურობის შენარჩუნების საკითხს მნიშვნელოვნად განაპირობებს.

სოლოლაკის უბანში არსებული XIX-XX საუკუნის ეკლექტიკური შენობები, რომლებიც განაშენიანების ძირითად ფონდს ქმნიდნენ ქალაქის საცხოვრებელ უბანში, არსებით გავლენას ახდენდნენ უბნის საერთო სახის შექმნაზე.

მიმდინარე საუკუნეში მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა. წარმოქმნილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, სოლოლაკი მიმზიდველი გახდა კომერციული თვალსაზრისითაც.

სამწუხაროდ, დღეს თბილისში მომრავლდა ზოგ შემთხვევაში არქიტექტურული თვალსაზრისით საინტერესო, მაგრამ გარემოსთან და ისტორიულ განაშენიანებასთან შეუთავსებელი ნაგებობები. ამდენად, აქტუალური გახდა ქალაქის ძველი უბნების თვითმყოფადობის, მათი ისტორიულად ჩამოყალიბებული სახის შენარჩუნების საკითხი.

ბოლო წლების განმავლობაში თბილისის ისტორიულ უბნებში სხვადასხვა სახის და მასშტაბის ინტერვენცია განხორციელდა.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის #3/181 ბრძანების დანართი #1–ის საფუძველზე, სოლოლაკის შენობათა უმრავლესობა კულტურული მემკვიდრეობის

ძეგლის სტატუსს ატარებს, ხოლო ტერიტორია 2007 წლის მდგომარეობით თბილისის ისტორიულ–კულტურული საყრდენი გეგმის მიხედვით (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო), ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაშია მოქცეული. აღსანიშნავია, რომ მინიჭებული სტატუსი ეყრდნობა ჯერ კიდევ 1985 წელს მიღებულ დადგენილებას "ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ღონისძიებათა შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" (საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 29 იანვრის №76 დადგენილება), სადაც დადგინდა, რომ თბილისისთვის დაცული იქნებოდა კულტურული მემკვიდრეობის დამცავი სამი ზოგადი ზონა:

ა) ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა;

ბ) განაშენიანების რეგულირების ზონა;

გ) ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა.

ამ სატატუსმა მაინც ვერ დაიცვა ისტორიული უბნები მეტ-ნაკლებად უხეში ჩარევებისგან, რისი მაგალითებიც ბოლო პერიოდში საკმაოდ არის თბილისში. ინტერვენცია ყოველთვის უარყოფით ჩარევას რა თქმა უნდა არ გულისხმობს, თუმცა მიგვაჩნია, რომ აუცილებელია გაანალიზდეს ისტორიულად უკვე ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში არქიტექტურული სახეცვლილების შესაბამისობა გარემოსთან, მათი დადებითი თუ უარყოფითი გავლენა უბნის არქიტექტურულ-მხატვრულ ღირებულებაზე. ამის საფუძველზე გამოვლინდეს ის კრიტერიუმები, რასაც უნდა დაეყრდნოს პროფესიონალი ყოველ კონკრეტულ განაშენიანებასთან მიმართებაში, რათა პერსპექტივაში თავიდან იქნას აცილებული არასასურველი შედეგები.

ნაშრომში განვიხილეთ სხვადასხვა სახის და ხარისხის ინტერვენციის მაგალითები. ვიზუალური დათვალიერებით შევხვდით როგორც მცირე ინტერვენციის შემთხვევებს (მიშენებებს, ლოჯიების, ღიობების და აივნების, ფასადების, შიდა ეზოების სახეცვლილებას და ა.შ.), რომლებიც ისტორიული უბნის არქიტექტურულ–მხატვრულ იერსახეს

აკნინებენ, ასევე სრულიად ახალ შენობებს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურბანულ გარემოში (თუ ქუჩის პანორამული კომპოზიციის სახეცვლილებას).

მასშტაბური ინტერვენციის შემთხვევებიდან ერთ –ერთი მაგალითია **გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის №4** შენობა. (მთ. არქ. მ. ქევხიშვილი). 2015 წ. პროექტის თანახმად, ეს მშენებლობა წინამდებარე შენობის რეკონსტრუქციის შემდგომად განხორციელდა (აქ არსებული უფრო ადრინდელი, არქ. ა.ზალცმანის პროექტით აგებული სახლი აღებულ იქნა ბოლოდროინდელი რეკონსტრუქციის შემდეგ).

ამჟამად, **№4** შენობის გ. ტაბიძის ქუჩაზე გამომავალი ფასადის დომინანტი ბლოკი ოთხი სართულის სიმაღლისაა და მას ფასადის სიბრტყიდან სიღრმეში ფონად გასდევს საფასადო სიბრტყიდან ტერასულად შეწეული 7 სართულის მოცულობა. შენობის ფასადი მოპირკეთებულია თანამედროვე დაჟანგული ლითონის ფაქტურის მქონე კონსტრუქციით, მუქი ფერის აგურის წყობით, ალუმინის პროფილიანი მინაპაკეტის ვიტრაჟებით. ვფიქრობთ, შენობის არქიტექტურული გადაწყვეტა საინტერესოა, თუმცა ამ კონკრეტულ ისტორიულ განაშენიანებაში საკამათოა ამ შენობის ფასადის შესაბამისობა გარეშემომყოფ შენობებთან. №4 შენობა თანამედროვე ჩანართის სიმაღლით აჭარბებს ქუჩაზე არსებულ ყველაზე მაღალ შენობას. მის წინ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, №3/5-ის ანგარიშის გასაწევად და კონკურენციის თავიდან ასაცილებლად, №4 შენობის სართულები ტერასულად შეწეულია, რითაც ნაწილობრივ შემსუბუქებულია ქუჩის დამძიმება და იგი შეძლებისდაგვარად უთანაბრდება აღნიშნულ ისტორიულ შენობას, რომელსაც ფრაგმენტული ტალღოვანი პარაპეტი მატებს სიმაღლეს, თუმცა არ ამძიმებს მას სივრცული პაუზების გამო.

აღსანიშნავია, რომ გ. ტაბიძის დღევანდელობისთვის ვიწრო ქუჩის ამ მონაკვეთზე (11–11.5მ), თავისუფლების მოედნიდან ქუჩის აღქმისას ფასადზე გამოსული ბლოკის სიმაღლე მისი ტერასულობის გამო არ

აღიქმება არსებულ განაშენიანებასთან კონტრასტულად. ის უთანაბრდება მის მოპირდაპირედ მდებარე შენობას (გ. ტაბიძის ქ. №3/5). ამ რაკურსიდან შენობის წინ წამოწევაც იმეორებს წინამდებარე შენობის ტეხვას (სურ 11,ა). თუმცა, ახალი მოცულობის აღქმა განსხვავებულია გ. ტაბიძის ქუჩიდან თავისუფლების მოედნის მხარეს. ამ შემთხვევაში თვალნათელია მისი პაექრობა ისტორიულ განაშენიანებასთან (სურ.11,დ), განსაკუთრებით ქუჩის ამ მონაკვეთის მთავარ ნაგებობასთან (გალაკტიონის № 3/5). ის მონუმენტურობით აშკარად ჯაბნის ხსენებულ ისტორიულ შენობას.

მისი მომდევნო შენობა გ. ტაბიძის ქ. N8-10 ახალი ნაგებობაა (არქ. ნ. ჩხაიძე). კაფესთვის განკუთვნილი ორსართულიანი შენობა კაფე –სკვერის გვერდითაა. ორი მხრით შემინული შენობის ხედი იხნება გ. ტაბიძის ქუჩაზე და საკრებულოს მხარეს, ხოლო ჩრდილოეთ და დასავლეთ ფასადი დახურულია ღიობების გარეშე. შესაძლებელია კაფე–ბარის ინტეგრაცია ქუჩასთან.

გ . ტაბიძის და მ. ლერმონტოვის ქუჩების კვეთაზე არსებული შენობა **№13/10**-ის არქიტექტურული სახე შეიქმნა წინამდებარე შენობის რეკონსტრუქციის შედეგად. აქ არსებული ძველი შენობა სადა ფასადით (ადმინისტრაციული დანიშნულების, მე–20 ს–ის 70–იან წლები), არ წარმოადგენდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. გ. ტაბიძის ქუჩის მხრიდან ცოკოლის სართულზე გამოკვეთილი მანქანის შესასვლელი გვირაბი დღეს შენარჩუნებულია. სახეშცვლილია ექსტერიერი. მოხდა მისი რეაბილიტაცია. მასშტაბი და პროპორციული შესაბამისობა გარემომცველ განაშენიანებასთან დაცულია (დაშენებული ნახევრსართული ქუჩიდან არ აღიქმება; არქ. დ. ლოსაბერიძე, 2016 წ.).

თანამედროვე მოსაპირკეთებელი საშენი მასალის გამოყენებით და საფასადო სიბრტყეზე არქიტექტურული ელემენტების განსხვავებული ფერით გამოყოფით, განსაკუთრებით კი, სარკმელების მოჩარჩოების თავდაპირველი მკვეთრი ნარინჯისფერი შეფერვით რითმის აქცენტირება, კონტრასტულად აღიქმებოდა და ამოვარდნილი იყო ისტორიული

განაშენიანების რიტმიდან და კოლორიდან. ბოლო წლებში განხორციელებულმა ფერის ცვლილებამ (მოყავისფრო–ჟანგისფერი) შეარბილა ეს კონტრასტი (სურ.12).

ამაღლების და კოჯრის (ამაღლების ქ. № 12, კოჯრის ქ. № 1) ქუჩების შესაყარზე არსებული საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა ბოლო ათწლეულშია განხორციელებული. ამ ქუჩების მდებარეობა და იქ ადრე არსებული განაშენიანების ტიპი განვიხილეთ წინა თავში. ჩვენს მიერ საქართველოს ეროვნული არქივში მოძიებული, მე-19 საუკუნეში გააზრებული ორი პროექტის მიხედვით (გეგმა 8), აღნიშნული ტერიტორია, ეკუთვნოდა ერთ მფლობელს – გერასიმე ზურაბოვს (ფოტომასალას ვერ მივაკვლიეთ).

1) ერთი პროექტი თარიღდება 1865 წლით (პროექტი 1; ამჟამინდელი კოჯრის ქ. №1). გენგეგმაზე ნაჩვენებია ამჟამინდელი კოჯრისა და ამაღლების ქუჩების კვეთა ლ. ასათიანის ქუჩასთან.

2) მეორე პროექტი- ამჟამინდელი ამაღლების ქუჩაზე მე-19 საუკუნეში არსებული საცხოვრებელი სახლის მიშენებისაა.

1865 წლის პროექტში იმ დროისთვის დამახასიათებელი გეგმარებისა და გარეგნული სახის ორსართულიანი შენობაა ნაჩვენები, იგი მე-19 ს-ის 50–60 -იანი წლების ტიპური ნიმუშია. შენობის ერთი ფლიგელი მიუყვება ამჟამინდელ კოჯრის ქუჩას, ხოლო ამაღლების ქუჩისკენ არსებული ტერიტორია ბაღს უკავია, სადაც მხოლოდ მცირე ზომის ნაგებობა ჩანს. ოთახების განლაგება ანფილადურია. სახლის კუთხე ბაღის ქუჩისკენ 45 გრადუსითაა წაკვეთილი ნაკვეთის ფორმის შესაბამისად. ქუჩის მხარეს მოგრძო ზომის ლითონის აივანია, ხოლო ეზოს მხარეს ხის საკომუნიკაციო აივანი პერიმეტრულად მიუყვება ფასადს. დამხმარე სადგომები კოჯრის ქუჩისკენ მიმართულ ფლიგელშია განთავსებული და აივნით უკავშირდება დანარჩენ სათავსებს. აივნის ბოლოს, დამხმარე სადგომების წინ, ეზოდან შესასვლელი კიბეა. შენობა ორი საცხოვრებელი და სარდაფის სართულისგან შედგება. ქუჩისკენ მიმართული ფასადი სარკმლებით (II

სართულზე რენესანსული თაღოვანი შეწყვილებული სარკმელი, I სართულზე ბრტყელთაღოვანი) და პილასტრისებური შვერილებითაა წარმოდგენილი.

მეორე პროექტი დათარიღებულია 1902 წლით. ეს არის ნებართვა ამაღლების ქუჩაზე მდებარე შენობაზე მიშენების, რომლის პროექტი არ არის დაცული არქივში. ამაღლების ქუჩის საცხოვრებელი სახლი 1865 წლის პროექტის გენგეგმაზე არ იყო დატანილი. გამომდინარე ამ ორი პროექტის დათარიღებიდან და გენგეგმიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ ამაღლების ქუჩისკენ მიმართული ძირითადი ნაგებობა 1865 წლიდან 1900 წლამდეა აშენებული. პროექტზე არქიტექტორის გვარის მხოლოდ ხელმოწერაა. ამ ტიპის საცხოვრებლები ახლაც არის ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის მიმდებარედ. ჩვენთვის არ არის ცნობილი როდემდე იარსება ამ ნაგებობამ, დღეს არსებული მონუმენტური შენობების აგებამდე კი, აქ ავტოფარეხის ტიპის ნაგებობა ყოფილა.

2010-იან წლებში კოჯრისა და ამაღლების ქუჩებით შემოფარგლულ, მომრგვალებული კუთხური კონფიგურაციის ნაკვეთზე უკანასკნელ ათწლეულში ორი მრავალსართულიანი შენობა ნაკვეთის ფორმის შესაბამისად განთავსდა. მათი დაგეგმარება სწორედ ტერიტორიის თავისებურმა მოხაზულობამ განაპირობა. ამდენად ჩვენ მათ ერთ კომპლექსად განვიხილავთ.

ამაღლების ქუჩისკენ გამავალი საცხოვრებელი სახლი, ამაღლების ქ. №12 რამდენიმე ბლოკისგან შედგება (არქ. მ. ჩხაიძე, 2011-12). სოლოლაკის შედარებით ვიწრო ქუჩებთან მიმართებით, საკმაოდ ფართო გაბარიტის ამაღლების ქუჩისკენ ის ორი ბლოკის ფასადებით გამოდის. ერთი ფსევდორენესანსული ხასიათისაა, ხოლო მეორე ფსევდოკლასიცისტური. ისინი ერთმანეთს მოდერნისტული ხასიათის შემინული მოცულობით უკავშირდებიან (სურ.14).

ეს ფსევდოკლასიკური ხასიათის ფასადები, ერთგვარად ეხმიანება მეზობელი შენობების მხატვრულ გადაწყვეტას, რაც კლასიკური სტილების

ეკლექტიკურ ნაზავს ემყარება. მოცულობები შვიდი სართულის სიმაღლისაა, ოთხი სართულის შემდეგ ზედა სართულები ტერასულად შეწეულია საფასადო სიბრტყიდან, დიდი ნაწილი შემინული მსუბუქი კონსტრუქციებითაა გადაწყვეტილი და ბლოკებს შორის არსებული მოდერნისტული ჩანართის ნაწილია.

ამავე დროს ოთხი სართული კლასიკურად დასრულებულია კარნიზით, რაც შენობის ამ ჰორიზონტალით დასრულების ილუზიას ქმნის და ერთგვარად ამცირებს მის მონუმენტურ მასშტაბს. ლ. ასათიანის ქუჩის შესახვევის მხარეს გამომავალი ბლოკის სართულები ფასადის მთელ სიგრძეზე არსებული გრძივი საკომუნიკაციო აივნებითაა შეკრული (სურ.15). ეს მე-19 საუკუნის ქართული საცხოვრისისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული თემაა. კიდევ ერთი რამ, რაც ქართული საცხოვრისიდანაა ნასესხები- შიდა ეზოა, რომლის ნაწილი საერთოა ამაღლების ქ. №12 და კოჯრის ქ. №1 სახლებისთვის (სურ.6 ბ).

ამ ეკლექტურ ნაგებობას კოჯრის ქუჩის მხრიდან ემიჯნება კიდევ ერთი მონუმენტური, არტ- ნუვოს სტილის ნაგებობა კოჯრის ქ. №1 (სურ.13ა). ამდენად, თითქოს ამ საცხოვრებელ კომპლექსში თავი აქვს მოყრილი სოლოლაკის უბნისთვის დამახასიათებელი სტილების ერთობლიობას. ამაღლებისა და კოჯრის ქუჩებს შორის არსებულ ნაკვეთზე ავტორებმა სოლოლაკის ისტორიული შენობების სტილთა ერთობლიობა წარმოადგინეს, თუმცა მიუხედავად მასშტაბის მონუმენტურობის შემცირების მცდელობისა სხვადასხვა არქიტეტურული ხერხებით, მაინც აშკარაა გარშემო არსებულ შენობათა ფონზე ამ ბლოკების მონუმენტურობა. ანუ, მივიღეთ „ფსევდოისტორიული“ სტილების პოსტმოდერნისტული განაშენიანება გაცილებით მსხვილი მასშტაბისა, ვიდრე გარემოცვაა. თუმცა ამაღლების ქუჩის სივრცე იტანს შენობის ამ მასშტაბს.

კოჯრის ქ. №1 –კოჯრის და ამაღლების ქუჩების კვეთის ადგილას ლ. ასათიანის ქუჩის შესაყართან, 2012 წელს აგებული მონუნენტური ნაგებობაა (არქიტექტორი დ. ბაირამაშვილი). არტ–ნუვის სახასიათო ფორმებით და

დეკორით დამუშავებულ საცხოვრებელ კომპლექსში ავტორი სოლოლააკის ისტორიულ სტილებს ასახავს. შენობის ფასადზე გამოყენებულია კოჯრის ქუჩაზე არსებული ისტორიული №3 სახლის (სურ.6ა), არტ –ნუვოს დეკორაციული ხასიათის ოვალური სარკმელის ფრაგმენტი (სურ.13ა). ვიწრო ქუჩების კვეთაზე მდგომი ეს შენობა თავისი მასშტაბით გამორჩეულია გარშემომყოფთაგან. თუმცა, ქუჩების შეყრის ადგილას მდებარეობა, ნაკვეთის ფორმის კონფიგურაცია და შენობის ნეიტრალური ფერი, ხელს უწყობს მონუმენტური შენობის მაღლივი ნაწილის შესაბამისობის აღქმას მიმდებარე ტერიტორიასთან. კოჯრის ქუჩის მხარეს მიმართული ნაწილი ტერასულია, სიმაღლე მცირდება №3 სახლისკენ და თითქმის უთანაბრდება ისტორიულ განაშენიანებას. შენობის კოჯრის ქუჩისკენ მიმართულ მხარეს ნაწილი აივნები მოხარატებულია თბილისური აივნების მსგავად (სურ.6 ბ).

ორივე საცხოვრებელი სახლის შემთხვევაში ისტორიული სტილები შედარებით თავშეკავებულადაა გამოყენებული, რაც აისახა ფასადთა კომპოზიციურ გადაწყვეტაში, ღიობთა კონფიგურაციასა და პროპორციებში, კლასიკური თუ მოდერნის არქიტექტურული ელემენტების გამოყენებაში და არა უხვ დეკორში. ამდენად, აქ უფრო რაციონალურ პოსტმოდერნისტულ გადაწყვეტასთან გვაქვს საქმე.

რაც შეეხება ქართული საცხოვრისისთვის დამახასიათებელ თემას, ორგანულ შიდა ეზოს და აივნებს (სურ.8.ბ), რომლებიც ამაღლების ქუჩის საცხოვრებელ სახლს გასდევს, შინაარსობრივად მათი არსებობა უდაოდ გამართლებული და მნიშვნელოვანია. აივნებს ორმაგი კოდირება აქვთ, ერთი მხრივ მინიშნება ეროვნულობაზე და გახსნილობა გარემოზე, რაც თბილისური საცხოვრებელი სახლისთვის შინაარსობრივად და ფუნქციურად გამართლებულია. თუმცა ჩვენი აზრით სადა, უფრო დროისთვის შესაფერისი მოდერნისტული გადაწყვეტა დეკორის გამოყენების გარეშე ამ განწყობას შეინარჩუნებდა თეატრალური დეკორატიულობის გარეშე.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტიც, როგორც კრიტიკოსი კენეტ ფრემპტონი აღნიშნავს, კრიტიკული რეგიონალიზმი ადგილობრივ და გლობალურ არქიტექტურას შორის კავშირის ამსახველია.

თუკი კენეტ ფრემპტონის მოსაზრებას მივყვებით, საცხოვრებელი სახლი ამაღლების №12, შეიძლებოდა კრიტიკული რეგიონალიზმის მაგალითადაც მოგვეხსენიებინა (რომ არ ყოფილიყო გამოყენებული ფსევდოისტორიული სტილები) აქ განვითარებული აივნების თემისა და შიგა ეზოს გამო, რაც ერთგვარი რეპლიკაა XIX საუკუნის თბილისური საცხოვრისიდან და რაც კლიმატურ-ფუნქციური ფაქტორებით განპირობებული, სოციალურ სტრუქტურად ჩამოყალიბებული, თანამედროვე არქიტექტურაში ინტეგრირებული ადგილობრივი ფენომენია. თუმცა, ისტორიული სტილების მოდერნიზებული წარმოჩენა კომპლექსის ეკლექტიკურობას და ფასადურობის ზედმეტად ხაზგასმას განაპირობებს და თითქოს გარემოცვის „ზეწოლით“ გამოწვეული დეკორატიულობა ჯაბნის კრიტიკული რეგიონალიზმის თვისებას, თანამედროვე და რეგიონალური არქიტექტურის შერწყმას.

სოლოლაკის უბანში ინტერვენციის შემდეგი მაგალითი რადიკალურად განსხვავდება ზემოგანხილულისგან. ეს გახლავთ ჰაიდელბერგცემენტის საოფისე ნაგებობა გ. ლორთქიფანიძის ქუჩაზე, (არქ. ლ. მუშკუდიანი, ლ. ასაბაშვილი). ამ თანამედროვე შნობის არქიტექტურა, რომელიც მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის დეკონსტრუქტივისტულ მიმდინარეობას ემხრობა, ისტორიულ გარემოში თამამი, „აგრესიული“ შეჭრის მაგალითია (ნახ.16).

მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოყალიბებული მ. ლერმონტოვის ქუჩა, ძირითადად საცხოვრებელი სახლების გრძივი განაშენიანებითაა ფორმირებული. შენობა გ. ლორთქიფანიძის ქუჩისკენ გამოდის და გარემოცულია ეროვნული მნიშვნელობის და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით.

ჩვენი აზრით, სოლოლაკისთვის მასშტაბურად თუ სტილისტიკით ტიპურ ქუჩაზე, იმ გარემოცვაში, სადაც ვხვდებით ფსევდორენესანსულ-ბაროკულ, რომანულ-გოთიკური თუ არტ-ნუვოს არქიტექტურული ელემენტებით შემკულ ორ-სამსართულიან საცხოვრებელ სახლებს ე.წ. თბილისური ეზოებით, ზემოგანხილული შემთხვევისგან განსხვავებით გაცილებით თამამად და აგრესიულად გამოიყურება აღნიშნული ჰაიდელბერგცემენტის საოფისე შენობა.

მას თავისი ხუთსართულიანი მოცულობით, ასიმეტრულად და უსისტემოდ განთავსებული ღიობებით და რაც მთავარია დეკონსტრუქტივისტული აყირავებული სამკუთხა პრიზმით, რომელიც მოდერნისტული აბსტრაქტული გეომეტრიული ნახატის ვიტრაჟითაა გაფორმებული, დისონანსი შეაქვს საუკუნით ადრე ჩამოყალიბებულ ურბანულ გარემოში. ის ამოვარდნილია ქუჩის გრძივი განშენიანებიდან და ამ ისტორიული გარემოსთვის სრულიად არაადექვატური დომინანტის როლითაა დატვირთული.

შენობას მასშტაბი არ დაურღვევია, ქუჩის ხაზზე მდებარე მოცულობა სიმაღლით განაშენიანების შესაბამისია, უფრო მონუმენტური ბლოკი ეზოს სიღრმეშია შეწეული, თუმცა მხატვრული გადაწყვეტით და პროპორციებით ამოვარდნილია გარემოცვიდან.

ჩვენი აზრით, ასეთი ფუნქციის ნაგებობის ამგვარი არქიტექტურული გადაწყვეტა საინტერესოა, თუმცა ამ კონკრეტულ გარემოში უფრო ფაქიზი მიდგომა იყო საჭირო, არსებულ განაშენიანებასთან არა კონტრასტული დაპირისპირებით, არამედ მეტი ანგარიშგაწევით.

სოლოლაკში არსებობს უფრო პასიური ინტერვენციის შემთხვევები, რომლის მაგალითია პაოლო იაშვილის ქუჩაზე სასტუმროსთვის განკუთვნილი №14–№16 ა შენობა (სურ.17). იგი მხატვრული დამუშავების თვალსაზრისით კლასიკური ხასიათისაა. ფასადის ღიობები ასიმეტრიულადაა გადაწყვეტილი, მაგრამ მისი პროპორციები და მხატვრული ხასიათი შეესაბამება გარემო ნაგებობებს. იგი ინტერვენციის

ისეთ სახეს წარმოადგენს, როცა თანამედროვე ნაგებობა ნეიტრალური ფერით, მოცულობით და არქიტექტურულ–მხატვრული სახით ფონურ ხასიათს უქმნის ისტორიულ განაშენიანებას.

უბანში ასევე ვხვდებით განსხვავებული ხასიათის ინტერვენციის შემთხვევებს.

ამღლების ქუჩაზე №11 შენობა მდებარეობს ისტორიული განაშენიანების გარემოცვაში, ჩვენს მიერ განხილულ მასშტაბური ინტერვენციის შემთხვევის, ამაღლების ქ. №12-ის მოპირდაპირედ. მას ემიჯნება ამორტიზებული, ქუჩისკენ ეზოში აივნით გამავალი შენობა და მეორე მხრიდან ამაღლების ვიწრო შესახვევი, რომლის იქით არტ ნუვოს ხასიათის №9 სახლია. თანამედროვე პერიოდში შექმნილი მოსალათისფრო შეფერილობის შენობა, ერთი მხრიდან ტერასულად მოწყობილი სართულებითაა, ქუჩის მხარეს არსებული გრძივი აივნები კი, გარემოსთან გახსნილობაზე მიანიშნებს. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით ამ ქუჩის განაშენიანებისთვის იგი შეუსაბამოა (სურ.18).

ლ. ასათიანის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსი №36ა, მოქცეულია ისტორიულ განაშენიანებაში. მისი ის ნაწილი, რომელიც ისტორიულ 2 –3 სართულიან შენობას ემიჯნება, სიღრმეშია შეწეული. ქუჩისკენ გამოწეული ბლოკი ებჯინება მოდერნის მოტივებით შექმნილ შენობას. შენობის ტერასული ხასიათი, ნეიტრალური რუხი ფერი ხელს უწყობს მის ჩართვას ქუჩის საერთო გარემოცვაში (სურ.27).

პ. ინგოროყვას ქუჩის ჩვენს მიერ განხილულ მონაკვეთზე ნაგებობა №5, მიმდინარე საუკუნეში აგებული თანამედროვე იერსახის საცხოვრებელი ტიპის სასტუმროს შენობაა (მთ. არქ. დ. ლოსაბერიძე, 2012-14). იგი ნეიტრალურია ფერით. არსებულ გარემოცვასთან შედარებით მის არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს განსაზღვრავს ქუჩაზე არსებული ისტორიული შენობებისთვის დამახასიათებელი ფსევდოკლასიკური ფასადების მოდერნიზებული გადამუშავება: პილასტრისებური შვერილები, მათ შორის ჩაღრმავებული არეების რუსტირება, ატიკის ტიპის

სართულის სარკმელთა მოჩარჩოება. ყველაფერი ეს სადად და თავშეკავებულად არის წარმოდგენილი. შენობის შედარებით დიდი მასშტაბი ტერასული გადაწყვეთით ნაწილობრივ იფარება, თუმცა მისი მხატვრული სახის მოდერნიზებული კლასიკური ინტერპრეტაცია მონუმენტურია გარემო განაშენიანებასთან შედარებით (სურ.25 ბ).

თანამედროვე იერსახის შენობებს ვხვდებით დ. ჭონქაძის ქუჩაზე. საცხოვრებელი და კომერციული დანიშნულების მქონე №7 შენობა განსხვავებულია მიმდებარე განაშენიანებისაგან არქიტექტურულ–მხატვრული სახით და ფერით. მისი მონუმენტური მოცულობა ქუჩის სიღრმეშია შეწეული ისტორიული განაშენიანებისთვის კონკურენციის თავიდან ასაცილებლად (სურ.23).

დ. ჭონქაძის ქ. №10 ა – გერგეთის ქუჩის კვეთასთან არსებული კარკასული შენობა კაფესათვის არის განკუთვნილი (სურ.24). მისი მხატვრული სახის მოდერნისტულ გადაწყვეტას განაპირობებს პირველი სართულის სრული შემინვა და მეორე და მესამე სართულების ხის მასალით შემოსვა. მესამე სართულზე ის საზაფხულო ტერასასაც მოიცავს. ამგვარი გადაწყვეტა საინტერესოდ მიგვაჩნია, რადგან ის ერთდროულად თანამედროვეცაა და ამავე დროს არ იჭრება აგრესიულად არსებულ გარემოში, რომლის ხასიათს ისტორიული განაშენიანება და მწვანე საფარი განაპირობებს (არქ. გ. მოსულიშვილი, 2013).

ბოლო ათწლეულში შესამჩნევია თანამედროვე შენობებზე მოდერნიზებული კლასიკური სტილების წარმოჩენის ტანდენცია. ამის მაგალითი ამ პერიოდში აგებული პ. ინგოროყვას ქ. №5 შენობის მსგავსად, არის დ. ჭონქაძის ქუჩის ბოლო მონაკვეთზე (სოლოლაკის და მთაწმინდის შესაყარი) ამჟამად არსებული განაშენიანება. ამ ტერიტორიაზე ბოლო ათწლეულში განხორციელდა ზოგიერთი შენობის დემონტაჟი თუ არსებული ნაგებობების რეკონსტრუქცია. აქ აგებული მონუმენტური ნეოკლასიცისტური ხასიათის მოცულობები არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით აღნიშნულ მიმართულებას ემხრობიან.

სოლოლაკში მრავლადაა მცირე ინტერვენიის მაგალითები, რაც ხშირ შემთხვევაში ხორციელდება თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით. მათ შორის აღსანიშნავია კომერციული დანიშნულების მქონე ფართების მიშენებების ფაქტები ისტორიულ შენობებზე. ასეთი შემთხვევის ერთ-ერთი მაგალითია გ. ქიქოძის ქ. №3 შენობაზე განხორციელლებული სავაჭრო ფართის მიშენება (სურ.19). ნაგებობის აგურის ფასადის თავდაპირველად არსებული შერბილებული სიძველის ეფექტი, უფრო მისაღები იყო ისტორიული განაშენიანების ფონზე, ვიდრე ბოლო პერიოდში განხორციელებული საფასადო სიბრტყის კონტრასტული, მკვეთი ფერით აქცენტირება.

ხშირია აივნების და ლოჯიების მიშენების, მაგ. გ. ლეონიძის ქ. №7 (სურ.21), ლ. ასათიანის ქ. №62 (სურ.20); აივნების შემინვის, შიდა ეზოებში სათავსოსთვის განკუთვნილი ფართის ჩადგმის, მაგ. კოჯრის ქ. №3 (სურ. 26), ი. მაჩაბელის ქ. №17/27 (სურ. 27ა), სარეკლამო აბრების განთავსების (სურ. 27), პირველი სართულების ღიობების გადაკეთების და თანამედროვე მასალით შეცვლის (სურ.22), მანსარდული სართულის დაშენების შემთხვევები. ყოველივე ეს ზიანს აყენებს უბნის ავთენტურობის შენარჩუნებას. აკნინებს უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ–მხატვრულ იერსახეს.

2. 2. ადგილობრივი ანალოგები

ინტერვენცია პრობლემატურია თბილისის სხვა უბნების ისტორიული განაშენიანებისთვისაც. მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ამ კუთხით გაგვეანალიზებინა სილოლაკის თანადროულ პერიოდში ჩამოყალიბებული სხვა ისტორიული განაშენიანებები, სადაც ბოლო წლებში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა.

პირველ რიგში საინტერესოდ მივიჩნიეთ, სოლოლაკის მიმდებარედ, პუშკინის ქუჩაზე ჩატარებული რეაბილიტაციის შედეგების ანალიზი, რაც შუა საუკუნეობრივი ბირთვის - კალას შემომსაზღვრავ, ქუჩის მარჯვენა ნაპირს შეეხო.

პუშკინის ქუჩის მონაკვეთი თავისუფლების მოედნის არეალშია მოქცეული და ამდენად, ქუჩის განაშენიანების ნაწილი მოედანს აღმოსავლეთიდან პერიმეტრულად საზღვრავს. ჩასახვიდანვე, ანუ მე-19 ს-დან ქუჩის დიდი ნაწილი და მოედანი ერთიან სივრცით სტრუქტურას წარმოადგენდა. ეს ერთიანობა დღესაც, 2012-15 წლებში ჩატარებული პუშკინის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდგომაც შენარჩუნებულია. თუმცა, განაშენიანების სტრუქტურა რიგ ობიექტურ მიმიზეზთა გამო რეაბილიტაციის შედეგად სახეშეცვლილია (სურ.30).

პუშკინის ქუჩა განაშენიანების ხასიათის მიხედვით ორ მონაკვეთად შეიძლება განვიხილოთ:

1) თავისუფლების მოედნის შემომსაზღვრავი, მონუმენტური გრძივი განაშენიანება ნეოკლასიცისტური ფასადებით;

2) მონაკვეთი მოედნის მიმდებარე ტერიტორიიდან ბარათაშვილის ქუჩამდე, ქართული საცხოვრისის ხასიათის, ხის დაკიდული აივნებით და შუშაბანდებით.

მეორე მონაკვეთის საცხოვრებელ სახლებს რეაბილიტაციის ფარგლებში ჩაუტარდა გამაგრებითი და ფასადის აღდგენითი სამუშაოები, ასევე შეიმკო XIX საუკუნის თბილისისთვის ორგანული, მოხარატებული დაკიდული აივნებითა და შუშაბანდებით. აღნიშნული ტერიტორია მოიცავს

რეაბილიტაციის პროცესში გამოვლენილი არქოლოგური ძეგლის - შუა საუკუნეების გალავნის ნაწილს, რაც რეაბილიტაციის ავტორებმა (გ. კიკნაძე, ლ. მუშკუდიანი) მუზეუმად აქციეს და შენობათა გრძივი რიგის გასწვრივ მოწყობილი დაკიდული ხის ხიდის და კიბეების მეშვეობით ოსტატურად ჩართეს ქუჩის სტრუქტურაში. ამდენად, ერთ სივრცით სტრუქტურაში მოხდა ქალაქის განვითარების რამდენიმე ისტორიული ეტაპის - შუა საუკუნეების, მე-19 საუკუნის და მე-20 საუკუნის ტრანსფორმაციათა ერთგვარი ინტეგრაცია.

პუშკინის ქუჩის თავისუფლების მოედნის შემომსაზღვრავმა განაშენიანებამ ანუ, პირველმა მონაკვეთმა მეორისგან განსხვავებით მასშტაბი შეიცვალა, რაც უპირველეს ყოვლისა პუშკინის ქ. №1 შენობის სართულიანობის მკვეთრმა გაზრდამ გამოიწვია.

ეს არ შეეხო პუშკინის ქ. № 3, №5, №7; რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია, (№3 - ეროვნული მნიშვნელობისაა). თუმცა, სიღრმეში ფონურად მათ აერთიანებს №1 შენობის სიმაღლის იდენტური მოცულობა. პუშკინის №3, №5, №7 ფასადები რეაბილიტირებულია, შენობა № 3- ის მცირედი ცვლილებით. ამდენად, ფასადების დამუშავებაში წამყვანი თემა, ისევე როგორც მანამდე აქ არსებულ შენობებში, კლასიკური ევროპული ხასიათის მემკვიდრეობაა. ამდენად, ამ მონაკვეთზე მივიღეთ ერთგვარი ნეოკლასიცისტური ხასიათის, მონუმენტური, პოსტმოდერნისტული განაშენიანება. სტილისტურად ეს ხასიათი ერთი მხრივ ამ ადგილას მანამდე არსებული განაშენიანების გარეგნული სახითაა ნაკარნახევი, მეორე მხრივ - თავისუფლების მოედნის ტერიტორიაზე მიმდინარე საუკუნეში განხორციელებული ე.წ. სარეაბილიტაციო სამუშაოებით. აქვე აღვნიშნავთ, რომ კარგადაა შერჩეული შენობათა ნეიტრალური ერთგვაროვანი ფერი, რაც ჰარმონიულად ეხმიანება საკრებულოს ზოლოვან დამუშავებას, არ ტვირთავს მას და ხაზს უსვამს საკუთარ მონუმენტურობას (სურ.35).

თავისუფლების მოედნის და ალ. პუშკინის ქუჩის ტერიტორიის განაშენიანების ჩამოყალიბება ეტაპობრივად მიმდინარეობდა, რასაც დიდად შეუწყო ხელიმე-19 ს-ის 20-30-იანწლებში ავანაანთხევის ამოვსებამ, რომლის დიდი მონაკვეთი ამჟამინდელი პუშკინის ქუჩის გასწვრივ არსებული გალავნის ნაწილს მიუყვებოდა. პირველ ეტაპი სწორედ მე-19 ს-ის პირველ ნახევარს ეკუთვნის, როცა ამჟამინდელი თავისუფლების მოედნისა და ა. პუშკინის ქუჩის არეალში აიგო მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ნაგებობები. კლასიციზმის სტილის: ყოფილი კავკასიის კორპუსის შტაბი, ზუბალაშვილის სახლი (საქ. ხელოვნების მუზეუმი, არქ. ჯუზეპე ბერნადაცი 1825წ.); მოედნის ცენტრში პალადიოს ვიჩენცის ბაზილიკის (გვიანი რენესანსი) ხასიათში თეატრისა და თამამშევის ქარვასლის შენობა (არქიტ. ჯოვანი სკუდიერი. 1847–51წწ.); ფსევდო–მავრიტანული სტილის ქალაქის საბჭოს შენობა. სწორედ ამ დროს, ამჟამინდელი თავისუფლების და მაშინდელი ერევანსკის მოედანზე პირველად გაჩნდა ანსამბლურობის ნიშნები (სურ.2).

მეორე ეტაპზე, ანუ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოედანი პერიმეტრულად გაშენდა. მოედნის აღმოსავლეთ მხარეს, მე–19 სკ–ის 50–იან წლებში, ქალაქის ძველი გალავნის აფეთქების შემდეგ, პუშკინის ქუჩის ხაზის გასწვრივ მოედნიდან სანაპიროსკენ, სახლების ახალი რიგის მშენებლობა დაიწყო. აიგო სასტუმრო "ინტერნაციონალი", ორ სართულიანი სახლების რიგი და სასტუმრო „კავკაზი".

მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში კი ამჟამინდელი თავისუფლების მოედნისა და რუსთაველის გამზირის, რენესანსულ-ბაროკული ხასიათის ზუბალაშვილის სახლი (არქ. ა.ზალცმანი).

1885წ. ამჟამინდელი ხელოვნების მუზეუმის მიმდებარედ, საკვირაო ბაზრობის ტრადიციულ ადგილზე გაშენდა სკვერი (სადაც 1892 დაიდგა ა. პუშკინის ბიუსტი, მოქანდაკე ფ. ხოდოროვიჩი).

ამ პერიოდში მოედნის მიდამოებში მასშტაბით, პროპორციული წყობით და არქიტექტურული სახით ერთგვარი განაშენიანება ჩამოყალიბდა.

მესამე ეტაპი მე-20 ს-ის 30-იანწლებში განხორციელდა ე. წ. „სოციალისტური რეკონსტრუქციის“ ფარგლებში. მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, აღებულ იქნა თამამშევის ქარვასლის შენობა, დაანგრიეს ზალცმანისეული ზუბალაშვილის სახლი, რომლის ადგილას აიგო ნეოკლასიცისტური საცხოვრისი. (რუსთაველის №1, არქ. ა. ქურდიანი, მ. მელია, ყუბანეიშვილი, 1939 წ.).

1956 წ. მოედნის ცენტრში დაიდგა ლენინის ძეგლი (მოქ. ვ. თოფურიძე, არქიტექტორები: გ. მელქაძე, შ. ყავლაშვილი).

ერთადერთი მოდერნისტული შენობა, რომელიც მოედნის არეალში, თუმცა სიღრმეში პუშკინის სკვერის უკან მდებარეობდა, იყო ცეკავშირის მრავალსართულიანი შენობა. (არქტორები: გ. მელქაძე, ნ. ქვარცხავა, 1971წ. დღეს დანგრეულია).

ამდენად, მე-20 ს-ის მეორე ნახევარში, თბილისის სამოქალაქო ომამდე, თავისუფლების მოედნის ტერიტორია შემოფარგლული იყო ძირითადად ადამიანური მასშტაბის განაშენიანებით, რომელთანაც სრულ შესაბამისობაში იყო მოედნის ცენტრში არსებული ლენინის ძეგლი, რომელიც მოედნის ფოკუსს წარმოადგენდა. მაგრამ, ამავე დროს არ ჩრდილავდა მოედნის კომპოზიციაში აქცენტირებულ ამჟამინდელი საკრებულოს შენობის ვერტიკალს- კოშკს. განაშენიანების დაბალი სართულიანობა განაპირობებდა მოედნის ლოკალური სივრცის პანორამულ გახსნას, სოლოლაკის ქედის მთაწმინდის მიმართულებით და ერთგვარად მათ ჩართვას მოედნის კომპოზიციაში.

თბილისის ომმა (1990–92 წლები) თავისუფლების მოედანს და მის მიმდებარე ტერიტორიას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ომის შემდგომ პერიოდში განხორციელებულმა რეკონსტრუქციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ამ ტერიტორიის სივრცით–მოცულობით სტრუქტურაში, რაც აისახა მის არქიტექტურულ-მხატვრულ ღირებულებაზე.

თავისუფლების მოედნის და გ. ლეონიძის ქუჩის კვეთიდან შ. რუსათაველის გამზირამდე “ქორთიარდ მარიოტის“ ჰორიზონტალურად გადაჭიმულმა მონუმენტურმა მოცულობამ, ნეოკლასიცისტურ ხასიათში გადაწყვეტილი პოსტმოდერნისტული ფასადით, ობიექტურად იმოქმედა მოედნის განაშენიანების შემდგომ ხასიათზე. (არქიტექტორები: ვ. ცინცაძე, ზ. ისაკაძე, ზ. ფილიშვილი, ნ. სამადაშვილი, ნ. მანჯავიძე). ის სამჯერ აღემატება აქ ადრე არსებულ ზემოხსენებულ განაშენიანებას. შენობამ მოედნის დასავლეთი მხრიდან ბუნებრივი დომინანტი - მთაწმინდა სრულიად დაფარა და მოედნის სივრცითი სტრუქტურის გახსნილი ხასიათი უგულვებელყო.

2006 წელს მოედნის ცენტრში აღმართული წმინდა გიორგის მონუმენტის გადაჭარბებული სიმაღლე, პროპორციები (სვეტისა და ქანდაკების ურთიერთმიმართება), ფერი (მკვეთრი ოქროსფერი), მოედნის პარამეტრებსა და სტრუქტურასთან მიმართებაში, ჩვენი აზრით, მეტად პრეტენზიული და შეუფერებელია (მოქანდაკე ზ. წერეთელი).

ვფიქრობთ, სწორედ, ამ არასახარბიელო ცვლილებების იძულებითი ლოგიკური შედეგია პუშკინის ქუჩის საწყისი მონაკვეთის მასშტაბის მკვეთრი გაზრდა და სახეცვლილება. თუმცა, ჩვენი აზრით სწორედ ეს განაშენიანება უნდრჩუნებს მოედანს დღესდღეობით გარკვეულწილად კომპოზიციურ ერთიანობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პუშკინის ქუჩის არცთუ დიდი განაშენიანება საკმაოდ მრავალფეროვანია და თბილისის განვითარების სხვადასხვა ისტორიული ეტაპის არქიტექტურული სახეცვლილების ამსახველია. აქ ვხვდებით როგორც შუასაუკუნეობრივ სტრუქტურას (გალავნის ნაწილი, ამჟამად მუზეუმი), ქართული საცხოვრისის ნიმუშებს (მონაკვეთი ბარათაშვილიდან დექსუსის შენობის კარკასამდე), ევროპული სტილების თანამედროვე ინტერპრეტაციას (თავისუფლების მოედნის შემომსაზღვრავი) და თანამედროვე შენობის კარკასს, რომელიც ჯერჯერობით მშენებლობის პროცესშია.

განსხვავებული მდგომარეობაა ვერის უბანში, პ. მელიქიშვილის გამზირის №11–№17 განაშენიანების მონაკვეთზე. მელიქიშვილის გამზირი გაბარიტებით, დატვირთვით თუ აქ არსებული რეპრეზენტატიული, მონუმენტური განაშენიანებით (განსაკუთრებით სასტუმრო საქართველოს მიმდებარე განაშენიანება) წინა მაგალითისგან სრულიად განსხვავებულია. ზემოაღნიშნული მონაკვეთი და მისი მიმდებარე განაშენიანების დიდი ნაწილი ბოლო ათწლეულამდე ორ-სამსართულიანი შენობებით იყო ფორმირებული. მათგან №13; 11; 9; 7 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია და დღესაც აგების დროინდელი სახითაა შემორჩენილი. ბოლო წლებში განხორციელდა №13-ის მომიჯნავე შენობების (№15, №17, სტატუსი: რიგითი განაშენიანება) დემონტაჟი და ამჟამად აიგო ახალი შენობები. ეს პრობლემას უქმნის №11-13 საცხოვრებელ სახლებს, რადგან მათი ფიზიკური მდგომარეობა ისედაც სავალალოა. №13-ის ავტორი პირველი პროფესიონალი ქართველი არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილია. №13 შენობის აგურით ნაგებ და შელესილ მთავარ, მელიქიშვილის გამზირისკენ მიმართულ ფასადზე, აგების დროინდელი გარეგნული სახე გვიანდელი გადაკეთებების შედეგად დარღვეულია, ხის ალათიანი სარკმელები ნაწილობრივ შეცვლილია მეტალოპლასტმასის განსხვავებული ღიობებით, პირველი სართულის დონეზე განთავსებულია კომერციული დანიშნულების სათავსები ფუნქციისთვის შესაბამისი იერსახით და სარეკლამო აბრებით, თუმცა ამ ცვლილებების მიუხედავად დომინირებს ფასადის პირვანდელი, ბაროკული გარეგნობა. შენობის ორი სართულის სიმაღლეზე აყოლებული კორინთული პილასტრები, მეორე სართულზე სწორკუთხა, მესამეზე კი თაღოვანი სარკმლების დამუშავების ხასიათი და პროფილები, ნაძერწი ორნამენტები და ფიგურები, კარტუშები, ცენტრალური ნაწილის აქცენტირება სახლის თავზე აღმართული ბაროკული ფრონტონით – ეს ყველაფერი შენობის მთავარი ფასადის ფსევდობაროკულ ხასიათზე მეტყველებს. ფასადზე ყურადღებას იქცევს

მეორე და მესამე სართულებზე სიმეტრიულად განთავსებული ლითონის მცენარეული ორნამენტით დამუშავებული აივნები. ვიზუალურად სახლი (მთავარი ფასადის გარდა) ცუდ მდგომარეობაშია, გასათვალისწინებელია აქ მაცხოვრებელთა რთული საყოფაცხოვრებო პირობები და სახლის აშკარა ავარიული მდგომარეობა. (სურ.31).

№13 საცხოვრებელი სახლის მომიჯნავედ მდებარე სახლი №11, ორიენტირებულია პ. მელიქიშვილის გამზირსა და შ. ღამბაშიძის ქუჩისკენ. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული პროექტების მიხედვით, საფიქრებელია რომ აქ, 1880–იან წლებში არსებობდა ხსენებული პროექტით აგებული სახლი. იგი მოკრძალებული იერსახისაა, უფრო კლასიცისტური ხასიათისა, რასაც მისი მორუხო ფერიც ამძაფრებს. ამ შემთხვევაში სასურველი იქნებოდა მელიქიშვილის გამზირის ამ ნაპირის ერთიანად გააზრებული ანსამბლი ჩამოყალიბებულიყო, ისტორიული შენობების არქიტექტურული ღირებულების გათვალისწინებით და ამის საფუძველზე მათი ჩართვით საერთო არქიტექტურულ ანსამბლში. სხვა შემთხვევაში ეს ძეგლები, ქუჩაზე არსებული სხვა ძეგლების მსგავსად დგანან განადგურების საშიშროების წინაშე.

2.3. სხვა პარადიგმები (ინტერვენცია საზღვარგარეთ)

ინტერვენცია სხვადასხვა ხარისხით ვლინდება ზოგადად ისტორიულ ქალაქებში. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ საზღვარგარეთის პრაქტიკიდან ისტორიულ გარემოში განსხვავებული ხარისხის ინტერვენციის მაგალითები და მათი შედარება სოლოლაკთან.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა თბილისის ისტორიული უბნის, სოლოლაკის და პორტუგალიის დედაქალაქის – ლისაბონის ისტორიული ნაწილის, ბაირო ალტოს შედარება. ორივე ქალაქის ისტორიული ნაწილი

არქიტექტურული თვალსაზრისით მსგავსებით ხასიათდება. ასევე საერთო ნიშნები აქვთ გეოგრაფიული მდებარეობით, ლანდშაფტით, ურბანული თავისებურებებით და ჩამოყალიბების ისტორიით.

ბაირო ალტო ლისაბონის მნიშვნელოვანი უბანია. იგი მდინარე ტეჟუს მარცხენა სანაპიროზე, ლისაბონის შვიდი ბორცვიდან ერთ-ერთზე მდებარეობს. მისი განაშენიანება სტილისტურად მრავალფეროვანია, მასშტაბით და სართულების საშუალო სიმაღლით კი ჰომოგენური. შენობები ხასიათდება ინდივიდუალიზმით. აღანიშნავია როგორც კვადრატული ფორმის, ასევე გრძივი და ვიწრო სახლები ასიმეტრიულად განლაგებული ფანჯრებით და აივნებით. უბნის განაშენიანება სტილისტურად სხვადასხვაა, შემოსვის ხასიათით კი მსგავსი. ყოველი მათგანი შეღებილი ან შელესილია. აზულეჟუს ფასადები სტილისტიკის მიუხედავად შენობებს ეროვნულ ხასიათს ანიჭებს. აქ არსებული პომბალინოები და ჩარჩოიანი სახლები ლისაბონური ფენომენია და მარკიშ პომბალის სახელს უკავშირდება. აქ ცხოვრობდნენ როგორც არისტოკრატიის და ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ასევე მომსახურე პერსონალი. უბნის მოსახლეობის ცვლილება სოციალური თვალსაზრისით თავიდანვე ისახებოდა მის განაშენიანების ხასიათზე, სასახლეებსა თუ მოკრძალებულ საცხოვრებლებზე [2].

დღესდღეობით ბაირო ალტო პირველადი დანიშნულებით საცხოვრებელია, მაგრამ ქალაქი დატვირთულია ტურისთებით. საცხოვრებელი სახლების პირველ სართულებზე მოწყობილი, ღამის საათებში ფუნქციონირებადი თავშეყრის ადგილები, კლუბები, ბარები და ა.შ. მოსახლეობის დისკომფორტს იწვევს.

ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურბანულ გარემოში სხვადსხვა ხარისხით წარმოდგენილი ინტერვენცია, თბილისთან შედარებით აქ ნაკლებ პრობლემურია. განაშენიანებაში ფასადების ცვლილების თუ ახალი მშენებლობისას, დიდი ყურადღება ეთმობა არქიტექტურული სახის შენარჩუნებას და მის თანამედროვე ქალაქში ინტეგრაციის საკითხს.

აგრესიული შეჭრის თავიდან ასაცილებლად ანგარიში ეწევა ისტორიულ არეალში არსებულ ისტორიული არქიტექტურის საერთო პარამეტრების დაცვას.

ძირითადად გათვალისწინებულია გარშემო არსებული განაშენიანების ხასიათი და მათზეა მორგებული თანამედროვე არქიტექტურა მასშტაბით, სიმაღლით, სარკმლის პროპორციით, კედლის სიბრტყის და ღიობების ურთიერთშეფარდებით. ნაგებობის ნეიტრალური ფერი შესაბამისია გარემოცვასთან, განსაკუთრებით პომბალინოებთან.

ლისაბონში ძველი და ახალი არქიტექტურის სინთეზის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური მაგალითი, ლისაბონის ისტორიული უბნის **შიადოს** რეკონსტრუქციაა, რომელიც **ალვარო სიზამ** განახორციელა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ხანძრის შემდგომ. კომპლექსის ქუჩაზე გამოსული ფასადი თავისი მასშტაბით, ღიობების და კედლის სიბრტყის პროპორციებით, არქიტექტურული ფორმების რიტმით, ხასიათით, ნეიტრალური ფერით, აგრესიულად არ იჭრება საერთო განაშენიანებაში. ამდენად ქუჩის საერთო ხასიათი დაცულია. გამოყენებული ტრადიციული კერამიკული ფილები, ძველის იმიტაციად არ აღიქმება. ამავე დროს ქუჩის მიღმა კვარტალის დაგეგმარების მასშტაბური მოცულობები, არ აღიქმება ქუჩიდან. (სურ.36).

საინტერესო და ორიგინალურია იმგვარი გადაწყვეტა, როცა შესაძლოა ძველი არქიტექტურული ნიმუშიც შენარჩუნდეს და თანამედროვე ტენდენციის გათვალისწინება მოხდეს, როგორიც **ლისაბონის ელიტარული საცხოვრებელი და საოფისე ნაგებობა** ე. წ. „casa heron castilho“. ეს შენობა ფართო გაბარიტის მქონე ლისაბონის მთავარი გამზირის და მოედნის არეალშია, ორი ქუჩის შეყრის ადგილას მდებარეობს და ნაკვეთის შესაბამისი კონფიგურაცია აქვს (ავენიდა და ლიბერდადე, მარკიშ პომბალის მოედანი; შენობა განახლებულია 90-იან წლებში). შენობის მონუმენტურობა სრულ შესაბამისობაშია გარემოსთან. თანამედროვე, შემინული მოცულობა,

რომელიც ისტორიულ შენობაზეა დაშენებული, კონფიგურაციით და ფერით ეხამება მას.

ისტორიულ გარემოში თანამედროვე არქიტექტურით შექმნილი ნაგებობის განთავსების განხილვისას, გავიხსენოთ ნორმან **ფოსტერის ნიმის მედიათეკა** (საფრანგეთი 1987–93 წწ.), რომლის მოდერნისტული მოცულობა სრულიად თანამედროვეა, მაგრამ თან საოცრად უწევს ანგარიშს აქ არსებულ ანტიკურ რომაულ ტაძარს (Maison Carrée). ფოსტერის ცხრასართულიანი ნაგებობა ნახევრად მიწაშია ჩაჭრილი ტაძრის მასშტაბის ანგარიშგასაწევად. ამდენად, ტაძარი ინარჩუნებს დომინანტურობას არსებულ მოედანზე და მედიათეკის 90-იანი წლებისთვის ულტრათანამედროვე შენობა ერთგვარ მოდერნისტულ ფონს უქმნის ტაძარს.

საინტერესოდაა გადაწყვეტილი ძველი და ახალი არქიტექტურის თანაარსებობის მაგალითები სევილიაში, („Metropol Parasol-ი“ ესპანეთი). მათ შორის იურგენ მეიერის არქიტექტურული პროექტი, სადაც ულტრატანამედროვე სტრუქტურის რთული კომპლექსი ზემოდან დაჰყურებს ისტორიულ ქალაქს, იგი ორგანულად შეერწყა არსებულ განაშენიანებას, რაც მეტად შთამბეჭდავად აღიქმება. ეს არის ინტერვენციის ურბანული მასშტაბის მაგალითი. (სურ. 37).

II თავის დასკვნა

- კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სოლოლაკში ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა სახის ინტერვენციის მიუხედავად, ქუჩის და შენობათა გაბარიტების შესაბამისობა ძირითად დაცულია.
- ცვლილება განიცადა განაშენიანების არქიტექტურულ-მხატვრულმა სახემ. მასშტაბის შესაბამისობასთან ერთად საჭიროა ინტერვენციის

ხარისხის განმსაზღვრელი სხვადასხვა კომპონენტების დაცვა, რათა მიღწეულ იქნას არსებულ განაშენიანებასთან შესაბამისობა.

- ისტორიულ განაშენიანებაში ულტრათანამედროვე ნაგებობის ჩართვისას აუცილებელია შეზღუდვები, რათა თანამედროვე შენობათა იმპლატანციამ არ შექმნას აგრესიულად გაბატონების საშიშროება არსებულ ისტორიულ და მხატვრულად ღირებულ გარემოში.

III თავი

სოლოლაკში ლანდშაფტის არქიტექტურის მნიშვნელობა. პრობლემათა რანგირება

3.1. სოლოლაკში მცირე სარეკრეაციო სივრცეების და გამწვანების პრობლემის ანალიზი

სოლოლაკის ისტორიულ უბანში ინტერვენციის საკითხებთან ერთად პრობლემურია მცირე სარეკრეაციო სივრცეების არსებობის საკითხი. ეს საკითხი იმდენადაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ლანდშაფტის არქიტექტურა უბნის ესთეტიკის, მისი ჰუმანიზაციის, არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. საინტერესოდ მივიჩნეთ გაგვეანალიზებინა სოლოლაკის უბანი, რადგან ლოგიკურად, სამეფო ბაღების ადგილას გაშენებულ უბანში აღნიშნული პრობლემა არ უნდა არსებულიყო. მიუხედავად ამისა, მცირე სარეკრეაციო სივრცეების დეფიციტი აქ ნამდვილად შესამჩნევია. ამდენად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გარკვეული დოზით ქალაქგეგმარებითი მეთოდოლოგიით სარგებლობა და რიცხობრივი მაჩვენებლებით ანუ უფრო ზუსტი კვლევით და არა მხოლოდ ვიზუალურ-ესთეტიკური მსჯელობით გავაკეთეთ დასკვნები.

ისტორიული წყაროების მიხედვით ფეოდალურ ხანაში თბილისს გარს ერტყა ბაღები (მათ შორის სოლოლაკისა), ევროპულ ყაიდაზე კი თბილისის გამწვანებისა და საპარკო–რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირება XIX საუკუნიდან დაიწყო. ამაზე მთავარმართებლის სასახლესთან არსებული ბაღიც მეტყველებს. სწორედ ამ პერიოდში მიიღო საზოგადოებრივი ბაღის სახე ბოტანიკურმა ბაღმა, რომლის ნაწილი სოლოლაკის სამხრეთ ფერდობზეა შეფენილი.

თბილისს, დასაბამიდან რთულ რელიეფზე მორგებულ, თვითმყოფადი სივრცითი სტრუქტურის მქონე ქალაქს, რომელსაც რელიეფი განაშენიანებასთან ერთად მხატვრულ მთლიანობას უქმნიდა, გამწვანებული შიდა ეზოების სისტემა მის უბნებს კიდევ უფრო

კოლორიტულობას მატებდა. ეს დამოკიდებულება ახასიათებს სოლოლაკსაც.

საბჭოთა პერიოდში გამწვანების საკითხისადმი საგანგებო მიდგომა აისახა საზოგადოებრივი სივრცეების (პარკების, სკვერების, ქუჩების) კეთილმოწყობაში.

სოლოლაკის უბანს სამხრეთით საზღვრავს „ბოტანიკური ბაღი“, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს და ბუნებრივადაა შერწყმული ძველ თბილისთან. იგი საუკუნეების მანძილზე ქალაქთან ერთად ვითარდებოდა, თანადროულ ფუნქციას იძენდა და დღესაც ინარჩუნებს უნიკალური მცენარეებით ჰაერის გაჯანსაღების ფუნქციას. იგი ქალაქის ფილტვებია. თუმცა, ეს რა თქმა უნდა საკმარისი არ არის.

დღევანდელ დღეს სიტუაცია გარკვეულწილად შეცვლილია. თბილისში ხშირია შემთხვევები, როცა სპეციალისტთა დასკვნების გარეშე ხდება ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს ქალაქის ლანდშაფტზე. არსებული გამწვანებული სივრცეების ადგილას, სრულიად გაუმართლებლად ხდება ინტენსიური განაშენიანება.

სოლოლაკში გარდა გამწვანების პრობლემისა, დგას საზოგადოებრივი სივრცეების დეფიციტის საკითხი. აქ არსებული მცირე ზომის რამდენიმე სკვერი, მოსახლეობის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. მაგ. ივანე მაჩაბლის ქ. №3–თან არსებული მცირე მოცულობის სკვერი (სურ.38); სულხან–საბას ქ.-ის ბოლოს არსებული მცირე ზომის სკვერი და სპორტული მოედანი (სურ.39); ამაღლების ქუჩის ბოლოს არსებული ბაღი - გამწვანებული სარეკრეაციო სივრცე კი, მიუხედავად მაცხოვრებელთა პროტესტისა, დღეს გასასხვისებლად არის განწირული (სურ.41).

ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ტენდენცია სოლოლაკის კაფე–ბარებით, სასტუმროებით, საოფისე ნაგებობებით დატვირთვისა. ეს განსაკუთრებით ეხება გალაკტიონ ტაბიძის ქუჩას, რომელიც ძირითადად კომერციული მიზნებისთვისაა გათვლილი. გალაკტიონ ტაბიძის ქ. №6–თან მდებარე

მომცრო ზომის კაფე–სკვერი ასეთი დატვირთვის მატარებელია. უბნის გარკვეული ნაწილების ასეთი გამოცოცხლება შეიძლება დადებითად ჩაითვალოს, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს ჰუმანური გარემოსა და დასვენების ზონის შექმნის თვალსაზრისით ვერ უზრუნველყოფს (სურ.40).

არასაკმარისია ასევე გამწვანების ინტენსივობა. სოლოლაკის ზოგიერთ ეზოში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ის მწვანე ნარგავები, რომლებიც ჯერჯერობით მოსახლეობის მიერ მანქანების სადგომად ათვისებას და ისტორიულ შენობებზე უსახურ მიშენებებს გადაურჩა. მაგრამ შემორჩენილი მცირე ფრაგმენტები, ვერ უზრუნველყოფს გამწვანების და ესთეტიზაციის ფაქტორს. სასურველია, უბნის მასშტაბის ერთიანი სარეკრეაციო სივრცის შექმნა უბნის ჰუმანიზაციისა და ამავდროულად სივრცის კომპოზიციური მრავალფეროვნებისთვის. ამას მნიშვნელოვნად განაპირობებს სივრცული ჩანართები ლანაფტური არქიტექტურის სახით. აღნიშნული ფაქტორის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის მაგალითები, რაც შემდეგ ქვეთავში გვაქვს განხილული.

გამწვანების საკითხისადმი დამოკიდებულება და არსებული დეფიციტი რიცხობრივად მტკიცდება. ცნობილია, რომ სხვადასხვა ქალაქებში სიმწვანის კოეფიციენტიც განსხვავებულია. გამწვანების მაჩვენებელს სხვადასხვა ორგანიზაციები ზომავენ და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში იგი სხვადასხვაა.

გამწვანების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასებისთვის მივმართეთ ოფიციალურ მონაცემებს. ევროპული სტანდართით გამწვანება 1 სულ მოსახლეზე 12–14 მ^2–ია , მინიმუმ 9 მ^2.

(მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით (World Health Organization (WHO), სასურველია ერთ სულ მოსახლეზე გამწვანება იყოს მინიმუმ 9 მ^2. განვითარებულ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე გამწვანების საშუალო მაჩვენებელი 35,5 მ^2 –ია [31]. მონაცემები ქვეყნების სხვადასხვა

ქალაქებში განსხვავებულია, მერყეობს 27 მ² –დან (ლონდონი) –120 მ²–მდე (ვენა) შუალედში [17]. კანონის შესაბამისად, 1 სულ მოსახლეზე გამწვანების მაჩვენებლის განსაზღვრისას ზოგან გათვალისწინებულია მხოლოდ ქალაქის საზღვრებში არსებული, ზოგან კი ქალაქის შემოგარენის გამწვანებაც. ჯანდაცვის ორგანიზაციის 2001 წლის მონაცემებით, ჩვენს დედაქალაქში გამწვანების მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე იყო 5,6 მ². უფრო ადრე, საბჭოთა პერიოდში 13 მ², ხოლო დღეს 2-დან 4 მ² –მდე მერყეობს [31]. ამგვარი კლების ტენდენცია ნამდვილად არასახარბიელო და პრობლემატურია ქალაქისთვის).

ვფიქრობთ, სოლოლაკში არსებული ზოგიერთი ტერიტორია, სასურველი იქნებოდა გამოყენებული ყოფილიყო სარეკრეაციო გამწვანებულ სივრცედ. გამწვანებისთვის ტერიტორიის აღდგენა–განახლების შესაძლებლობები და შეძლებისდაგვარად ისტორიულ ტერიტორიაზე ახალი ფართობის მოძიება გამწვანებული სკვერების შესაქმნელად, როგორც მთელი ქალაქის, ასევე ამ უბნის მოსახლეობის ეკოლოგიური გაჯანსაღების, დასვენებისა და კომუნიკაციისთვის სასურველი და აუცილებელია. ამასთანავე მიმზიდველი იქნება ამ უბნით დაინტერესებული ფართო ტურისტული სპექტრისთვის.

ვფიქრობთ, ისტორიულ უბანში თანამედროვე შენობების მიმდებარედ, რომლებიც ასე თუ ისე შეუფერებელია ისტორიული უბნისთვის, ასევე იმ ავარიული შენობების ადგილას (ეს არ ეხება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, რომლებიც რეაბილიტაციას საჭიროებენ), რომლებიც რეაბილიტაციას აღარ ექვემდებარება, სასურველია შეიქმნას სარეკრეაციო ზონები, მწვანე საფარიანი სკვერები, ბავშვთა სათამაშო სივრცე, რაც განკუთვნილი იქნება სხვადასხვა ასაკის ადამიანთა დასვენებისა თუ კომუნიკაციისთვის.

ჩვენი მოსაზრების განსამტკიცებლად და დღესდღეობით სოლოლაკში არსებული გამწვანების მაჩვენებლის დასადგენად, უბანი დავყავით კვარტლებად (გეგმა 9). თითოეულ კვარტალში ჩავატარეთ

არქიტექტურული კვლევა და სისტემურ–სტრუქტურული ანალიზი, რაც რიცხობრივი მაჩვენებლით გავამყარეთ. (ცხრილი1, ექსპლიკაცია 2).

სრულყოფილი სურათის წარმოსადგენად, 1 სულ მაცხოვრებელზე გამწვანებული ფართობის დასადგენად, საჭირო გახდა კვარტლებისთვის ფართობის, განაშენიანების ფართის, მაცხოვრებელთა რაოდენობის გამოთვლა. ჩვენს მიერ მიღებული კვლევითი კომპონენტები შევადარეთ უკვე დადგენილს.

ინტერაქტიული რუკის მიხედვით გამწვანება საერთოდ არ არის დ. ჭონქაძის - გ. ლორთქიფანიძის - პ. იაშვილის ქუჩების და ამაღლების შესახვევს შორის არსებულ ტერირორიაზე (№12); მინიმალური მაჩვენებელი ფიქსირდება კვარტალში, რომელიც მოიცავს ტერიტორიას ქვემოთ მოყვანილ ცხრილში აღნიშნულ ქუჩებს შორის :

№3 გ. ლეონიძის, ი. მაჩაბლის, მ. ლერმონტოვის და გ. ტაბიძის ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.				
კვარტალის სრული ფართობი 16232 . 34 მ²	განაშენ. ფართი 10783. 5 მ²	განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) საანგარიშო ფართი 22914. 06 მ²	გამწვან. ფართიმ² 50 მ²	მცხოვრ. მოსახლეობა 258 (431–შემოსული მომსახურე პერსონ. ჩათვლით)
გამწვანებული ტერიტორიის ოდენობა 1 სულ მოსახლეზე 0.19; (0.11)მ².				

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა კვარტალში, რომელიც მოიცავს ტერიტორიას ქვემოთ მოყვანილ ცხრილში აღნიშნულ ქუჩებს შორის:

გ. ლორთქიფანიძის, ი. მაჩაბლის, ლ. ასათიანის და გ. ქიქოძის ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.				
კვარტალის სრული ფართობი 15585. 5 მ²	განაშენ. ფართი 9852 . 2 მ²	განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) საანგარიშო ფართი 25715 . 4 მ²	გამწვან. ფართი 790 მ²	მცხოვრ. მოსახლეობა 211 (352–შემოსული მომსახურე პერსონ. ჩათვლით)
გამწვანებული ტერიტორიის ოდენობა 1 სულ მოსახლეზე 3.7; (2.27)მ².				

ჩვენი კვლევის შედეგად, გამწვანების მაჩვენებლი 1 სულ მოსახლეზე სოლოლაკის კვარტლებში 0 $მ^2$ – დან 5.5 $მ^2$–მდე მერყეობს და ჩამორჩება ევროპულ სტანდარტს.

კვლევის მიხედვით ნათელია, რომ სოლოლაკში გამწვანების თვალსაზრისით დღესდღეობით არასახარბიელო მდგომარეობაა. მიუხედავად სოლოლაკის მწვანე ნარგავებიანი ფერდობის ძირას მდებარეობისა და მთაწმინდის კალთით შემოფარგვლისა მიგვაჩნია, რომ ეს საკმარისი არ არის მთელი უბნის ეკოლოგიური სიჯანსაღისთვის, ტრანსპორტით აქტიურად დატვირთული ქუჩების (განსაკუთრებით ლ. ასათიანის, ამაღლების, გ. ლეონიძის) პირობებში. ამავდროულად სოლოლაკი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განიცდის სარეკრეაციო ტერიტორიების დეფიციტს. სოლოლაკში არსებული ურბანული შესაძლებლობები არ არის საკმარისად გამოყენებული.

სადისერტაციო ნაშრომის დასრულების შემდეგ, გარემოს დაცვის კომიტეტის მიერ გასაჯაროებული იქნა გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე თემატური ჯგუფის მიერ გამოცემული რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც შეიძლება აიკრძალოს მანქანით გადაადგილება თბილისის ძველ უბნებში, მათ შორის სოლოლაკშიც. ეს გადაწყვეტილება ნაწილობრივ ემთხვევა ჩვენს მიერ დასკნით ნაწილში გაჟღერებულ მოსაზრებას.

მოვიყვანთ ამონარიდს დოკუმენტიდან: “თბილისის ძველ უბნებში (მაგალითად, სოლოლაკი), რომლებიც გამოირჩევა ინტენსიური დასახლებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებითა და საცობებით, თან, ტურისტულად მიმზიდველია, აიკრძალოს ყველანაირი ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაადგილება. გამონაკლისი შეიძლება იყოს ადგილობრივი მოსახლეობის ჰიბრიდული და ელექტრო ტრანსპორტი” [32].

ამ ინიციატივას მიწათსარგებლობის განახლებული გენგეგმის ჯგუფი ეთანხმება და როგორც “სითი ინსტიტუტი საქართველოს” დირექტორი მ. სალუქვაძე აღნიშნავს, მათთან რეკომენდაციის საფუძველზე მერიის მიერ

იგეგმება ცვლილებები. მისი აზრით, ისტორიულ უბნებში ავტოტრანსპორტით გადატვირთული გზები საფრთხის შემცველია როგორც ამორტიზებული შენობებისთვის, ასევე ფეხით მოსიარულე მოსახლეობისა და ტურისტული სპექტრისთვის.

3.2. პრობლემების გადაწყვეტის გზები საზღვარგარეთ და შედარება თბილისთან

მსოფლიო და ზოგადად დიდი ქალაქები დღეს საყოველთაოდ მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგანან, რაც გამოიხატება გამწვანებული ფართობის და ხალხის ურთიერთობებისთვის განკუთვნილი ტერიტორიის ნაკლებობაში. სხვადასხვა ქალაქები ამ პრობლემის გადაჭრის გზებს სხვადასხვაგვარად ხედავენ და ანხორციელებენ.

ისტორიული წყაროებიდან ნათელია, რომ ადამიანთა ურთიერთობისთვის საჭირო ადგილების თუ საბაღე – საპარკო ხელოვნების ისტორიული ჩამოყალიბება ჯერ კიდევ ცივილიზაციის განვითარების ადრეულ საფეხურზე დაიწყო და სხვადასხვა ფორმით ვითარდებოდა. ყველა დროში მნიშვნელოვან ქალაქებში არსებობდა ამგვარი თავშეყრის ადგილები ურთიერთობისა და სხვადასხვა საკითხების განსჯისთვის. ასეთი იყო ანტიკურ საბერძნეთში – ათენის აგორა, ანტიკურ რომში - ფორუმი, ხოლო შუასაუკუნეების და შემდგომი პერიოდის ევროპაში თავშეყრის ადგილს მოედნები წარმოადგენდა, პარიზში გაზეთების გაჩენამდე, ქალაქის მოსახლეობა ერთმანეთს ახალი ამბების განსახილველად ახალ ხიდზე (Pont Neuf) ხვდებოდა.

ევროპაში საზოგადოებისთვის განკუთვნილი დიდი მოედნების გამწვანებულ ურბანულ ღია სივრცეებად ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინგლისმა მე-17 - მე-18

საუკუნეებში. აღსანიშნავია, რომ ლონდონი დღესაც ერთ-ერთ ყველაზე მწვანე დედაქალაქად რჩება. თბილისში ასეთი დანიშნულების ადგილი ქალაქის ცენტრში მდებარეობდა და მას „სალაყბო“ ეწოდებოდა.

მოსახლეობას ყველა დროში სჭირდება ურთიერთობისთვის თავშეყრის ადგილი, საჯარო სივრცე, პარკი, სკვერი თუ რეკრეაციული ტერიტორია. უმეტეს დიდ ქალაქებში გაცნობიერებულია, რომ აუცილებელია სივრცეების ქონა თავისუფალი, არაინსტიტუციონალური საზოგადოებრივი ურთიერთობებისთვის. ისინი თავისებური ხედვით წყვეტენ ამ პრობლემას, საზოგადოების და ქალაქის მოთხოვნის და ინტერესებიდან გამომდინარე.

დღევანდელ დღეს დიდ ქალაქებში სხვადასხვა ფუნქციის, მასშტაბისა და დანიშნულების მქონე სარეკრეაციო ტერიტორიების არსებობის მრავალი საინტერესო მაგალითია. პარკების მრავალფეროვნებას და ინდივიდუალობას მათი ადგილმდებარეობა და მასშტაბები განაპირობებს. მოვიშველიებთ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების მაგალითებს.

დიდ ბრიტანეთში ასეთი ხედვის საუკეთესო მაგალითია ლონდონის ცნობილი „ჰაიდ პარკი“. ჰამბურგი და კოპენჰაგენი გამწვანებული ტერიტორიის მიხედვით, მსოფლიოს ქალაქებს შორის საცხოვრებლად საუკეთესო ქალაქადაა დასახელებული.

ცნობილია „გრამერსი პარკი“ (ნიუ–იორკი) მანჰეტენზე, რომელიც ნაჭაობარ ტერიტორიაზე მოეწყო, შემდეგ კი მიმდებარედ საცხოვრებელი კვარტალი გაშენდა; მანჰეტენზე (ნიუ–იორკი) გადაჭიმული ხელოვნურად შექმნილი „ცენტრალ პარკის“ დიდი ნაწილი ბუნებრივად გამოიყურება. „Freshkills“ პარკი (ამერიკაში, ნიუ-იორკი) ყოფილ ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე მდებარეობს (8.9 მ2. XIX საუკუნე) [34]. პარკი „მილენიუმი“ – სარკინიგზო დეპოების და ავტოსადგომის ადგილასაა გაშენებული. „სილეზიის პარკი“ (ხუჟოვი, პოლონეთი, 1955წ. [35]), წიდების გროვების, უკანონო მაღაროების და ნაგავსაყრელებისაგან გამონთავისუფლებულ ტრიტორიაზეა განთავსებული.

დიდი მასშტაბის გამწვანების მაგალითია ლისაბონის მონსანტოს ტყე–პარკი (1000 ჰექტარ ფართობზე), რომელიც მთელი ლისაბონის მასშტაბისთვის ფილტვების ფუნქციას ასრულებს. ტყეების უზარმაზარი ფართობი, ჟანგბადით ავსებს ქალაქს და ხელს უწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობით მოსახლეობის გაჯანსაღებას. პარკის დაცული ტყე, კლიმატისა და გეოგრაფიული მახასიათებლების გამო გამორჩეულია განსაკუთრებული ფლორით და ფაუნით, იშვიათი ხის ჯიშებით და ველური ცხოველებით, რაც საინტერესო ეკოსისტემას ქმნის. მონსანტოს ეკოლოგიური პარკი, რომელიც ტყეში მდებარეობს, ლისაბონის ეკოლოგიურ პარკად იხსენიება. სხვადასხვა გასართობებთან ერთად პარკში ასევე არის საგამოფენო სივრცე, აუდიტორია, მულტიმედიური რესურსების ცენტრი და ა.შ. ეკოლოგიური დანიშნულების პარკის მიზანია, სტუმრებმა გაიცნონ პარკის გეოლოგიური, კლიმატური და ფლორის და ფაუნის მრავალფეროვნება.

მრავალფეროვანია სხვადასხვა გარემოში მცირე მასშტაბის სარეკრეაციო სივრცეების გადაწყვეტა.

მრავალფუნქციურ, შედარებით მცირე ტერიტორიაზე განთავსებულ, გამწვანებულ სივრცეებზე საუბრისას საგულისხმოა ასევე ლისაბონის მაგალითი, სადაც უხვადაა ასეთი პარკები, სკვერები, მირადორები.

ლისაბონის მირადორები, ანუ შემაღლებულ ადგილებზე არსებული გადმოსახედი ქალაქზე (სურ.42), საიდანაც შესანიშნავი ხედები იშლება მდინარე ტეჟუს მიმართულებით სკვერის და დასვენების ადგილის ფუნქციას ითავსებენ. ეს ერთგვარი გამწვანებული ტერასები, მცირე კიოსკის ტიპის კაფეებით და ცოცხალი მუსიკით ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ტურისტებს იზიდავს. ერთ-ერთი ასეთი მირადორია ბაირო-ალტოზე არსებული „სან პედრო დე ალკანტარა“, რომელიც ამ უბნისთვის ფილტვებივითაა, ისევე როგორც უბნის გარშემო არსებული სხვა სკვერები და მირადორები. თუმცა მისი მნიშვნელობა ერთი

უბნის სკვერის ფარგლებს სცდება მრავალფეროვანი დატვირთვიდან და ცენტრალური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე.

უფრო ლოკალური, უბნის შიდა დატვირთვის ხასიათისაა გრასაზე არსებული სკვერი. ციტრუსებით და მწვანე საფარით დაფარული ტერასული ხასიათის ლანდშაფტი, გონივრულადაა ზონირებული ყველა ასაკის ადგილობრივი მობინადრეებისთვის. კიოსკი-კაფე, საბავშვო სივრცე, სპორტული ბილიკები, მოლი, აქტიური და პასიური მრავალფეროვანი დასვენების საშუალებას იძლევა.

პარკების მრავალფეროვნებას და ინდივიდუალობას მათი ადგილმდებარეობა და მასშტაბები განაპირობებს. შენობის სახურავზე პარკის მოწყობის საინტერესო და ორიგინალურ გადაწყვეტას ვხვდებით ქ. ხერტოგენბოში (ჰოლანდია, ნიდერლანდები). მდინარე დომელის სანაპიროზე, კუთხოვანი ფორმის მქონე შენობის მასიურ სახურავზე მოწყობილია „რუფტოფ პარკი“ (სურ.43). მისი დიზაინი მარადმწვანე მცენარეებით და სპეციალურად შენობისთვის შექმნილი დაჟანგული ფოლადის შეფერილობის ფილებითაა მოპირკეთებული. ქალაქის ისტორიულ ნაწილში შენარჩუნებული ძველი კარიბჭის და ციხესიმაგრის ნაშთები უფრო საინტერესოს ხდის ტერიტორიას და შენობის თავზე მოწყობილ საზოგადოებრივი დანიშნულების სკვერს. ეს კეთილმოწყობილი სივრცე საყვარელი ადგილია როგორც ტურისტების, ისე ადგილობრივი მოსახლეობისთვის. (პროექტი განახორციელა ვან როსმალენ ვან გესსელ არქიტექტურულმა ჯგუფმა, 2015 წ.)

ქალაქისთვის თავისი დანიშნულებით მნიშვნელოვანია „ჯიბის პარკები“. ეს მცირე ზომის მინი პარკები, გამწვანებულ ჩაკეტილ სივრცეს მოცავს საცხოვრებელ განაშენიანების ზონაში და კონკრეტულ ტერიტორიას ჟანგბადით და გასართობი თუ დასასვენებელი ადგილის ფუნქციით უზრუნველყოფს. ერთ-ერთი მაგალითია ე.წ. ჯიბის პარკის საინტერესოდ გადაწყვეტა ქ. ტექსარკანაში (სურ 44; არკანზასი), სადაც შენობის მოხატული კედლები დასვენებისთვის სასიამოვნო სივრცის შექმნას უწყობს ხელს.

ჰაერის გაჯანსაღების, ადამიანთა დასვენების და მრავალმხრივი გართობისთვის, სხვადასხვა ქალაქებში ასევე არსებობს განსხვავებული რეკრეაციული ტერიტორიები, რომლებიც მოიცავენ მრავალფეროვან ბუნებრივ და კულტურულ კომპლექსებს. ჯანსაღი და სრულფასოვანი ცხოვრებისთვის ყოველ მაცხოვრებელზე გარკვეული ფართობის სივრცე მოიაზრება. ეს სივრცე შესაძლოა იყოს ბაღი, პარკი ან მხოლოდ გამწვანებული ტერიტორია. ასევე გასათვალისწინებელია, რომ არსებულმა სიახლეებმა უარყოფითად არ იმოქმედოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.

მსოფლიოში (განსაკუთრებით იქ, სადაც ტერიტორიის ნაკლებობაა), ეკო სისტემის გასაუმჯობესებლად, ბოლო პერიოდში ფართოდ გამოიყენება მწვანე ურბანიზმი. ე.წ. „ცოცხალ კედელი“ – ვერტიკალური ბაღი ახალი ინოვაციური იდეების შედეგია და გამოიყენება როგორც ექსტერიერზე (სახურავი, კედლები), ასევე ინტერიერში [37].

თბილისშიც რა თქმა უნდა გვაქვს ქალაქის მასშტაბის შესაბამისი პარკები, ასევე მცირე ზომის სარეკრეაციო ტერიტორიები და სკვერები (მცირე სკვერები ძირითადად ახალ უბნებშია), მაგრამ ისინი მრავალფუნქციური დატვირთვით და დანიშნულებით ჩამოუვარდებიან უცხოეთის მცირე სარეკრეაციო სივრცეებს.

თბილისში არსებული მასშტაბური პარკებიდან აღსანიშნავია: **თბილისის ბოტანიკური ბაღი**, ყოფილი სამეფო ბაღი, სოლოლაკის ქედის სამხრეთით, მდინარე წავკისის წყლის, ლეღვთახევის ხეობაში (ფართობია 128 000 ჰა.) [39].

მთაწმინდის პლატო, თრიალეთის ქედის აღმოსავლეთი შტოქედის დაბოლოება (შედის თბილისის ფარგლებში). მისი სიმაღლე 770 მ. სიმაღლეზე მდებარეობს და თბილისის ყველაზე მაღალი წერტილია. XIX საუკუნის დასაწყისამდე მთაწმინდა ტყით იყო შემოსილი. ახლანდელი ტყე ხელოვნურია. პლატოზე გაშენებულია კულტურისა და დასვენების პარკი.

“მთაწმინდის პარკი” გართობისა და დასვენებისათვის განკუთვნილი ადგილია [38].

ვაკის პარკი — თრიალეთის ქედის ფერდობზე მდებარე პარკი. მისი მშენებლობა XX საუკუნის შუა წლებში დაიწყო. მწვანე ზოლს 200 ჰექტარი უჭირავს [40].

რიყის პარკი —ძველი თბილისის საინტერესო ისტორიის მქონე ერთ-ერთ უბანიშია, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე. გვიანდელ შუა საუკუნეებში რიყედ იწოდა მტკვრის მარცხენა სანაპირო ზოლი, XVII საუკუნეში რიყე საასპარეზო ადგილი იყო. აქ იყო ბაზარი, ქარვასლა, სახელოსნოები. XX საუკუნის 70-იან წლებში ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით რიყის ძველი ნაგებობები აიღეს და ტერიტორია თანამედროვე არქიტექტურული ნაგებობებით შეივსო, რაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

მუშტაიდის ბაღი – გააშენა 1830-იან წლებში ირანიდან გამოქცეულმა მირ ფეთეაღა სეიდ თავრიზიმ.

მზიურის პარკი – ზღაპრების გმირებით დასახლებული სამყარო. თუმცა, სამწუხაროდ დღეს, სხვა გამწვანებული ტერიტორიების მსგავსად, მის გარკვეულ ნაწილს, ქაოტური სამშენებლო სტიქია ემუქრება. ასევე არის სხვა პარკებიც.

თბილისში ამჟამად მოიმატა გარკვეულ ტერიტორიაზე (ძირითადად ახალ უბნებში) სხვადასხვა დატვირთვის მქონე გამწვანებული სივრცის და სკვერების მოწყობის ტენდენციამ (სურ.45). მიუხედავად ამისა, ჩვენთან არსებული სხვადასხვა მოცულობის სკვერები დატვირთვით მოსახლეობის მოთხოვნებს ნაკლებად აკმაყოფილებენ. ძველ უბანში მირადორის მსგავს ფუნქციას ითავსებს ბეთლემის კიბის თავზე არსებული ტერასა-გადმოსახედი, სადაც ბუნებრივად დამრეც ლანდშაფტზე ტერასულად მოწყობილი სივრციდან იშლება თბილისის ხედი (სურ.46). სამწუხაროდ, თბილისის ისტორიულ უბნებში და მათ შორის სოლოლაკში არ არის გამოყენებული მირადორების შექმნისთვის არსებული ურბანული შესაძლებლობები. მიუხედავად ჩვენი ქალაქის ბუნებრივი რესურსებისა ამ

მიმართულებით, სხვადასხვა მიზეზთა გამო მრავალფეროვანი დანიშნულების, გამწვანებული სკვერების მოწყობა კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება.

ანალიზის შედეგად სოლოლაკისა და სხვა პარადიგმების შედარების საფუძველზე შეიძლება **დავასკვნათ:**

- მწვანე ლანდშაფტის სწორად და გამიზნულად გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკოლოგიური გაჯანსაღების, უბნის არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულების და მაცხოვრებელთა კომუნიკაციისთვის.
- შესამუშავებელია სტანდარტები, რომლთა მიხედვით ისტორიულ უბნებში მიღწეულ იქნება დღევანდელზე უფრო მაღალი გამწვანების მაჩვენებელი.
- სასურველია უბანში გაჩნდეს გამწვანებული სარეკრეაციო ზონები, რაც გარემოს ჰუმანიზაციას შეუწყობს ხელს.

3.3 სოლოლაკის პრობლემების რანგირება მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე

სოლოლაკში, ისევე როგორც თბილისის სხვა ისტორიულ უბნებში, დღეს აქტუალურ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ-მხატვრულ ღირებულების შენარჩუნების და გამწვანებული სივრცის არსებობის საკითხთან ერთად, არანაკლებ პრობლემურია აქ მცოვრებ ადამიანთა საყოფაცხოვრებო გარემო პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

მოსახლეობის ინტერესი ამ მიმართულებით დამოკიდებულია ინვესტორის ინტერესზე, რაც ხშირ შემთხვევაში მოგების მიზნებიდან

გამომდინარე, ისტორიულ გარემოზე არასახარბიელო დამოკიდებულებაში ვლინდება.

თვითნებური ჩარევები მოსახლეობის მხრიდან ერთი მხრივ დიდ ხარჯებს მოითხოვს, რაც მაცხოვრებელთა უმეტესობისთვის მიუწვდომელია. მეორე მხრივ არსებული ისტორიული გარემოს შესაძლო დაზიანებიდან გამომდინარე, სხვადასხვა პრობლემის მომცველია.

არსებული მდგომარეობის გასაანალიზებლად ჩავატარეთ ზეპირი გამოკითხვა უბნის მაცხოვრებლებთან. რესპოდენტები სხვადასხვა ასაკის, სოციალური სტატუსის, სქესის და ეროვნების მაცხოვრებლები იყვნენ. ასევე განსხვავებულია ამ უბანში მათი ცხოვრების პერიოდი.

მოსახლეობის უმეტესობა აღნიშნავს, რომ აწუხებს თანამედროვე იერსახის შენობებით თუ შეუსაბამო რეკონსტრუქციით გამოწვეული ისტორიულ უბნის სახეშეცვლა, ვიწრო ქუჩებზე ტრანსპორტის ხშირი მიმოსვლა, რაც აზიანებს ისედაც ამორტიზირებულ შენობებს.

თბილისი ოდითგან ურთიერთობათა ქალაქი იყო, მოქალაქეთა სითბო და სიყვარული მათი ურთიერთობებისას ყალიბდებოდა, დღეს ამ ურთიერთობებს სევდანარევი მონატრებით იხსენებს ქალაქის ძირძველი მოსახლეობა.

სოლოლაკის უბნის მცხოვრებთა პრობლემა ისიცაა, რომ მცირეა დასასვენებელი ადგილი, ისეთი მწვანე სივრცე, სადაც სულიერად დამშვიდდებიან, გაერთობიან, გაუზიარებენ ერთმანეთს შეხედულებებს სხვადასხვა საკითხებზე. აქ არსებული კაფე–სკვერები მოსახლეობის უმეტესობისთვის ეკონომიკურად მიუწვდომელია.

მოსახლეობის აზრით თანამედროვე ცვლილებები აუცილებელია, მაგრამ პრობლემატური და მნიშვნელოვანია, რომ ისტორიულმა უბანმა მაქსიმალურად შეინარჩუნოს როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული არქიტექტურული ღირებულება, ასევე ტრადიციული ურთიერთობები და იმავდროულად უზრუნველყოფილი იქნას მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების პირობები.

გამოკითხულია 250 მაცხოვრებელი		ადამიანთა რაოდენობა	%
ქალაქის სხვა უბნებში კომფორტული პირობების შემოთავაზების შემთხვევ. დატოვებდით თუ არა უბანს?	ა)არა	193	77%
	ბ)კი	57	23%
ყველაზე დიდი პრობლემა რაც თქვენს უბანს გააჩნია?	ა)შნობების ამორტიზაცია	175	70%
	ბ) ტრანსპორტი	47	18.8%
	გ) სკვერების ნაკლებობა	28	11.2%
არის თუ არა მისაღები თანამედროვე არქიტექტურის ინტერვენცია თქვენს უბანში?	ა)არა	183	73%
	ბ)კი	67	27%
რა აზრის ხართ უბანში განხორციელებულ ახალმშენებლობებზე?	ა)კომფორტულია და ჰარმონიულად ინტეგრირირებულია ძველთან.	23	9.2%
	ბ)კომფორტულია, მაგრამ აზიანებს არსებულ ლანდშაფტს და უბნის იერსახეს.	215	86%
	გ) არ არის კომფორტული და აზიანებს უბნის იერსახეს.	12	4.8%

მიღებული შედეგებიდან გამოიკვეთა პრობლემათა რიგი შემდეგი თანმიმდევრობით:

1) უბანში განხორციელებული ახალმშენებლობები საცხოვრებლად კომფორტულია, მაგრამ აზიანებს არსებულ ლანდშაფტს და უბნის იერსახეს მოსახლეობის 86 %-ისთვის.

2) მოსახლეობის მხრიდან თანამედროვე იერსახის შენობების მიმართ ისტორიულ უბანში არასახარბიელო დამოკიდებულებაა 73 %-ისთვის.

3) მოსახლეობისთვის მტკივნეული თემაა ისტორიული უბნის დატოვება, უკეთესი საცხოვრებელი პირობების შეთავაზების შემთხვევაშიც კი - 77 %.

4) აღნიშნული კითხვებიდან შენობათა ამორტიზაცია პრობლემას უქმნის მოსახლეობის უმეტესობას, მათ 70 %.

5) თანამედროვე არქიტექტურის ინტერვენცია მისაღებია მცხოვრებთა 27 %- სთვის.

6) კომფორტული პირობების შემოთავაზების შემთხვევაში უბანს

დატოვებდა 23 %.

7) ტრანსპორტის სიხშირე ყველაზე დიდი პრობლემაა მოსახლეობის 18.8 %- სთვის.

8) გამწვანების და სკვერების ნაკლებობა პრობლემაა მოსახლეობის 11.2 %-სთვის.

9) უბანში განხორციელებულ ახალმშენებლობები კომფორტულია 9.2 %-სთვის.

10) ახალმშენებლობები კომფორტულია და არ აზიანებს უბნის იერსახეს 4.8 %-სთვის.

დისერტაციაში კვლევის და ანალიზის შედეგები ჩამოყალიბდა შემაჯამებელი დასკვნების სახით:

კვლევის პროცესში გამოვლინდა დღესდღეობით სოლოლაკში არსებული პრობლემები, რაც მოითხოვს რაციონალურ არქიტექტურულ-ურბანულ გადაწყვეტილებებს.

1) სოლოლაკის ურბანული რეგულარული ხასიათი ჩასახვიდან - მე-19 ს-იდან დღემდე ფაქტობრივად უცვლელი სახითაა შენარჩუნებული, განაშენიანების ხასიათი ძირითადად განსაზღვრული იყო მე-20 ს-ის დასაწყისისთვის და იმ ნიშან-თვისებების მატარებელი იყო, რაც მისი ფორმირების პერიოდში XIX ს-ის შუა წლებიდან XX ს-ის პირველ ათწლეულში გავრცელდა თბილისში. მდიდარი სოციალური ფენისთვის შექმნილი საცხოვრებელი სახლების არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით (რაც ემყარებოდა ევროპული სტილების შერწყმას ადგილობრივ ნიშან-თვისებებთან) მიღებული თითოეული ქუჩის ინდივიდუალური ხასიათი, ძირითადად დღესაც შენარჩუნებულია. ადრე უპირატესად საცხოვრებელ უბანში მიმდინარე საუკუნეში გაიზარდა კომერციული, საოფისე დანიშნულების სათავსოთა წილი.

2) კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქუჩების განწყობის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი მაჩვენებელია ქუჩის განაშენიანების მასშტაბი (ქუჩის მოპირდაპირე შენობათა შორის მანძილისა და შენობათა სიმაღლის (ე.წ. “skyline”–ის) მიხედვით თანაფარდობა.

3) სოლოლაკის ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებულ ქუჩათა განაშენიანებაში, რომელთაც ინდივიდუალური არქიტექტურულ-მხატვრული ხასიათი აქვთ, გამოვლინდა ინტერვენციის სხვადსხვა ხარისხის მაგალითები. როგორც კვლევამ გვიჩვენა მასშტაბით (განაშენიანების ე.წ. “skyline”–ის გათვალისწინებით) არცერთი ახალი შენობა არ აჭარბებს ისტორიულად არსებულ დამოკიდებულებას. (გარდა ლ. ასათიანის №36 ა.), განსაკუთრებით უხეში დარღვევები შენობათა გაბარიტების მხრივ არ არის, თუმცა მხოლოდ მასშტაბის დაცვა არ არის

განმსაზღვრელი ფაქტორი ინტერვენციის ხარისხისა, ზოგიერთ შემთხვევებში უხეშ დარღვევებზე ასევე სხვადასხვა კომპონენტები ახდენენ გავლენას (ფერი, პროპორციები, სტილი, რიტმი) ამდენად მიზანშეწონილია დადგინდეს გარკვეული შეზღუდვები არამარტო სიმაღლის მიმართ, არამედ ცალკეული ქუჩის სპეციფიკის გათვალისწინებით ზემოჩამოთვლილი მახასიათებლების მიმართაც.

4) მხოლოდ არქიტექტურული ელემენტებითა და მხატვრული დამუშავებით შენობათა სტილიზაცია არ უნდა განსაზღვრავდეს მათ შესაბამისობას ისტორიულ გარემოსთან. მიგვაჩნია, რომ ამგვარი მიმსგავსება არაარის მიზანშეწონილი, რადგან ასეთ დროს ზომიერების დაცვა რთულია და შესაძლებელია შენობამ იაფფასიანი სტილიზაციის სახე მიიღოს. სხვაა, როცა ძველი შენობის ადაპტაციასთან გვაქვს საქმე, როცა ის თანამედროვე ცხოვრებისთვის შესაფერისი უნდა გახდეს, მაგრამ შეინარჩუნოს მისი სტრუქტურა, ხასიათი, თუმცა თანამედროვე შენობის ისტორიულ სტილებთან მხოლოდ გარეგნული მიმსგავსება ხშირად ვულგარულ ხასიათს იძენს.

5) კვლევის შედეგად სოლოლაკის ტერიტორიაზე გამოვლინდა გამწვანებული, ასევე საკომუნიკაციო სივრცეების ნაკლებობა. სასურველია ავარიული საცხოვრებლებისაგან გამონთავისუფლებულ ფართობზე შეიქმნას სხვადასხვა მასშტაბის გამწვანებული სივრცეები ეკოლოგიის, მიკროკლიმატის გასაუმჯობესებლად თუ მხატვრულ- ესთეტიკური გაფორმების მიზნით. ეს შეიძლება იყოს სკვერები თუ შიდა კვარტალური სივრცეები, რომლებიც ადამიანთა კომუნიკაციის ადგილიც იქნება;

6) სასურველია გამოყენებული იქნას სოლოლაკის რელიეფის თავისებურება - სოლოლაკის და მთაწმინდის ფერდობზე მოეწყოს გადმოსახედი პლატფორმები, მცირე არქიტექტურული ფორმებით, კაფე-კიოსკებით, რაც ტურისტებისთვისაც მიმზიდველი იქნება;

7) რანსპორტით სოლოლაკის ქუჩების (განსაკუთრებით სოლოლაკის სხვა უბნებთან დამაკავშირებელი ქუჩების) საკმაოდ დატვირთვის ფონზე,

სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს უბნის ჰუმანიზაციას და ესთეტიზაციას. 5) და 6) პუნქტებში დასახელებული ღონისძიებების გარდა, ამას ხელს შეუწყობს შიდა კვარტალური ერთი ქუჩის მაინც ფეხითმოსიარულეთა ზონად ქცევა, ისევე, როგორც ეს გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე განხორციელდა;

8) მოსახლეობასთან ინტერვიუმ შესაძლებლობა მოგვცა პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით გამოგვეკვეთა პრობლემათა სიმძაფრის ხარისხი, გაკვეკეთებინა მათი რანგირება, გამოგვევლინა კვლევაში გამოკვეთილი საკითხებისადმი მათი დამოკიდებულება. მიგვაჩნია, რომ ასეთ ძირძველ უბნებში აუცილებელია საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება, არა მარტო გამოკითხვის სახით, არამედცალკეული საკითხების საჯარო განხილვების საფუძველზე.

საბოლოოდ დავძენთ, რომ ზემოჩამოთვლილი საკითხების მოგვარება, რომელიც სასურველია დროულად წარიმართოს, შესაძლებელია სახელმწიფო და კერძო სექტორის ერთობლივი ნებით და ინტერესით. შემაჯამებელი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიცია, რომელიც უპირველეს ყოვლისა კომერციულ მიზნებით ხორციელდება, არ უნდ აიქცეს ისტორიულ უბნებში მოკლევადიანი მოგების წამმართველ მექანიზმად, რისი მაგალითებიც ხშირია თბილისში, ის გამოყენებული უნდა იქნას ამ უბნების „გასაჯანსაღებლად“, რაც შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში ბევრად მომგებიანი აღმოჩნდეს როგორც ქალაქისთვის, ისე ინვესტორისთვის.

ლიტერატურული წყაროები:

1) ბერიძე ვ. „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801–1917)“; გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1960წ.

2) ძიძიგური მ. „თბილისისა და ლისაბონის ორი ისტორიული უბნის შედარებითი ანალიზი და პრობლემატიკა“

3) მანია მ. „ევროპელი არქიტექტორები თბილისში“. თბილისი, 2006.

4) Mania M . „Architeqtural Walks of old Tbilisi“; Fund for the preservation of Cultural Heritage of Georgia.

5) გვრიტიშვილი დ. მესხია შ. „თბილისის ისტორია“. თბილისი, 1952.

6) კვირკველია თ. „თბილისის არქიტექტურა“ . თბილისი, 1982 წ.

7) Квирквелия Т. „Архитектура Тбилиси“. Москва .Стройиздат 1985.

8) **Квирквелия Т** .„Твилиси в составе Российской империи“. 1984.

9) ჯანბერიძე ნ.“ქართული საბჭოთა არქიტექტურა“. თბ.,ხელოვნება,1957.

10) გერსამია თ. „ძველი თბილისი“. თბილისი, საბჭოთა საქართველო,1984.

11) **Kenneth Frampton Modem Architecture**, Critical History, fourth edition, Thames and Hudson, 2014

12) (**Design Manual for Urban Streets (Final Errata Print Version 161213).indb)**

13) კვლევა“. თევზაძე ე. თბილისის ძველი ბაღები და თანამედროვე ურბანიზაცია (ლექციათა კურსის კრებული), კაიზერსლაუტერნი-თბილისი, 2002. წ;

14) თევზაძე ე. ლანდშაფტურიარქიტექტურა (სახელმძღვანელო) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი2006;

15) წულაძე ი. „თბილისის სოლოლაკის უბნის გაჯანსაღების პრინციპების განსაზღვრა ქალაქთმშენებლობითი და კლიმატოლოგიური კვლევის საფუძველზე“.

16) ვარდოსანიძე ვ. „ქალაქის კონტურები“. თბილისი, 2010.

17)) http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32446/gamwvaneba_int ბოლო ნახვა განხორციელდა 25.04.1019.

18) (http://tas.ge/ანდრონიკაშვილი ლ. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, კოჯრის ქ. #3. ნახვა 20. 11.2018.

19) http: //www.georgianart.ge /index.php/ka/გერსამია თ. (არქ.ა. ოზეროვი).

20)http://tas.ge/ გ.ლეონიძის ქ.2) ბოლო ნახვა 03.20019.

21) ჭანიშვილი გ. „პ. ინგოროყვას ქ.“ ბოლო ნახვა 03.20019.

22) **http://tamricosha.blogspot.com/2014/06/blog-post_1179.html** ერთი სახლის ისტორია და თბილისური სადარბაზოები. ნახვა 14.05. 2019.

23) https://ka.wikipedia.org/wiki/ ლ. ა სათიანის ქ. ნახვა 11.03. 2019.

24) http://tas.ge - ინტერაქტიული რუკა; სახელოვნებო დასკვნები; ბოლო ნახვა 05.05.2019. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება-განახლებაზე გამოცხადებული კონკურსი 2016.წ; ბოლო ნახვა 10.11. 2018.

25) https://matsne.gov.ge/ka/document/view/2643718 - მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური 2015.წ;

26) https://tfilisidatfiliselebi.wordpress; „თბილისის სადარბაზოების ხიბლი“, ც. კილაზე; მეძმარიაშვილი; თ. გერსამია. ნახვა 27.04. 2019.

27)http://travelingeorgia.ge/news/208/ გალაკტიონის ქუჩა რომელიც პოეტად დარჩა;

28)http://www.resonancedaily.com/index. როგორ შენდებოდა სოლოლაკი – “მწერალთა სახლის” ისტორია- გ. ხუციშვილი. 25.04. 2018.

29)http://meotkhe.ge/2017/12/22/ შ.დადიანის ქ. ნახვა 14.05. 2019.

30) http://mastsavlebeli.ge/პარკები. ნახვა 10.11. 2018.

31) travelingeorgia.ge.–გამწვანების მაჩვენებელი.

32) http://www.city.kvira.ge/2019/05/10/ გენგეგმის ჯგუფის პოზიცია.

33) თბილისის ქუჩების სია 1843.

34)https://ru.wikipedia.org/wiki/Фре́шки́ллс-парк .ნახვა. 20.10.2017.

35) https://www.nationalgeographic.ge/wm. ურბანული პარკები.ნახვა 14.03.2017.

36)https://www.google.com/search?q=გრამერსი პარკი.ნახვა 14.03.2017.

37)http://inndesign.ge/blog/vertikaluri-bagebi-chvens-sakhlebshi/ ნახვა 05. 10. 2017.

38)https://ka.wikipedia.org/wiki/მთაწმინდა; ნახვა 12.11.2018.

39) https://ka.wikipedia.org/wiki/ბოტანიკური ბაღი; ნახვა 12.11.2018.

40) https://ka.wikipedia.org/wiki/ვაკის პარკი; ნახვა 12.11. 2018.

41) https://heritagesites.ge; ნახვა 25.05.2019.

42) https:// memkvidreoba.gov.ge; ნახვა 25.05.2019.

დანართი



A)ანფილადური სახლი: ა)სარკმელები მიმართულია ერთ მხარეს აივნისკენ; ბ)ყრუ ზურგი, კარ-სარკმელები და ზოგჯერ ზურგი ორ მოპირდაპირე მხარესაა;გ)ორმაგი ანფილადი;
B) ახალი ელემენტია ტალანი; C) ტალანი შუაზე ჰყოფს სართულს; D) ეზოს მხარეს მოქცეული შუა ოთახის ნაცვლად ლოჯიაა;E)გარედან შესასვლელი უშუალოდ ტალანშია.
სქემა №1.



სქემა №2 **Design Manual for Urban Streets**
განწყობის მაჩვენებელი შეფარდებების ხასიათი.
1) 1/1-ძლიერი ხარისხის სიმყუდროვე.
2) 1/2–ძლიერი ხარისხი სიმყუდროვეა, მაგრამ სასურველია ხეების დარგვა.
3) 1/3 –სიმყუდროვის გრძნობა საშუალოა, აუცილებელია ხეების დარგვა სივრცის შესავსებად. 4) სასურველია ცვლილებების შეტანა.

ექსპლიკაცია 1

1- გ. ტაბიძის ქ. 2- შ. დადიანის ქ.; 3- გ. ლეონიძის ქ.; 4. ლ. ასათიანის ქ. 5- ამაღლების ქ. 6- კოჯრის ქ.; 7-მ. ლერმონტოვის ქ.; 8- გ.ლორთქიფანიძის ქ.; 9-ი. მაჩაბელის ქ.; 10-პ.იაშვილის ქ.; 11-გ. ქიქოძის ქ.; 12- სულხან-საბას ქ.





გეგმა №1 1735წ. გეგმა №2 1828წ.

გეგმა № 3 1844 წ.



გეგმა №4 1867წ.



გეგმა № 5 1813 წ. გეგმა №6 1824 წ.



გეგმა № 7 ; ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის საყრდენი გეგმა.



გეგმა № 8 1865წ. გეგმა, ამაღლების და კოჯრის ქუჩების კვეთა.



გეგმა №9 ; (ჩვენს მიერ კვარტლებად დაყოფილი).

№1	№2	№3
S=9825.5 მ². განაშენ.ფართი 7706 მ² განაშენიანების. ინტ. კოეფ. საანგარიშო ფართი22772 მ² გამწვანების ფართი 210მ² მცხოვრები 79 (131) გამწვ. 1 ადამიანზე 2.6 (1.6) მ².	**S**=9384. 54 მ². განაშენ.ფართი 4662.3 მ² განაშენიანების. ინტ. კოეფ. საანგარიშო ფართი 11545.2მ² გამწვანებ. ფართი 550 მ² მცხოვრები 169 (282) გამწვ. 1 ადამიანზე 3.25 (1.95) მ².	**S**=16232. 34 მ². განაშენ.ფართი 10783.5მ² განაშენიანების. ინტ. კოეფ. საანგარიშო ფართი 22914 მ² გამწვან. ფართი 50 მ² მცხოვრები 258(431) გამწვ. 1 ადამიანზე 0.2 (0.11) მ².
№4	№5	№6
S=16286, 70 მ². განაშენ.ფართი10901.8მ² განაშენიან. ინტ. კოეფ. (კ2) საანგარიშო ფართი 28777მ² გამწვანების ფ. 450 მ² მცხოვრები 231(383) გამწვ. 1 ად. 1.9 (1.17) მ².	**S**=12973.61 მ². განაშენ.ფართი 9538.15მ² განაშენიან. ინტ. კოეფ. (კ2) საანგარიშო ფართი 25792 მ² გამწვანების ფართი 800 მ² მცხოვრები 205(341) გამწვ. 1 ად. 3.9 (2.34) მ².	**S**=15585.5 მ². განაშენ.ფართი 9852.2მ² განაშენიან. ინტ. კოეფ. (კ2) საანგარიშო ფართი 25715მ² გამწვ. ფართი 790 მ² მცხოვრები 211(352) გამწვ. 1 ად. 3.7 (2.24) მ².
№7	№8	№9
S=10300 მ². განაშენ.ფართი 4080.1 მ² განაშენიან. ინტ. კოეფ. (კ2) საანგარიშო ფართი 15351მ² გამწვანების ფ. 430 მ² მცხოვრები 180(301) გამწვ. 1 ად. 2.38 (1.4) მ².	**S**=14850.15 მ². განაშენ.ფართი 8316 მ² განაშენიან. ინტ. კოეფ. (კ2) საანგარიშო ფართი 22240მ² გამწვანების ფ. 350 მ² მცხოვრები209(348) გამწვ. 1ად.1.67 (1.00) მ².	**S**=9720, 29 მ². განაშენ.ფართი 5893.4 მ² განაშენიან. ინტ. კოეფ. (კ2) საანგარიშო ფართი 19791მ² გამწვანების ფართი 300მ² მცხოვრები 128 (214) გამწვ. 1 ად. 2.3 (1.4) მ².
№10	№11	№12
S=18524.94 მ². განაშენ.ფართი 10704.7მ² განაშენიან. ინტ. კოეფ. (კ2) საანგარიშო ფართი 51929მ² გამწვ. ფართი 1000 მ² მცხოვრები178(298) გამწვ. 1 ად.5.61 (3.35) მ².	**S**=7668.99 მ². განაშენ.ფართი 5680.3მ² განაშენიან. ინტ. კოეფ. (კ2) საანგარიშო ფართი 14259მ² გამწვანების ფართი 80 მ² მცხოვრები 173(289) გამწვ. 1 ად 0.4 (0.27) მ².	**S**=6373.69 მ². განაშენ.ფართი 3855.9მ² განაშენიან. ინტ. კოეფ. (კ2) საანგარიშო ფართი 11246მ² გამწვანების ფ. 0 მცხოვრები 56(93) გამწვ. 1 ად. 0 მ².
№13	№14	№15
S=22000 მ². განაშენ.ფართი 12000 მ² განამ. ინტენს. კოეფიც. (კ2) საანგარიშო ფართი 28000მ² გამწვანების ფართი 580 მ² მცხოვრები 270 (450) გამწვ. 1 ადამიანზე 2.14 (1.28) მ².	**S**=12283.48 მ². განაშენ.ფართი 6581მ² განაშენიან. ინტ. კოეფ. (კ2) საანგარიშო ფართი 24730 მ² გამწვ. ფართი 300 მ² მცხოვრები 255 (426) გამწვ. 1 ადამიანზე 1.17 (0.7) მ².	**S**=43890 მ². განაშენ.ფართი17480 მ² განაშენიან. ინტ. კოეფ. (კ2) საანგარიშო ფართი 39680მ² გამწვ. ფართი 1260 მ² მცხოვრები 325(543) გამწვ. 1 ადამიანზე 3.7 (2.20) მ².

ცხრილი №1

სოლოლაკის თითოეული კვარტლის ფართობი, განაშენიანების ფართი, ინტენსივობა, გამწვანების ფართი, მოსახლეობის რაოდენობა, 1 სულ მოსახლეზე გამწვანების ფართი.

ექსპლიკაცია 2

№1 თავისუფლების მოედანი – გ. ტაბიძე – მ. ლერმონტოვი – შ. დადიანის ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.
№2 გ. ტაბიძე – ლ. ასათიანი – შ. დადიანი – მ. ლერმონტოვის ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.
№3 გ. ლეონიძე – ი. მაჩაბელი - მ. ლერმონტოვი – გ. ტაბიძის ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.
№ 4 ი. მაჩაბელი – მ. ლერმონტოვი – გ. ტაბიძე – ლ. ასათიანის ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.
№5 გ. ლეონიძე – ი. მაჩაბელი – გ.ლორთქიფანიძე – გ. ქიქოძის ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.
№6 გ. ლორთქიფანიძე – ი. მაჩაბელი – ლ.ასათიანი – გ. ქიქოძის ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.
№ 7 გ.ლეონიძე – გ. ქიქოძე – გ. ლორთქიფანიძე – პ. იაშვილის ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.
№8 პ. იაშვილი – გ. ლორთქიფანიძე – გ. ქიქოძე – ლ. ასათიანის ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.
№9 სულხან–საბა – გ.ლეონიძე – პ ინგოროყვა – ცკ. მოედანი, ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.
№10 პ. ინგოროყვა – გ. ლეონიძე – პ. იაშვილი – პ. ჩაიკოვსკის ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.
№11 ამაღლების შესახ.– პ. იაშვილი – ლ. ასათიანის ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.
№12 გ.ლორთქიფანიძე – პ. იაშვილი – ამაღლების შეს.– დ.ჭონქაძის ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.
№13 დ. ჭონქაძე – (პ.ჩაიკოვსკი) – პ. იაშვილი – გ. ლორთქიფანიძის ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.
№14 ამაღლება – ლ.ასათიანი – კოჯრის – მუსხეიშვილის ქუჩებით შემოფარგლული ტერიტორია.
№15 ლ. ასათიანის ქ. – სამხრეთი მხარე.

XX საუკუნის დასაწყისის საარქივო ფოტო,მთაწმინდის აღმოსავლეთ კალთის ქვედა ნაწილი უკვე საცხოვრებელ სახლებს უკავია.

სურ.1

სურ. 2 XIX ს. ოფიციალური დანიშნულების მქონე შენობები.

სურ.3

სურ. 4

სურ. 5 ა. სურ. 5 ბ.

სურ. 6 ა. კოჯრის ქუჩა

სურ. 6 ბ). ი. მაჩაბელის ქ. № 13

სურ. 7

სურ. 8 ა. ლ.ასათიანის ქ. სურ. 8 ბ.

სურ. 9 ა.

სურ. 9 ბ. ფეშენებლური სადარბაზოები

სურ. 10 ა. სურ. 10 ბ.

სურ. 11 ა. გ. ტაბიძის ქ. სურ. 11 ბ. გ. ტაბიძის ქ.

სურ. 11 გ. გ. ტაბიძის ქ.

სურ. 11 დ. გ. ტაბიძის ქ. №4

სურ. 11 ე. გ. ტაბიძის ქ. №4-6

სურ.11 ვ. გ. ტაბიძის ქ. №4 სურ. 12 გ. ტაბიძის ქ. №13/10;

სურ. 13 ა. კოჯრის ქ. №1 ; სურ. 13 ბ. კოჯრის ქ. №1; აივნიანი ნაწილი

სურ. 14 ამაღლების ქ. №12 სურ. 15 ამაღლების ქ. №12,აივნიანი ნაწილი

სურ. 16 გ.ლორთქიფანიძის ქ. №4

სურ. 17 პ. იაშვილის ქ.№14-16ა

სურ. 18 ამაღლების ქ. №11

სურ. 19 გ. ქიქოძის ქ.№3

სურ. 20 ლ. ასათიანის ქ. №62 სურ. 21 გ. ლეონიძის ქ. №7



სურ. 22 ამაღლების ქ.;სურ. 23 დ. ჭონქაძის ქ.№ 7 ; სურ. 24,დ. ჭონქაძის ქ. №10

სურ. 25 ა. გ. ტაბიძის ქ. №1 სურ. 25 ბ. პ. ინგოროყვას ქ. №5

სურ. 26 კოჯრის ქ. №3;

სურ. 27 ა. ი. მაჩაბელის ქ. №17/27

სურ. 27 ბ. სურ. 28 ამაღლების ქ. სივრცე;

სურ.29 ი. მაჩაბელის ქ.; სურ.30 ლ. ასათიანის ქ. №36ა



სურ. 31 ა. გ.ლეონიძის ქ. სურ. 31 ბ. სურ. 31 გ.



სურ. 31 დ. გ.ლეონიძის ქ. №3; სურ.32 დ. ჭონქაძის ქ.№12 ; სურ.33 სულხან-საბას ქ.

სურ.34. პ. მელიქიშვილის ქ. №13-17შენობები

სურ.35 ა. პუშკინის ქ.

სურ. 36 შიადოს რეკონსტრუქცია

სურ. 37 სევილია, იურგენ მეიერი „Metropol Parasol“



სურ. 38. სკვერი, ი. მაჩაბელის ქ.; სურ. 39 სკვერი,სულხან-საბას ქ.

სურ.40 გ. ტაბძის ქ. სურ.41 ამაღლების ქ.

სურ.42 ლისაბონი, მირადორი.

სურ.43 სკვერი შენობის სახურავზე

სურ .44 „ჯიბის პარკი“

სურ.45 ა. სკვერი ახალ უბანში; ბ. ბეთლემის უბანი

დანართი №1 - - კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ნუსხა:

<u>გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა- </u>##3/5; 3/5 (ეზოში); 9; 17; 18; 19; 20; 21; 22; გ. ტაბიძის #2/თავისუფლების მოედანი #2; გ. ტაბიძის #11/მ. ლერმონტოვის #11; ტაბიძის #14/მ. ლერმონტოვის #9; გ. ტაბიძის #23/ ლ.ასათიანის#23; გ. ტაბიძის #24/ლ. ასათიანის #21;

<u>გ ლეონიძის ქუჩა-</u>##2; 3; 7; 8; 10; 12; 15; გ. ლეონიძის #9/პ. ინგოროყვას #1; გ. ლეონიძის #17/ პ.იაშვილის #6; გ. ლეონიძის #20/პ.იაშვილის #8; გ. ლეონიძის #5/სულხან საბას #1. გ.ლეონიძის#7/სულხან-საბას #2;

<u>ამაღლების ქუჩა-</u>ამაღლების #2/პ. იაშვილის #23; ამაღლების #1/პ. იაშვილის #21; ამაღლების #10; ამაღლების #13; ამაღლების #14; ამაღლების #15; ამაღლების #16; ამაღლების #17; ამაღლების #18/რ. მუსხელიშვილის #2; ამაღლების #19; ამაღლების #20/ რ. მუსხელიშვილის #1; ამაღლების #21/ამაღლების 1 ჩიხი #2; ამაღლების #22; ამაღლების #23/ამაღლების 1 ჩიხი #12; ამაღლების #24; ამაღლების #27/შინდისის ჩიხი #3; ამაღლების #29/შინდისის ჩიხი 1; ამაღლების #3; ამაღლების #33; ამაღლების #34; ამაღლების #5/დ. ჭონქაძის #1; ამაღლების #6; ამაღლების #7; ამაღლების #7/დ. ჭონქაძის #2; ამაღლების #8; ამაღლების #9/გერგეთის #12; ამაღლების შესახვევი #1/გერგეთის #11.

<u>კოჯრის ქუჩა-</u>კოჯრის #15; #2; #3; #4; #5; #7; #9.

<u>მ. ლერმონტოვის ქუჩა-</u>მ. ლერმონტოვის #1/ბ. კუფტინის #17; მ. ლერმონტოვის #12; მ. ლერმონტოვის #14/ი. მაჩაბლის #10; მ. ლერმონტოვის #15; მ. ლერმონტოვის #17/გ. ქიქოძის #5; მ. ლერმონტოვის #19/გ. ქიქოძის #5; მ. ლერმონტოვის #2; მ. ლერმონტოვის #21; მ. ლერმონტოვის #26/დ. ჭონქაძის #3; მ. ლერმონტოვის #27; მ. ლერმონტოვის #3; მ. ლერმონტოვის #9/შ. დადიანის #9; მ. ლერმონტოვის #13/ი. მაჩაბლის #8; მ. ლერმონტოვის #16/ი. მაჩაბლის #9; მ. ლერმონტოვის #23/პ. იაშვილის #12; მ. ლერმონტოვის #25/პ. იაშვილის #17; მ. ლერმონტოვის #20/გ. ქიქოძის #7; მ. ლერმონტოვის #18/გ. ქიქოძის #8; მ. ლერმონტოვის #26/დ. ჭონქაძის #3; მ. ლერმონტოვის #29/დ. ჭონქაძის #5; მ. ლერმონტოვის #11/გ. ტაბიძის #11; მ. ლერმონტოვის #9/გ. ტაბიძის #14.

<u>ი. მაჩაბლის ქუჩა-</u>##1; 2; 3; 4; 5; 6; 11; 12; 13; 14; 15; 16; 18; ი. მაჩაბლის #17/ლ. ასათიანის #27; ი. მაჩაბლის #10/მ. ლერმონტოვის #14; მაჩაბლის#8/მ. ლერმონტოვის #13; ი. მაჩაბლის #9/მ. ლერმონტოვის #16.

<u>ლადო ასათიანის ქუჩა-</u>##2; 3; 6; 8; 10; 12; 13; 15; 16; 18; 24; 26; 28; 30; 34; 38; 39; 40; 41; 42; 42ა; 43; 44; 46; 48; 50; 52; 54; 56; 58; 66 (კოშკით); ლ. ასათიანის #12/ ლ. ასათიანის 1 შეს. #1; ლ. ასათიანის #17/შ. დადიანის #34;ლ. ასათიანის #21/გ. ტაბიძის #24; ლ. ასათიანის #23/გ. ტაბიძის #23; ლ. ასათიანის #27/ი. მაჩაბლის #17; ლ. ასათიანის #31/გ. ქიქოძის #16; ლ. ასათიანის #33/გ. ქიქოძის #17; ლ. ასათიანის #35/პ. იაშვილის #22; ლ. ასათიანის #37/პ. იაშვილის #25.

<u>პ. იაშვილის ქუჩა-</u>##3; 4; 5; 7; 8ა; 9; 10; 11; 13; 15; 16; 18; 20; პ. იაშვილის #25/პ. ლ.ასათიანის #37; პ. იაშვილის #1/პ. ჩაიკოვსკის #6; პ. იაშვილის #6/გ. ლეონიძის #17; იაშვილის #8/გ. ლეონიძის #20; იაშვილის #12/მ. ლერმონტოვის #23; იაშვილის #17/მ. ლერმონტოვის 25; პ. იაშვილის #21/ამაღლების #1; პ. იაშვილის #21/ლ. ასათიანის #35; იაშვილის #23/ ამაღლების #2.

<u>შ. დადიანის ქუჩა-</u>##3; 4; 6; 7; 8; 9; 10; 12; 13; 14; 15; 16; 18; 22; 24; 24ა; 30; 32; დადიანის#2/კ. აფხაზის #1; შ. დადიანის #9/მ. ლერმონტოვის #9. შ. დადიანის #34/ლ. ასათიანის #17;

<u>გ. ქიქოძის ქუჩა- </u>##3; 4; 9; 10; 11; 12; 12; 13; 14; გ. ქიქოძის #7/მ. ლერმონტოვის #20; გ. ქიქოძის #8/ მ. ლერმონტოვის #18; გ. ქიქოძის #16/ლ. ასათიანის #31; გ. ქიქოძის #17/ლ. ასათიანის #33. გ. ქიქოძის #1/ გ. ლეონიძის #16; გ. ქიქოძის #6/ მ. ლერმონტოვის #17; გ. ქიქოძის #5/ მ. ლერმონტოვის #19.

<u>დ. ჭონქაძის ქუჩა-</u>##11; 12; 13; დ. ჭონქაძის #1/ამაღლების #5; დ. ჭონქაძის #2/ამაღლების #7.დ. ჭონქაძის #3/მ. ლერმონტოვის #26; დ. ჭონქაძის #4/გერგეთის 10; დ. ჭონქაძის #5/მ. ლერმონტოვის #29; დ. ჭონქაძის #6/გერგეთის #6; დ. ჭონქაძის #8/გერგეთის #4; დ. ჭონქაძის #15/პ. ჩაიკოვსკის #12; დ. ჭონქაძის #17/პ. ჩაიკოვსკის #16.

<u>სულხან-საბას ქუჩა</u>-#4; #5; #6; #7; #9.

<u>პ. ინგოროყვას ქუჩა- </u>##3; 4; 5/9; 6; 6ა;8; 10;12; 14; 16; 18; 20; 26; პ. ინგოროყვას #1/გ. ლეონიძის #9; პ. ინგოროყვას #10/პ. ჩაიკოვსკის #2; პ. ინგოროყვას #22/შ. ჩიტაძის #5; პ. ინგოროყვას #24/ნიაღვრის #2; პ. ინგოროყვას #25/ვ. კოტეტიშვილის #10.